შარლ ბოდლერი

ლექსები პროზად

(პარიზის სპლინი)

ფრანგულიდან თარგმნა
ზვიად გამსახურდიამ

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, 1991

წიგნში წარმოდგენილია შარლ ბოდლერის „ლექსები პროზად“ — პოეტური პროზის თვალსაჩინო ნიმუშები, რომლებშიაც გაცხადებულია დიდი ფრანგი მწერლის პოეტური მიმართება გარემომცველ სინამდვილესთან, მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი კრედო.

4703010200 — 001
ბ ——————— ბრძ. № 1/103 — 91
М 601(08) — 91

ISBN 5—529—01189—6

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საქართველო“, 1991.

არსენ ჯუსსესადმი

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით მცირე ნაწარმოებს. ნუ იტყვით, რომ მას არ გააჩნია არც კუდი, არც თავი, ვინაიდან, პირუკუ, მის თითოეულ ნაწილს ძალუძს გასწიოს ხან კუდის მაგივრობა, ხანაც თავისა. დაუკვირდით, გეთაყვა, რაოდენ ხელსაყრელია ასეთი კომბინაცია ყოველი ჩვენთაგანისათვის: თქვენთვის, ჩემთვის და მკითხველისათვის. ჩვენ ყოველ წუთს ძალგვიძს შევწყვიტოთ, მე — ჩემი ოცნება, თქვენ — ხელნაწერის გადათვალიერება, ხოლო მკითხველმა — კითხვა; რამეთუ მე არ შემიკრავს მისი თვითარსული ნება რთული ინტრიგის ძაფით. ნებისმიერი მალა ამ ხერხემლისა რომც ამოიღოთ, ამ ნატიფად წნული ფანტაზიის სხვა ნაწილები კვლავ შეერთდება. დაკეპეთ იგი ნაწილ-ნაწილად და დაინახავთ, რომ ყოველი მონაკვეთი იცოცხლებს თვითმყოფადად. ვიმედოვნებ, რომ ამ ნაწილთაგანი ზოგი იმდენად ცოცხალი აღმოჩნდება, რომ დაიმსა-

ხურებს თქვენს მოწონებას, ამიტომაც ვკადნიერდები და გიძღვნით ამ გველს მთლიანად.

ერთი რამ მსურს ვაღიარო თქვენს წინაშე. თითქმის მეოცეჯერ ვკითხულობ ალოიზიუს ბერტრანის ცნობილ წიგნს Gaspard de la nuit (განა წიგნი, რომელსაც ვიცნობთ მე, თქვენ და ჩვენი რამდენიმე მეგობარი, უკვე ცნობილად არ უნდა ჩაითვალოს?). მე აზრად მომივიდა შემექმნა რაღაც მსგავსი ამისა, თანამედროვე ცხოვრების ამსახველი, უფრო სწორად, ერთი თანამედროვე კაცის ცხოვრების ამსახველი, აბსტრაქტულად, იმავე მეთოდით, როგორსაც ბერტრანი იყენებს გარდასულ დროთა აღწერისათვის.

რომელ ჩვენგანს არ ჰქონია ამბიციური ოცნება პოეტური პროზის სასწაულის შექმნისა, რომელიც მუსიკალური იქნება მეტრისა და რიტმის გარეშე, ამასთან იმდენად მოქნილი, რომ გადმოსცემს ლირიულ მოძრაობებს სულისას, ოცნების ქროლას, სინდისის ქენჯნას?

დიდი ქალაქის ცხოვრებასთან ზიარება, მის მრავალფეროვან გამოვლინებებთან შეხლა, — აი, საიდან იშვის, ძირითადად, ეს აკვიატებული ოცნება, ნუთუ არ გიცდიათ, ძვირფასო მეგობარო, სიმღერით მიბაძვა მეშუშის გამყივანი ხმისათვის და გადმოცემა ლირიულ პროზაში იმ სევდისმომგვრელი განწყობილებისა, რომელსაც იწვევს ჩვენში ეს ძახილი, მანსარდებამდე რომ აღწევს ქუჩის ზრქელი ნისლიდან?

ჰო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მეშინია არ დავმარცხდე ამ შეჯიბრში. მუშაობის დასაწყისშიც შევნიშნე, რომ საკმაოდ დაშორებული ვარ ჩემს დიდებულ, მისტერიულ მოდელს, თანაც ისეთი რამ გამომდის, რაც შესაძლოა, შორდება კიდეც მას. სხვა ჩემს ადგილას, იამაყებდა ამით, მაგრამ ეს სირცხვილია ისეთი კაცისათვის, რომელიც პოეტის უზენაეს ღირსებას ხედავს სწორედ ჩანაფიქრის განხორციელებაში.

მარადის თქვენი შარლ ბოდლერი.

1. უცხო

— იდუმალებით მოცულო კაცო, მითხარ, ვინ გიყვარს ყველაზე მეტად: დედა, მამა, დაჲ თუ ძმა?

— არა მყავს დედა, არც მამა, არც ძმა და არცა დაჲ.

— მაშ მეგობრები?

— მაგ სიტყვის აზრი დღემდე უცნობია ჩემთვის.

— იქნებ სამშობლო?

— არც კი ვუწყი, რომელ განედზე მდებარეობს იგი.

— მშვენიერება?

— მე მზადა ვარ შევიყვარო მშვენიერება, თუ იგი ღვთაებრივი იქნება და უკვდავი.

— ოქრო?

— მე მძულს ოქრო, ისევე როგორც თქვენ გძულთ ღმერთი.

— მაშ რაღა გიყვარს ბოლოს და ბოლოს, საოცარო უცხოელო?

— ღრუბლები მიყვარს... ჰე, ცის ტატნობზე რომ მისცურავენ... ის საოცარი ღრუბლები.

2. დედაბრის ვარაქი

სახედანაოჭებული დედაბერი გაიბადრა ბუდრუგუნა ბალღის დანახვაზე. ამ მშვენიერ არსებას, მასავით უსუსურს, უკბილოსა და უთმოს, ყველა თავს ევლებოდა და ეფერებოდა.

იგიც მიეტანა ბალღს მოსაფერებლად, მაგრამ დამფრთხალი პატარა ხელიდან გაუსხლტა მოხუცს, შეშინებული და აწივლებული.

მაშინ საბრალო მოხუცი კვლავ მიუბრუნდა თვის მარტოობას მარადჟამულს, ატირდა კუთხეში საწყალობლად და მოსთქვამდა: „ვაი ჩვენ, საბრალო დედაბრებს, ხანგადასულებს, თოთო ბავშვებსაც რომ აღარ მოვწონვართ და ზიზღს ვგვრით მათ, ვისი სიყვარულიც გვწადია!“

3. მსატვრის აღსარებანი

რაოდენ გულში ჩამწვდომია შემოდგომის დღეთა აღსასრული! გულში ჩამწვდომი და სევდისმომგვრელი! ხომ არსებობენ მომხიბვლელი გრძნობანი, ბუნდოვანნი და ძალუმნი, და არ არსებობს ლახვარი, მარადისობის ლახვარზე უბასრესი.

რაოდენ მომხიბლავია ჭვრეტა ცისა და ზღვისა, უსაზღვროების სიმარტოვე, სიჩუმე, ლურჯი ტატნობის შეუდარებელი ლივლივი. აი, პაწაწინა აფრაც მოჩანს თვალსაწიერზე... ეული და მიუსაფარი, როგორც ჩემი ბედკრული ყოფა. ზღვის მოქცევის მონოტონური დუდუნი; მთელი გარემო ფიქრობს ჩემით, ან იქნებ, მე ვფიქრობ გარემოთი? (აი, რა მალე მეკარგება საკუთარი „მე“ ამგვარი ჭვრეტის სიდიადეში); ჰოდა, ფიქრობენ, აზროვნებენ-მეთქი, ვამბობდი; აზროვნებენ ხატოვანად, მუსიკალურად, ჩვენი ყოველგვარი დედუქციების გარეშე, ყოველგვარი სოფიზმებისა და სილლოგიზმების გარეშე.

ჰო, მაგრამ, ჩემში იბადებიან ეს აზრნი, თუ საგნები ჰბადებენ მათ, მათი გარდუვალი შედეგია დაძაბულობა. ესოდენ ზეაღმტაცი შვება ტკივილს იწვევს სულისმიერს და ტანჯვას სხეულებრივს.

უკიდურესად დაძაბული ნერვები მძაფრი კრუნჩხ-
ვებით ჰპასუხობენ ყოველივე ამას.

და აჰა, მზარავს ლაჟვარდთა სილრმე, გულს
მილონებს ზეცის სიწმინდე, ზღვის უშფოთველობა,
გარემოს უძრაობა, აღაშფოთებენ ჩემს სულს...
ნუთუ მარად უნდა ვიტანჯო, ან იქნებ სამუდამოდ
უნდა გავექცე მშვენებას? ჰოი ბუნებავ, უწყალო
ჯადოქარო! მარადის გამარჯვებულო მეტოქევ, და-
მეხსენ-მეთქი! იკმარე თრგუნვა ჩემი ნატვრის და
სიამაყის!

მშვენიერების წვდომა უთანასწორო დუელია,
სადაც მხატვარი ბედითად მოსთქვამს, საბოლოო
დამარცხებამდე.

4. ტაკიმასხარა

ახალი წლის ჟრიამული იდგა: თოვლჭყაპი, ქაოსი, ათასობით კარეტა, ბრჭყვიალა თოჯინები, საიმაშოები, ათასგვარი მანკიერება და სასოწარკვეთა ურთიერთში აღრეულიყო, გაშმაგებული ქალაქი თვით უდრეკი ნების განდეგილსაც კი აუმღვრევდა გუნებას.

ამ ალიაქოთში მათრახმომარჯვებული ბუთხუზა ბიჭუნა ვირს მიერეკებოდა.

ტროტუარის ძგიდეს რომ გაუსწორდნენ, ვიღაც კოპწია, ხელთათმანებიანი და ჰალსტუხიანი ვაჟბატონი ცერემონიული ჟესტით წინ გადაუდგა უდრტვინველ პირუტყვს და ქუდმოხდილმა მიმართა: „ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, მრავალს დაესწარით!“ — შემდეგ კი მიუბრუნდა თავის ამფსონებს, თითქოს კვერის დაკვრას ელისო მათგან.

სახედარს არც შეუნიშნავს ეს გალანტური ტაკიმასხარა და თავისი გზა განაგრძო.

მე კი ბრაზი წამეკიდა ამ ბრწყინვალე იმბეცილის ქცევაზე, რომელიც ჩემთვის განასახიერებდა იუნიორს მთელი საფრანგეთისას.

5. ორმაგი ოთახი

ოთახი ოცნებისდარი, ნამდვილი სულიერი სავანე, რომლის შეგუბული ატმოსფერო ოდნავ შეფერილა ცისფრად და ვარდისფრად.

აქ სული ზანტად სთვლემს მცონარების არომატულ ემბაზში, სინანულითა და წადილით სავსე ემბაზში, — ო, ეს მიმწუხრი, მოცისფრო-მოვარდისფრო მიმწუხრი, ოცნება ვნების სიამტკბილისა მზის დაბნელებისას.

უცხოდ ნახელოვნები ავეჯის ფორმები გაწელილან, მოთენთილან სევდისმომგვრელად. თითქოს ოცნებობენ, სომნამბულურ ყოფას განიცდიან თითქოს, როგორც მცენარე, ან მინერალი. ქსოვილები მუნჯურად მეტყველებენ, როგორც ყვავილნი, როგორც ზეცა, როგორც მზე ჩამავალი.

კედლებზე — არავითარი მხატვრული სუროგატი; წმინდა ოცნებასთან შედარებით, უანალიზო აღქმასთან შედარებით, განა ღვთისგმობა არ არის ყოველგვარი განსაზღვრული ხელოვნება, ყოველგვარი პოზიტიური ხელოვნება? აქ სუფევს კმაყოფილება, სიცხადე და წარმტაცი ბუნდოვანება ჰარმონიისა.

უნატრფესი არომატი მსჭვალავს ოდნავ ნოტიო

ჰაერს, მთვლემარე სულს ანანავებს სიტფო გრძნეული.

ფარდების მუსლინი თოვლივით თეთრ ტალღებად ეშვება ფანჯრებსა და ლოგინზე. ამ სარეცელზე განისვენებს სათაყვანო კერპი, ოცნების დედოფალი. საიდან გაჩნდა იგი? რომელმა ჯადოსნურმა ძალამ დასვა ამ ტახტზე, ოცნებათა და ვნებათა ტახტზე, რამ მოიყვანა? ეგ სულ ერთია. იგი აქ არის, აქ, ვიცანი, ვიცანი!

აი მისი თვალები, ბინდში ცეცხლივით მოელვარე, ცბიერი თვალები, ამაზრზენი თვალები; ვიცანი ეს თვალები და მათი საშინელი სივერაგე!

გიზიდავენ, გიმონებენ, ნთქავენ მზერას უბირი კაცისას. ხშირად ვუთვალთვალებდი მე ამ შავ ვარსკვლავებს, აღტაცებას და ცნობისწადილს რომ აღძრავენ სულში.

რომელმა კეთილმა დემონმა მომმადლა ეს სიმშვიდე, ეს იდუმალება და ნელსურნელება? ჰოი, ნეტარებავ! განა შეედრება ყოველივე ამას, თუნდაც თავის უბედნიერეს გამოვლინებაში ის, რასაც, ჩვეულებრივ, სიცოცხლეს ვუწოდებთ? განა რა საერთო აქვს მას ამ უზენაეს ცხოვრებასთან, რომელიც მე ამჟამად შევიცანი, რომლითაც ვნეტარობ ყოველ წუთს? ყოველ წამს? თუმც, არა, არა, სადღაა წუთი, სადღაა წამი! დრო გაჰქრა, მარადისობა სუფევს, განცხრომათა მარადისობა!

მაგრამ აჰა, კარზე გაისმა თავზარდამცემი, მძიმე რახუნი და თითქოს ჯოჯოხეთურ სიზმარში მო-

მეჩვენა, რომ ვიღაცამ ნიჩაბი მაძგერა მუცელში. აჰა, სულთამხუთავმაც შემოაბიჯა. ეს სასამართლოს აღმასრულებელი მოსულა ალბათ, რათა სული ამომხადოს კანონის ძალით, ან ურცხვი ხარჭა თუ მომდგომია კარს, თავისი უტიფარი მოთხოვნებით, რათა ჩემი ცხოვრების წამება გააათკეცოს თავისი ყოფის ტრივიალური წვრილმანებით, ან რომელიმე რედაქტორმა თუ გამოგზავნა კაცი და ხელნაწერის გაგრძელებას მოითხოვს ჩემგან.

სამოთხისდარი ოთახი, სათაყვანო კერპი, ოცნების დედოფალი, სილფიდა, როგორც იტყოდა დიდი რენე — მთელი ეს გრძნეულება თვალის დახამხამებაში შთანთქა სულთამხუთავის უხეშმა რახუნმა.

ჰოდ, საშინელებავ! გამოვფხიზლდი! გამახსენდა! ო, ეს ხუხულა, ეს საუფლო მუდმივი სევდის და მოწყენისა, — ეს ჩემი ბინა! აი უხეირო ავეჯი, დამტვრეული და დალეწილი; ჩამქრალი, ჩაფურთხებული ბუხარი; მოჟამული ფანჯრები, დამტვერილ მინებზე — წვიმის ზოლები. დაფანტული, დაფლაბნილი ხელნაწერები; კალენდარი, რომელზედაც ფანქრითაა აღნიშნული საბედისწერო ვადები!

ვაჰმე! უცხო სამყაროს ნელსურნელება, რომლითაც ვტკბებოდი და ვნეტარებდი ესოდენ მწველად, უცებ შესცვალა თამბაქოს ბოლის ოხშივარმა და რაღაც შმორიანმა სუნმა; ირგვლივ სიღარიბეა და მიუსაფრობა.

ამ სულისშემხუთველ, მოწყენითა და ზიზღით სავსე სამყაროში ერთადერთი ნაცნობი საგანიღა მიღიმის: ლაუდანუმის შუშა, ძველი, ვერაგი საყვარელი; ალერსსაც რომ გპირდება და ღალატსაც, როგორც ყოველი საყვარელი, ვაგლახ!

დიახ, დრომ ისევ განამკვიდრა თავისი უფლებები; დრომ ისევ იწყო განმგებლობა; და ამ საზიზღარ ბებრუხანასთან ერთად დაბრუნდა მთელი მისი ეშმაკეული ამალა: მოგონებები, სინანული, ტრუნჩხვები, შიში, მოწყენა, კოშმარები, მრისხანება და ნევროზები.

ჰოდა, წამები ახლა საზეიმოდ ღაღადებენ მთელი ხმით, და ყოველი მათგანი, გამოფრინდება თუ არა საათიდან, ხმამაღლა აცხადებს: „ეს მე ვარ, ცხოვრება, აუტანელი, უწყალო ცხოვრება“.

/არის მხოლოდ ერთადერთი წამი ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც მოაქვს კეთილი ხარება, კეთილი ხარება, ყველას, ყველას გამოუცნობ შიშის ზარს რომ სცემს./

/დიახ, დრო გამეფდა ისევ, კვლავ გამოაცხადა მან თავისი სასტიკი დიქტატურა. კვლავ ხარივით მიმერეკება იგი თავისი ორმაგი შოლტით და დამჩხავის: ჰა, გადაადგი, ჯაგლაგო, ფეხი! გაიხვითქე ოფლში, მონავ! იცხოვრე, იცხოვრე, წყეულო!

6. ყველას თავისი ქიმერა ჰყავს

ტყვიისფერ ცისქვეშ, უგზო, მტვრიან დაბლობზე, სადაც არ ხარობს არც ბალახი, არც ჭინჭარი, არც ძეძვიანი, შემომეყარნენ წელში გადრეკილი, მწკრივად მიმავალნი კაცნი.

ყოველ მათგანს ზურგზე შეესვა ვეება ქიმერა, ფქვილის ან ნახშირის ტომარასავით მძიმე, რომაელ მხედრის აღჭურვილობასავით ძნელად სატარები.

თანაც, ეს ურჩხული ინერტული მასსა როდი გახლდათ, არამედ ცოცხალი არსება, იგი შემოხვეოდა ადამიანს მძლავრი, დრეკადი კუნთებით, კისერში ჩაფრენოდა ბასრი ჭანგებით, ხოლო მისი ფანტასტიური თავი აზიდულიყო მათ თავებზე, შემზარავი მუზარადივით, ძველი დროის მეომრები რომ იხურავდნენ, მტრისათვის ზარდასაცემად.

მე ვკითხე ამ კაცთაგანს ერთ-ერთს, სად მიხვალთ-მეთქი. მან მომიგო: ეს არავინ უწყის, არც მე, არც სხვამ, თუმც აშკარაა, რომ სადღაც მივდივართო, ვინაიდან დაუთრგუნავი მოთხოვნილება გვაქვსო სვლისა.

მართლაცდა საოცარი იყო: არცერთ მგზავრთაგანს თითქოს არ აწუხებდა ზურგზე მოკიდებული და კისერში ჩაფრენილი გაავებული მხეცი, ვინა-

იდან ისინი ამ მხეცებს სთვლიდნენ საკუთარი არსების ნაწილად. ამ დაქანცულ, კუშტ სახეებზე სასოწარკვეთის ნიშანწყალიც არ ჩანდა. პირქუშ ცის ფონზე მიიზლაზნებოდნენ ისინი, ტყვიისფერ ცასავით მოსაწყენი დაბლობის მტვერში, ბედის მორჩილნი, წელში გატეხილნი, თითქოს მისჯილი აქვთო ლოდინი მარადის.

ჩამიარეს და გაუჩინარდნენ შორეთში, იქ, სადაც პლანეტის სიმრგვალე ყოველივეს ფარავს ცნობისმოყვარე კაცის თვალისათვის.

წუთით ვცადე ამოცნობა ამ მისტერიისა, მაგრამ მალე განურჩევლობამ მომიცვა დაუთრგუნველმა, და მეც გაცილებით მეტად მოვიკაკვე მისი სიმძიმილის ქვეშ, ვიდრე ის კაცნი, ქიმერების ტვირთქვეშ რომ მოკაკულიყვნენ.

7. ვენერა და მასსარა

რა ზეიმტაცი დღეა! დიდი პარკი განაბულა მცხუნვარე ხვატში, ვით სიჭაბუკე სიყვარულის მეუფებაში.

ყოვლისმომცველი ექსტაზი მდუმარებს; წყალნიც კი თვლემენ თითქოს. სიჩუმის ორგია გაშლილა აქ, კაცთა ზეიმებს როდი ჰგავს იგი.

თითქოს თანდათან ძლიერდებაო ნათელი ცისა და ელვარებენ ირგვლივ საგნები: მთვრალი ყვავილები იდაგვიან თითქოს ვნებისგან, ეჯიბრებიან თითქოს ცადაქნილს სილურჯით და ფერთა სიუხვით; თითქოს ხვატისგან საჩინოქმნილან არომატები და მიიწევენ სამზეოსკენ მსუბუქ კვამლივით.

მაგრამ აი, ამ საყოველთაო ნეტარებაში შევნიშნე მწუხარე არსება.

ვეება ვენერას ფერხთით თვალი ვკიდე ერთ-ერთ იმ შმაგთაგანს, ერთ-ერთ იმ ბუფონს მოხალისეს, ხელმწიფეებს რომ ართობს ხოლმე სინდისის ქენჯნისა და მოწყენის წუთებში. იგი კვარცხლბეკზე მოკუნტულიყო, ქანდაკების ფერხთით, ბრჭყვიალა, სახუმარო კოსტიუმში გამოწყობილი, თავზე რქებით და ზანზალაკებით და აღეპყრო თვალნი უკვდავ ქალღმერთისკენ.

და ეს თვალნი ღაღადებდნენ: „მე, კაცთა შო-

რის უკანასკნელი, მარტოსული უდიდესი, უმეგობრო და უსიყვარულო, უმდაბლეს პირუტყვზე მეტად საბრალო, შენ გევედრები! განა მეც უკვდავი მშვენების ჭვრეტად და შეგრძნებად არ ვარ შობილი? ჰოდ, ქალღმერთო! მოიღე მოწყალება! გადმოხედე წყალობის თვალით ვაებას და სიშმაგეს ჩემსას!“

მაგრამ გულქვა და შეუვალი ვენერა გასცქერის შორეთს მარმარილოს ცივი თვალებით.

8. ძაღლი და ფლაკონი

„ჩემო პატარა გოშიავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ცუგრუმელავ, მომიახლოვდი, დაგაყნოსვინო სურნელება ამ ნელსაცხებლის, ქალაქის საუკეთესო პარფიუმერთან რომ შევიძინე“.

ძაღლი კუდის ქიცინით მომიახლოვდა, რაც, ჩემის ვარაუდით, ამ საბრალო არსებებში შეესაბამება ღიმილს თუ სიცილს და ცნობისმოყვარედ მიადო სველი დრუნჩი თავღია ფლაკონს; შემდეგ უეცრად უკანვე გახტა შეშფოთებული და თითქოს მყვედრისო, ყეფა ამიტეხა.

„ო, უკუღმართო ძაღლო! ნაგვის ფუთა რომ მომეცა შენთვის, სიამით დაჰყნოსავდი და შესაძლოა შეგესანსლა კიდეც. ასე, რომ, ჩემი ნაღვლიანი ცხოვრების უღირსო მეგობარო, შენ ბრბოს ჰგავხარ, რომელსაც სათუთი არომატები როდი უნდა მიართვა — რაც მას აღიზიანებს, — არამედ კარგად შერჩეული უწმინდურება.

Ყ. ᲪᲣᲓᲘ ᲐᲔᲨᲣᲨᲔ

არსებობენ ჭვრეტით ნატურები, სავსებით უმოქმედონი, რომელნიც ზოგჯერ, რაღაც იდუმალი, აუხსნელი იმპულსის ბიძგით, ჩაიდენენ ხოლმე სავსებით მოულოდნელ ქმედებას.

ადამიანი, რომელიც ცუდი ამბის შეტყობის შიშით, სულმოკლეობით შეპყრობილი, საათობით დააბოტებს კართან და ვერ ბედავს შინ შესვლას, რომელიც კვირეთა მანძილზე არ ხსნის წერილს, ან ნახევარ წელიწადს ვერ იწყებს საქმეს, რომლის აუცილებლობაც მან ჯერ კიდევ გასულ წელს შეიგნო, — უეცრად გრძნობს, რომ რაღაც უხილავი, დაუთრგუნავი ძალა უბიძგებს მას ქმედებისაკენ, როგორც ისარს, მშვილდიდან გატყორცნილს. მორალისტი და ექიმი, ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიის მქონენი, ვერ ხსნიან, თუ საიდან იშვის ეგზომ ანაზდად ასეთი შმაგი ენერგია განცხრომის მოყვარე, მცონარე სულებში, ან ვით ხდება, რომ ადამიანები, რომელთაც არ ძალუძთ აღასრულონ სავსებით უბრალო და აუცილებელი საქმეც კი, უეცრად ჰპოვებენ თავისთავში ესოდენ ჭარბ გაბედულებას სავსებით უაზრო და ხშირად უკიდურესად სახიფათო ქმედების ჩასადენად.

ჩემმა ერთ-ერთმა ნაცნობმა, სავსებით უბორო-

ტო მეოცნებემ, ხანძარი გააჩინა ტყეში, რათა ენახა, მართლაც ისე იოლად ეკიდებოდა ხეებს ცეცხლი, როგორც ამბობენ, თუ არა. ათგზის მოეცარა მას ხელი ამ საქმეში და მეთერთმეტეჯერ გაუმართლა. თან კარგადაც გაუმართლა.

მეორე კაცი სიგარას მოწევს თოფისწამლით სავსე კასრის გვერდით, რათა დაინახოს, დარწმუნდეს, გამოსცადოს თავისი ბედი, თავისი ძალა, რათა გარისკოს, შეიგრძნოს სიმძაფრე შიშისა, — ერთი სიტყვით, — დაუფიქრებლად, კაპრიზით ან უსაქმობით.

ამგვარ ენერგიას ჰბადებს ჩვენში მოწყენა და მეოცნებეობა. ის ადამიანები, რომლებშიც იფეთქებს ხოლმე ასეთი ენერგია, უმეტესწილად, როგორც აღვნიშნე, ყველაზე მეტად უზრუნველი და ზანტი მეოცნებენი არიან კაცთა შორის.

ზოგი იმდენად მორცხვია, რომ თვალებს დაბლა ხრის მამაკაცის შემოხედვაზეც კი და დიდი ძალისხმევა სჭირდება თავისი სუსტი ნებისა კაფეში შესასვლელად ან თეატრის ღია კარში კონტროლის გასასვლელად, სადაც კაპელდინერი მინოსის, ეაკის ან რადამანთისის მსგავს გარდანქეშანად ეჩვენება მას. მაგრამ იგივე კაცი უეცრად მივარდება, კისერზე ჩამოეკიდება გზადმიმავალ მოხუცს და გადაკოცნის მას განცვიფრებულ გამვლელთა თვალწინ.

რად იქცევა იგი ამრიგად? იმის გამო, უთუოდ იმის გამო, რომ მოხუცის სახე საოცრად ესიმპა-

თიურა მას. როგორც ჩანს, ასეა, მაგრამ უფრო ბუნებრივია დავუშვათ, რომ მან თავადაც არ უწყის, რად იქცევა ასე.

მე არაერთხელ გავმხდარვარ მსხვერპლი მსგავსი შეტევებისა, მსგავსი ლტოლვებისა და მომსვლია აზრი რომელიღაც ვერაგი დემონების შესახებ, ჩვენში რომ შემოსახლდებიან და გვაიძულებენ ხოლმე თავიანთი უკიდურესად აბსურდული ბრძანებების აღსრულებას.

ერთ დილას გამომეღვიძა ამრეზილს, მცონარებით დაღლილს, თან მეჩვენებოდა, რომ ამჯერად მზად ვიყავი რაღაც დიადი საქმის ჩასადენად; ამასთან, ჩემდა საუბედუროდ, ფანჯარა გამოვაღე.

გთხოვთ დაუკვირდეთ, რომ მისტიფიკაციის სული სრულიადაც არ გახლავთ შედეგი წინასწარი გააზრებისა და ანგარიშისა, იგი უეცარი ზეშთაგონების შედეგია, მას ბევრი აქვს საერთო იმ აღტყინებასთან, ექიმები ისტერიულს რომ უწოდებენ, ხოლო უფრო გათვითცნობიერებული ხალხი — სატანურს. ამგვარ წინასწარ განწყობას იწვევს ჩვენში დაუთრგუნავი ლტოლვა ყოველნაირი სარისკო და უკულმართი საქციელის ჩადენისაკენ.

პირველი გამვლელი, ქუჩაზე რომ შევნიშნე, აღმოჩნდა მეშუშე, რომლის გამყივანი ხმა მოსწვდა ჩემს სმენას პარიზის ჩახუთულ, ჩაზრქელებულ ატმოსფეროში. სხვათაშორის, ვერ ამიხსნია, თუ რად მომიცვა ასეთმა უეცარმა, დესპოტურმა სიძულვილმა ამ უბრალო, საცოდავი კაცისადმი.

„ჰეი! ჰეი! — მოვუხმე მას, ამასთან ფარულად ისიც მსიამოვნებდა, რომ ჩემი ოთახი მეექვსე სართულზე იყო, ხოლო მეშუშეს ფრიად გაუჭირდებოდა ამოსვლა ვიწრო და დაგრეხილ კიბეზე და თავის მყიფე ტვირთს რამდენჯერმე მიახლიდა კიდევაც კედელს.

ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა იგიცა. მე გულდასმით დავათვალიერე მისი შუშები და შევძახე: „როგორ? მაშ თქვენ არ გქონიათ ფერადი მინები? არ გქონიათ ვარდისფერი, ცისფერი, მეწამული მინები? მაგიური, სამოთხისდარი მინები? ო, შე უსირცხვილოვ! და ამის შემდეგ შენ კიდევ ჰბედავ ღარიბ-ღატაკთა უბნებში ხეტიალს და თან არ დაგაქვს ისეთი მინები, რომელნიც ცხოვრებას ოდნავ უფრო ლამაზ ფერებში მაინც გვაჩვენებენ?“ და ამ სიტყვებით კინწისკვრით ჩავუძახე მას იმავე კიბეზე, რომლითაც ამოვიდა, იგიც ჩაბარბაცდა ძირს ბურტყუნითა და ბორძიკით.

მე კი აივანზე გამოვედი, დავტაცე ხელი ყვავილების ქოთანს და როდესაც მეშუშე კვლავ გამოჩნდა ქუჩაზე, პირდაპირ ვტყორცნე ჩემი ჭურვი, მოვახვედრე ძგიდეს მისი ტვირთისას, იგი მიწაზე გაიშხლართა და დაემსხვრა მთელი თავისი ავლადიდება, რომელიც ზრიალითა და ლიწინ-ლიწინით გაიფანტა, თითქოს მეხი დაეცაო ბროლის სასახლეს.

მე კი, ჩემივ სიშმაგით მთვრალმა, მივაძახე მას გააფთრებით:

„ცხოვრება ლამაზ ფერებში უნდა ჩანდეს! ცხოვრება ლამაზ ფერებში უნდა ჩანდეს!“

ასეთი ნერვიული გამოხდომები ფრიად სახიფათოა და ხშირად ძვირადაც გვიღირს ხოლმე, მაგრამ განა დაგიდევთ თუნდაც მომსვრელ და სამუდამოდ ამომგდებ წყევლას იგი, ვინც ერთ წამში ჰპოვა სიამის მთელი უსასრულობა?

10. ღამის პირველი საათი

ᲧᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

ბოლოს და ბოლოს, ძლივს მარტო დავრჩი! ქუჩიდან რამდენიმე დაგვიანებული, ქანცმილეული ეკიპაჟის ხმაურიღა მოისმის. სიმშვიდეში თუ არა, მდუმარებაში მაინც გავატარებ რამდენიმე საათს. ძლივს მეღირსა მარტო დარჩენა. ¡ადამიანთა სახეების ტირანია დამთავრდა, ასე რომ, ახლა მარტოოდენ საკუთარი თავიღა დამტანჯავს.!

აჰა, მარტო ვარ! ახლა კი ძალმიძს განვიბანო ღამეულ სიბნელეში. უწინარეს ყოვლისა, ორგზის გადავატრიალოთ კარში გასაღები. აგრე მეჩვენება, თითქოს გასაღების ეს გადაბრუნება აძლიერებს ჩემს სიმარტოვეს და განამტკიცებს იმ ბარიკადებს, რომელნიც ამჟამად აღმართულან ჩემსა და მთელს სამყაროს შორის.

საზარელი ყოფა! საზარელი ქალაქი! გავიხსენოთ გასული დღე: შევხვდი რამდენიმე ლიტერატორს, რომელთაგან ერთმა მკითხა, ნეტავ სახმელეთო გზა თუ მიდისო რუსეთში (როგორც ჩანს, რუსეთი მას კუნძული ჰგონია). დიდსულოვნად ვეპაეჭრე ერთი ჟურნალის რედაქტორს, რომელიც ჩემს ყოველ მოსაზრებას ასე პასუხობდა: „ჩვენი ჟურნალი პატიოსანი ხალხის ხელშია“, — ამით, ცხადია, იმას გულისხმობდა, რომ სხვა ჟურნალე-

ბის რედაქტორები ჯიბგირები არიან; ოციოდე კაცს მივეესალმე, რომელთაგან თხუთმეტს არც კი ვიცნობდი; ამდენსავე კაცს ჩამოვართვი ხელი, თუმც წინდახედულად წინასწარ ვერ მოვიმზადე ხელთათმანი. სანამ კოკისპირულად წვიმდა, დროის მოსაკლავად, ერთ მოცეკვავე ქალთან შევიარე, რომელმაც შემომთავაზა კოსტიუმ „ვენეტრას“ დახატვა; ვევაჭრე თეატრის დირექტორს, რომელმაც ასეთი სიტყვებით გამომისტუმრა: „თქვენ კარგს იზამთ, თუ, ზ...ს მიმართავთ, ჩემს ავტორებს შორის ეს კაცი ყველაზე მეტად ტანსრულია, ყველაზე მეტად ბრიყვი და თან ყველაზე სახელგანთქმული; მასთან უთუოდ მიაღწევთ რამეს. ინახულეთ იგი და მერმე ვისაუბროთ“. ვიტრაბახე (არ ვიცი, რად) ზოგი უკუღმართი საქციელით, რომელიც არასოდეს ჩამიდენია; რამდენიმე ჩემივე ქველმოქმედება, ერთ დროს სიხარულით ჩადენილი, სულმოკლედ უარვყავი ფანფარონობით და ადამიანის ღირსებისადმი უპატივცემულობით; მეგობარს უარი ვუთხარი წვრილმან სამსახურზე და პირწავარდნილ გაიძვერას მივეცი წერილობითი რეკომენდაცია; უჰ! და განა ეს არის ყველაფერი?

ყველაფრით უკმაყოფილოს, საკუთარი თავით უკმაყოფილოს, რარიგ მსურს გამოვისყიდო ყოველივე და მცირეოდენი ხალისი მაინც ვპოვო ღამეულ სიჩუმეში და სიმარტოვეში! სულნო, ვინც მიყვარდით, სულნო, ვისაც გიმღერდით, განმაძლიერეთ, განმამტკიცეთ, განმარიდეთ სიცრუე და

ხრწნადი ოხშივარი ამა სოფლისა, ხოლო შენ, უფალო ღმერთო ჩემო, ჰყავ წყალობა და შემეწიე რამდენიმე მშვენიერი ლექსის შექმნაში, რითაც მე დავუმტკიცებ ჩემს თავს, რომ არა ვარ კაცთა შორის უკანასკნელი და არც მათზე მდაბალი, ვინცა მძულს!

11. ველური ქალი და პრანჭია საყვარელი

„დიახ, ჩემო ძვირფასო, თქვენ ნამეტნავად დამღალეთ; თქვენი გმინვა-ოხვრის მოსმენა მართლაც რომ აუტანელია! კაცი იფიქრებს, თითქოს მეტად იტანჯებოდეთ, ვიდრე სამოცი წლის დედაბერი, ნამჯაში რომ აგროვებს თავთავების ნარჩენებს, ან მოხუცი მათხოვარი, კაბარეს კართან რომ დაეძებს ნამუსრევს.

„თქვენი ოხვრა სინდისის ქენჯნას მაინც რომ გამოხატავდეს, პატივისცემის ღირსი იქნებოდით, ასე თუ ისე; მაგრამ ვაი, რომ იგი მხოლოდ მოყირჭების და მცონარების გამოვლინებაა. გარდა ამისა, თქვენ ხშირად ისვრით ისეთ უსარგებლო ფრაზებს, როგორიცაა: „რატომ არ გიყვარვართ უფრო მეტად? ხომ იცით, როგორ მჭირდება ალერსი! მანუგეშეთ, მომეფერეთ აი, ასე, აი, ამრიგად“ და ა. შ. ჰოდა, მეც გადავწყვიტე თქვენი მორჩენა; იქნებ ორიოდე სუს საფასურად ვიშოვოთ შესაფერისი წამალი სადმე ახლომახლო, ამ საზეიმო ორომტრიალში?

„გეთაყვა, მოდით, კარგად დავუკვირდეთ, აი, ამ მაგარ რკინის გალიას, რომელშიც ორანგუტანგივით დაძრწის ბანჯგვლიანი ურჩხული დაწყევ-

ლილივით ღრიალებს და არყევს რიკულებს, ტყვეობით შმაგქმნილი. თან შესანიშნავად ბაძავს ხან ვეფხის ნახტომებს, ხანაც თეთრი დათვის ბაჯბაჯს. ჰოდა, აი, ეს მაჯლაჯუნა თავისი იერით საოცრად ჩამოგგავთ თქვენ! დიახ, ეს მაჯლაჯუნა ერთი იმათთაგანია, ვისაც ჩვეულებრივ უწოდებენ ხოლმე „ჩემს ანგელოსს“ — იგი ქალი გახლავთ. მეორე მაჯლაჯუნა კი, გვერდს რომ უმშვენებს მას, უშველებელი კეტით ხელში და ღრიალებს მთელი ხმით — ქმარია მისი. მას თავისი კანონიერი ცოლი ჯაჭვით დაუბამს ტყის ნადირივით და დაატარებს საჩვენებლად ბაზრის მოედანზე, — ცხადია, ხელისუფლების ორგანოების ნებართვით.

„აბა, კარგად დაუკვირდით! ნახეთ, რა ხარბად ნთქავს იგი ცოცხალ ბაჭიებს და ფრინველებს, რომელთაც უყრის თავისი პატრონი და თან დასძახის: „გეყოფა! მთელი შენი ავლადიდება ერთ დღეში ხომ არ უნდა შესანსლო!“ ამ ბრძნული სიტყვით იგი სტაცებს ხელს და უკანვე ართმევს ნადავლს უწყალოდ, რომლის ნაწლავნიც კბილებში ეჩხირება სისხლმწყურვალ მხეცს, ანუ ველურ ქალს.

„აჰა, მიიღო მან ლაზათიანი კეტი, გასაყუჩებლად. მისი ხარბი თვალები კი მაინც წართმეული საზრდოსაკენ იცქირებიან. ღმერთო ჩემო, ეს კეტი ბუტაფორია როდი გახლავთ! თუ გსმენიათ ოდესმე •ხმა ამგვარი დარტყმისა, ხმა ცოცხალი ხორცისა, მატლის სქელი ფენაც რომ ვერ აყრუებს? აი, ახლა თვალები გადმოკაკლა, იგი უფრო

ბუნებრივად იღრინება. გაავებისაგან ცეცხლს ჰყრის პირიდან, როგორც გავარვარებული რკინა ურეოს დარტყმისაგან.

„ასეთია ოჯახური ცხოვრება ადამისა და ევას ამ ორი ნაშიერისა, ხელთა შენთა მიერ შექმნილთა, უფალო ჩემო. ეს ქალი უთუოდ უბედურია, თუმც, შესაძლოა, მისთვისაც არ ყოფილიყო დროდადრო უცხო დიდებით ტკბობის გრძნობა. სხვათა ყოფა ხომ კიდევ უფრო მძიმეა და უიმედო. იმ სამყაროში, რომელშიც იგი გადმოსტყორცნა ბედმა, მას ვერ წარმოედგინა, რომ მისდარი ქალი სხვაგვარ ბედს იმსახურებდა.

„ახლა დავუბრუნდეთ ჩვენ ორის ამბავს, ჩემო ძვირფასო! იმ ჯოჯოხეთის შემყურემ, რომელიც აღავსებს მთელს სამყაროს, რა უნდა ვიფიქრო თქვენს ტკბილ ჯოჯოხეთზე. როდესაც ვხედავ, რომ განსვენება ძალგიძთ მხოლოდ საკუთარი კანივით ნატიფ ქსოვილებზე, მირთმევა ძალგიძთ მხოლოდ შემწვარ-მოხრაკულისა, რომელსაც მარდი ხელშინაურნი წვრილად დაკეპილს მოგართმევენ ხოლმე ლანგარზე?

„რას უნდა მოასწავებდნენ ჩემოვის ეს თქვენი ნაზი ოხვრანი, სურნელოვან მკერდს რომ გიტოკებენ, შეუვალო პრანჭიავ? ან თქვენი ნათამაშები ჟესტები, წიგნებიდან ამოკრეფილნი, ან ეს თქვენი მუდმივი მელანქოლია, რომელიც მნახველში აღძრავს გრძნობას, სიბრალულისგან სავსებით განსხვავებულს? ღმერთმანი, ზოგჯერ მოთხოვნილება

მაქვს გიჩვენოთ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ვაება.

„კაცი რომ შემოგხედავთ, ჩემო ცუგრუმელავ, ვით მიაბიჯებთ ტალახში თავაწეული და მეოცნებე თვალებით ასცქერით ზეცას, თითქოს მეფისწულის ჩამოსვლას ელითო, — ნორჩ ბაყაყს ჰგავხართ მაშინ, იდეალზე მეოცნებეს. და თუ გეზიზღებათ დოყლაპია (ჩემი სახით), მაშინ უფრთხილდით წეროს, რომელიც აგკენკავთ, გადაგყლაპავთ და გაგაქრობთ ერთ წუთში, ყინის მოსაკლავად!

„მართალია, პოეტი გახლავართ, მაგრამ არც ისე იოლია ჩემი გაცურება, როგორც თქვენა გგონიათ, და თუ კვლავაც მომაბეზრებთ თავს თქვენი მანჭვა-გრეხით და კრუსუნით, მოგეპყრობით, როგორც ველურ ქალს ან გადაგისვრით ლია ფანჯრიდან, ცარიელი ბოთლივით“.

12. ბრბო

ყველას როდი ხელეწიფება ბრბოში გათქვეფა, ბრბოში ყვინთვა, ბრბოში განცხრომა, — ეს ხომ ხელოვნებაა ერთგვარი; კაცთა მოდგმის გარდაქცევა ხალისისა და სიამის წყაროდ მხოლოდ მას ძალუძს, ვისაც კეთილმა ფერიამ აკვნიდანვე შთაუნერგა მიდრეკილება გარდასახვისაკენ, ნიღბების ცვლისაკენ, შეაძულა მშობლიური კერა და შეაყვარა მოგზაურობა.

ბრბო და მარტოობა — ერთმნიშვნელოვანი სიტყვებია. პოეტის ქმედითი, ცხოველმყოფელი სული იოლად გარდაჰქმნის პირველს მეორედ. ვინაც არ იცის წარმოსახვით დასახლება თავისი სიმარტოვისა, იგი ვერასოდეს შეიგრძნობს მარტოობას ბრბოს ორომტრიალში.

პოეტს ერთი შეუდარებელი უპირატესობა აქვს: მას სურვილისამებრ ძალუძს არამარტო თვითგამოხატვა, არამედ სხვადქცევაც. პოეტს ძალუძს განსხეულდეს ნებისმიერ არსებად, იმ სულის მსგავსად, ამქვეყნად სხეულებრივ გარსს რომ დაეძებს. პოეტისთვის, ერთადერთისთვის ხსნილია ყოველივე, და თუ ზოგიერთი კუნჭული მისთვის

თითქოს მიუწვდომელია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ იმსახურებს მის ყურადღებას.

მარტოხელა, ფიქრებში წასული მეოცნებე თავისებურ თრობას ჰპოვებს სამყაროსთან ამგვარ ყოვლისმომცველ ერთობაში. ის, ვინც იოლად ითქვიფება ბრბოში, იმგვარ სიამეთა ციებ-ცხელებას განიცდის, რომელთაც ვერასოდეს ეღირსება ზანდუკივით თავისთავში ჩაკეტილი ეგოისტი ან ლოფორთქინასავით მცონარე კაცი. იგი ეგუება ყოველგვარ პროფესიას, საკუთარივით განიცდის ყოველგვარ სიხარულს თუ ტანჯვას, რომელსაც შემთხვევა მოუტანს.

ის, რასაც აღაპიანები სიყვარულს უწოდებენ, უბადრუკობაა, ფუჭი არარაობაა ამ გამოუთქმელ ორგიასთან შედარებით. ეს არის წმიდათაწმიდა პროსტიტუცია სულისა, რომელიც მთლიანად ეძლევა ყოველგვარ მოულოდნელობას, გამოუცნობს, წამიერს და ანაზდეულს, ეძლევა მთელი თავისი გზნებითა და პოეტურობით.

ამ სოფლად ბედისაგან განებივრებულთ უნდა შევახსენოთ ხოლმე, რომ არსებობენ მათთვის მიუწვდომელი სიამენი, უფრო მაღალნი, უფრო დახვეწილნი, უფრო წარმტაცნი. ამით ისინი წუთიერად მაინც დასთმობენ თავიანთ უსაზმნო ამპარტავნებას. კოლონიების დამაარსებელნი, ერისმთავარნი, მღვდელ-მისიონერები, ქვეყნის კიდეზე გადახვეწილნი, უცილოდ ნაზიარებნი არიან ამ გამოუთქმელ სიამეთა იდუმალებას. თავისი გენიით შექმნილ

ხალხმრავალ ოჯახებში დამკვიდრებულნი, ისინი უცილოდ შეიგრძნობენ ამ განცხრომას და იდუმალ დასცინიან მათ, ვისაც ებრალება ასეთი ადამიანები მათი მშფოთვარე ყოფისა და ასკეტური ცხოვრების გამო.

13. ჟვრიკები

ვოვენარგე * ამბობს, რომ საზოგადოებრივ ბალებში არის ხეივნები, სადაც იკრიბებიან იმედგაცრუებული, ცხოვრებაზე გულაყრილი ადამიანები, ხელმოცარული გამომგონებლები, დიდების კიდეგან შთენილნი, გაბზარული გულები, თავისთავში ჩაკეტილი, მშფოთვარე სულები, რომლებშიც ჯერაც არ განელებულა ცხოვრების ქარიშხლისაგან შემორჩენილი ოხვრა და რომელნიც თავს არიდებენ გახარებულთა და სვებედნიერთა უტიფარ მზერას. ეს ჩრდილოვანი სადარნონი — ცხოვრებასთან ბრძოლაში დასახიჩრებულთა თავშეყრის ადგილებია.

პოეტი და ფილოსოფოსი განსაკუთრებით ეტანებიან ასეთ ადგილებს. აქ მათ უტყუარი ნადავლი ელით. ადრეც მითქვამს, რომ ისინი ყველაზე მეტად არიდებენ თავს მდიდართა და მორჭმულთა მხიარულ თავყრილობებს. მათ უაზრო ჟრიამულში ისინი ვერ ჰპოვებენ ვერაფერს სახეიროს და პირუკუ, მათ იზიდავს ყოველივე სუსტი, დათრგუნული, დაჩაგრული და დაობლებული.

გამოცდილი თვალი აროდეს ცდება ასეთ შემ-

---

* XVIII ს. ფრანგი მორალისტი.

თხვევაში. ამ გაქვავებულ და გატანჯულ სახის ნაკვთებში, ამ ჩაცვენილ და ჩასიებულ თვალებში, რომელნიც ზოგჯერ უკანასკნელი გაბრძოლების ცეცხლით ელავენ, ამ აურაცხელ, ღრმა ნაოჭებში, ამ მძიმე და არათანაბარ მიხრა-მოხრასა და სიარულში პოეტი იოლად ამოიცნობს ხოლმე უიღბლო სიყვარულის, გაწბილებული ერთგულების, ამაო ცდის, უდრტვინველად გადატანილი შიმშილისა და სიცივის ამბებს.

ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევიათ ბაღში ქვრივები ეულ, მივარდნილ სკამებზე, საბრალო ქვრივები? მათ იოლად შეიცნობთ, გინდ შავებში, გინდ უშავებოდ, გაჭირვებული ადამიანის ტრაურს ხომ ყოველთვის რაღაც აკლია, და ეს დისჰარმონია კიდევ უფრო ამძიმებს შთაბეჭდილებას. ღატაკი იძულებულია მწუხარებაშიც ხელმოჭერილი იყოს, მდიდარი კი საჩვენებლად გამოჰფენს ხოლმე თავის გლოვას მთელი სისრულით.

რომელია ამ ქვრივებს შორის უფრო სევდიანი, რომელი იმსახურებს უფრო მეტ სიბრალულს — ის, რომელსაც ბალღი მიჰყვება ხელჩაკიდებული, მისი მწუხარე ფიქრების გაზიარება რომ არ ძალუძს, თუ ის, რომელიც სრულიად მარტოა? არ ვიცი... ერთხელ რამდენიმე საათს ვაკვირდებოდი ამვვარ სევდიან, მოხუც ქალს, მახსოვს იგი, წელში გამართული, თავაწეული, გაცვეთილი შალი რომ მოეხვია და მთელს მის არსებაში სტოიკოსის სიამაყე რომ მჟღავნდებოდა.

ჩანდა, მას სრული სიმარტოვე მიუსაჯა ბედმა, რის შედეგადაც მას უცოლო კაცის ჩვევები დასჩემდა და ეს მამაკაცური ცხოვრების წესი ერთგვარი პიკანტური იდუმალებითაც კი მოსავდა მთელს ყოფას მისას. არ ვიცი, რომელ იაფფასიან კაფეში ისაუზმა მან იმ დღეს, ან როგორ ისაუზმა. მე გავყევი მას და მივაცილე სამკითხველომდე. დიდხანს ვაკვირდებოდი მის ცრემლით ამომწვარ თვალებს, რომლებიც გულდასმით ეძებდნენ გაზეთში რაღაც ცნობას, პირადად მისთვის ფრიად საინტერესოს და აუცილებელს.

ბოლოს, ნაშუადღევს, შემოდგომის მშვენიერ ცის ქვეშ, გუნდ-გუნდად რომ გვათოვს მოგონებებს და გულისტკივილს, იგი ჩამოჯდა ბაღის მივარდნილ კუთხეში, რათა ბრბოსაგან განმარტოებით მოესმინა კონცერტი იმ სამხედრო ორკესტრისა, პარიზის მკვიდრთ რომ სთავაზობდა ხოლმე მუსიკას.

როგორც ჩანს, ეს ერთგვარი მცირე ნადიმი იყო ამ ასაკოვანი, უმანკო სულისა (ან ასაკოვანი და ცოდვათაგან განწმენდილი სულისა) — მცირე ნუგეში ერთ-ერთი მძიმე დღისა, რომელიც მან გაატარა მეგობრისა და მისანდობელის გარეშე, უტყვად და უხალისოდ. ასეთ დღეებს კი, როგორც ჩანს, განგება ხშირად უგზავნიდა წლების განმავლობაში, შესაძლოა, წელიწადში სამას სამოცდახუთჯერაც.

აი, მეორე:

მე თავს ვერასოდეს ვიკავებ და დიდხნობით ვუცქერ ხოლმე, თუ სრული სიმპათიით არა, ცნობისწადილით მაინც, საზოგადოებრივი პარკის ღობესთან შემოჯარულ ბრბოს, მუსიკას რომ უსმენს გარედან. ორკესტრი ღამეულ სიბნელეში საზეიმო აკორდებს ისვრის, ტრიუმფისა და აღტყინების აკორდებს. გრძელი, ნაოჭებიანი კაბების შრიალი, მზერათა შეხლა, მცონარენი, უსაქმობით დაღლილნი, აქეთ-იქით რომ დააბოტებენ ზანტად, ვითომდაც მუსიკის მოსასმენად მოსულნი. ბაღში მხიარულებაა და სიმდიდრე, ყველაფერი უზრუნველყოფითა და ცხოვრების ხალისით სუნთქავს, ყველაფერი, ამ ბრბოს გარდა, ბაღის მესერს რომ აწვება, რათა დაიჭიროს ქარის მოტანილი უფასო მუსიკის ხმები და დატკბეს იმ ბრწყინვალებით, ღობის გადაღმა რომ მოჩანს.

მუდამ საინტერესოა, ვით ირეკლება მდიდრის შვება-მხიარულება ღატაკის თვალებში. მაგრამ იმ დღეს, ამ ჩითის კაბებითა და ბლუზებით მოსილ ბრბოში შევნიშნე არსება, რომლის კეთილშობილი იერიც საოცარ კონტრასტს ჰქმნიდა გარსმოჯარულ მდაბიორებთან.

ეს იყო მაღალი ქალი, ისეთი დიდებული და კეთილშობილი იერისა, რომლის მსგავსიც არ შემხვედრია თვით ძველი დროის არისტოკრატ ლამაზმანთა სურათების კოლექციებშიც კი. მთელი მისი არსება საოცარი სიამაყითა და სიქველით სუნთქავდა. მის გამხდარ, მწუხარე სახეს საოცრად უხდე-

ბოდა შავები. იგიც, ბრბოს მსგავსად, დაფიქრებით უცქეროდა ამ გაჩახჩახებულ სამყაროს და თავის ქნევით აჰყოლოდა ორკესტრის ტაქტს.

საოცარი ხილვა! მე გამიელვა: „ეს სიღატაკე, თუ ეს მართლაც სიღატაკეა, მაინც შეუთავსებელია ამგვარ წვრილმან ეკონომიასთან. ასეთი კეთილშობილი სახის პატრონს ეს არ შეჰფერის. რად დარჩენილა იგი ნებაყოფლობით ამ ბრბოში, რომლისგანაც ესოდენ მკვეთრად გამოირჩევა?“

მაგრამ როდესაც გვერდით ჩავუარე მას, მივხვდი ყოველივეს. ამ მაღალ ქვრივ ქალს გვერდით ედგა ხელჩაკიდებული, მასავით შავად მოსილი ბალღი. რაოდენ მცირეც არ უნდა ყოფილიყო ბაღში შესვლის ღირებულება, ეს თანხა მას გამოადგებოდა ამ პაწაწინა არსების რაიმე სურვილის დასაკმაყოფილებლად, სათამაშოსთვის, ან რაიმე კაპრიზისათვის.

იგიც, როგორც ჩანს, შინ ბრუნდებოდა ფეხით, ეული, სავსებით ეული, ფიქრებსა და ოცნებებში წასული; ბალღი ხომ ჭირვეულია, მოუთმენელი, ეგოისტი და უგრძნობელი; და მას არ ძალუძს, თუნდაც ცხოველის, ძაღლის ან კატის მსგავსად, გაზიარება მარტოსულის დარდისა.

14. ბებერი ჯამბაზი

სასეირნოდ გამოსული ბრბო ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო მოედანზე და მხიარულობდა. ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული, რომლის დადგომაზეც წინასწარ ოცნებობენ ყოველი ჯურის კომედიანტები, ჯამბაზები, მხეცთა მგეშავნი და მეწვრილმანენი, იმ იმედით, რომ აინაზღაურებენ მთელი წლის დანაკლისს.

ასეთ დღეებში, როგორც ჩანს, ხალხს ავიწყდება ყველაფერი — სადარდებელიც და საზრუნავიც; ყველანი ბალღებს ემსგავსებიან. ბალღთათვის ეს დღე ხომ შვების დღეა, სკოლის დავიდარაბისაგან განთავისუფლებაა მთელი დღე-ღამით. მოზრდილთათვის კი ეს ზავია ცხოვრების მტრულ ძალებთან დადებული, თავის დაღწევაა გამუდმებული დაძაბულობისა და ბრძოლისაგან.

თვით საზოგადოებაში გამოსული კაციც კი, ინტელექტუალური შრომით მცხოვრები, ჩაებმება ზოგჯერ ამ გადამდებ მხიარულების ფერხულში, ძალაუნებურად მასაც ჩაითრევს ხოლმე საყოველთაო უზრუნველობის ატმოსფერო. მეც, როგორც ჭეშმარიტ პარიზელს, არასოდეს გამიშვია შემთხვევა ქუჩის ამ სანახაობათა ჭვრეტისა, განსაკუთრებით უქმე დღეებში.

ირგვლივ მართლაცდა საშინელი კონკურენციის ატმოსფერო სუფევს: ისმის ღრიალი, ყმუილი, კივილ-წივილი; ეს ხმები სპილენძის გუგუნსა და აფეთქების ხმებს ერწყმიან. ჭრელჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი მასხარები ათასგვარად მანჭავენ შავგვრემან, ქარცემულ სახეებს, წვიმისა და მზისაგან გაკაჟებულნი, დიდი მსახიობის აპლომბით ისვრიან ენამახვილ კალამბურებს, მოლიერის იუმორივით მძიმესა და სოლიდურს. ჩაფსკვნილი ძალოსნები ამაყობენ თავიანთი დაბერილი კუნთებით, ორანგუტანგისებური ჩაჭყლეტილი თავ-კისრით, გოროზად დააბიჯებენ წინადღით საგანგებოდ გარეცხილ შემოჭერილ რეიტუზებშ-, მოცეკვავე გოგონები ფერიების დარად დაცქრიალებენ ფარნების შუქზე, მათ ბრჭყვიალა ქვედაკაბებზე რომ ირეკლება.

ყველგან სინათლე, სიხარული, ყაყანი, ციებცხელება. ერთნი ფულს იხდიან, მეორენი იხვეჭენ, თანაბარის ხალისით. ირგვლივ დიდი გამოცოცხლებაა. ბალღები დედის კალთებს ჩასჭიდებიან, თხოვენ შაქარყინულს, ხანაც მამებს ასხდებიან მხრებზე, რათა უკეთ დაინახონ ილუზიონისტი, მათ თვალში — ბრწყინვალე ღვთაება. აქ ყველა სხვა არომატს ახშობს ტაფაზე აშიშხინებული ერბოს სუნი, თითქოსდა საკმეველიაო ამ დღესასწაულისა.

ფარდულების რიგის ბოლოში დავინახე საბრალო, ბებერი ჯამბაზი, მოკაკული, ძალმიხდილი, თითქოს სირცხვილით გამოქცევიაო ამ დიდებულ

ზეიმს — ეს იყო რაღაც ნანგრევი ადამიანისა. იგი თავისი გახუნებული კარვის ერთ-ერთ სვეტს მიყრდნობოდა, ასეთი დაძენძილი კარავი არც ერთ დაჩლუნგებულ და გაუბედურებულ ველურს არ ექნებოდა. აქ ძლივსღა ბჟუტავდა ორი, თითქმის ბოლომდე დამწვარი სანთელი.

ყველგან სიამე, სიხარული, ღრიანცელი, სარფა, ხვალინდელი დღის იმედი; ცხოველმყოფელი ხალისი; აქ კი უიმედობა, სიდუხჭირე — თანაც სიდუხჭირე ჯამბაზის ჩვრებში მორთული, თვით გაჭირვება ჰქმნიდა მყვირალა კონტრასტს, ყოველგვარი ხელოვნების გარეშე. ეს უბედური როდი იცინოდა! იგი არც ტიროდა, არც ცეკვავდა, არც მღეროდა, ქესტითაც კი არ ითხოვდა შველას. იგი უძრავად და უტყვად იდგა, დამორჩილებოდა ბედს, დაეყარა ფარ-ხმალი. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ რა ღრმა, რა დაუვიწყარი მზერით ათვალიერებდა იგი ამ ბრბოს, ამ შუქურებს, რომელთა მორევი შეგუბებულიყო მისი დუხჭირი სადგომის მახლობლად! ბოლმა მომაწვა ყელში, თვალები ცრემლით ამევსო, იმ ჯიუტი ცრემლით, რომელიც თითქოს არ ლამობსო თვალთაგან გადმოღვრას.

რა მექნა? ხომ არ მეკითხა ამ უბედურისათვის, რა იშვიათობის, რა უცნაურობის ჩვენებას აპირებდა იგი აქ, იმ აყროლებულ ფარდულებთან, პატარა სცენაზე? მართალი გითხრათ, ვიდექი და ვყოყ-

მანობდი, მეშინოდა, გული არ ვატკინო-მეთქი. ბოლოს გადავწყვიტე, ცოტაოდენი ფული ჩამედო მისთვის, იმ იმედით, რომ იგი სწორად გამიგებდა, მაგრამ ამ დროს რაღაც ალიაქოთი ატყდა. ბრბო დამეტაკა და წამიღო სხვა მხარეს და იგი დავკარგე თვალთაგან.

უკან ვიხედებოდი, თითქოსდა დევნილი ამ ზმანებით, თან გულისტკივილით ვამბობდი: რა ვნახე ახლა? განა ეს მოხუცებული მწერლის ხატება არ იყო, თაობა რომ შემოეცლება, რომლისთვისაც იგი ბრწყინვალე გართობის წყაროს წარმოადგენდა; განა ეს მოხუცი პოეტი არ იყო, რომელსაც არც მეგობრები ჰყავს, აღარც ოჯახი, აღარც შვილები, რომელიც გაჭირვებამ და უმადურმა საზოგადოებამ სრულ დაცემამდე მიიყვანეს და რომლის ფარდულშიც ამ გულმავიწყ და ცვალებად ხალხს აღარ უნდა შესვლა?

15. ნამცხვარი

მე ვმოგზაურობდი. პეიზაჟი ჩემს გარშემო კეთილშობილი სიდიადით სუნთქავდა და აი, ამ დროს, სულში ჩამრჩა ერთი ამბავი.

ჩემი აზრები მსუბუქად ქროდნენ, ქვენა ვნებები — მიწიერი სიყვარულიც და სიძულვილიც, ისევე შორს იყვნენ ჩემგან, როგორც ღრუბლები, უფსკრულის პირად გაშლილნი, ხოლო სული ჩემი წმინდად და უსასრულოდ მეჩვენებოდა, როგორც ცარგვალი. მიწიერი მოგონებები ექოდღა მოდიოდნენ ჩემს გულამდე, როგორც იმ შორეული ფარების ეჟვნები, შორს, მეორე მთის ფერდობზე რომ შეფენილიყვნენ. პატარა უძრავ ტბაზე ღრუბლის ჩრდილი გადაივლიდა ხანდახან — თითქოს ვეება ჰაეროვანმა გიგანტმა გადაიფრინაო ცაზე და მისი მოსასხამი ირეკლებაო ტბის ზედაპირზე. მახსოვს, ეს უჩვეულო შთაბეჭდილება სავსებით უხმაურო მოძრაობისა, საზეიმო, თუმც შიშნარევი შვებით აღმავსებდა. მოკლედ, ჩემი გარემომცველი ზეაღმტაცი მშვენიერებისაგან სულიერ მშვიდობას შევიგრძნობდი საკუთარ თავში და მთელს სამყაროში და, ვგონებ, ასეთი ნეტარებისაგან სავსებით დავივიწყე მიწიერი ბოროტება და მზად ვიყავ მერწმუნა არცთუ ისე უსაფუძვლო მტკიცებანი

გაზეთებისა იმის შესახებ, რომ ყოველი ადამიანი თავისი ბუნებით სიკეთისკენაა მიდრეკილი. — მაგრამ ამ დროს, ყოვლისშემძლე მატერიის მოთხოვნილების შესაბამისად, ვიწყე ფიქრი ჭამასა და მოსვენებაზე, ესოდენ ხანგრძლივი აღმასვლის შემდეგ. ჯიბიდან ამოვიღე პურის დიდი ნატეხი, ტყავის ფინჯანი და მათარა, ელექსირით სავსე, რომლის აღრევაც შეიძლებოდა თოვლიან წყალთან (იმ დროს ასეთი ელექსირები აფთიაქში იყიდებოდა ტურისტებისათვის).

მე გულმშვიდად გავტეხე პური, მაგრამ ამ დროს ჩუმი შრიალი შემოესმა და აღვმართე მზერა. ჩემს წინაშე იდგა ძონძებში გახვეული, პატარა არსება, შავი, თმაგაწეწილი, თვალებჩაცვენილი და კუშტი. იგი თითქოს თვალებით მეევედრებოდა, თვალებით ჭამდა ჩემს პურს. მე გარკვევით გავიგონე მისი ხრინწიანი ჩურჩული: „ნამცხვარი". მე ცხადია, გამეცინა, ასეთი სახელი რომ უწოდეს ჩემს ნახევრად თეთრ პურს, მოვუტეხე დიდი ნაჭერი და გავუწოდე პატარას. იგიც ფრთხილად მომიახლოვდა, თან თვალს არ აშორებდა სანუკვარ საგანს, შემდეგ უეცრად გამომტაცა ნაჭერი და სწრაფად უკუდგა, თითქოს ეშინოდა, რომ მე ვატყუებდი მას ან მოვასწარი გადაფიქრება.

მაგრამ იმავ წუთს ეტაკა მას მეორე პატარა ველური და ძირს დასცა. უფალმა უწყის, საიდან გაჩნდა იგი ან ვით ჰგავდა ესოდენ პირველს, ტყუპისცალივით. ორივენი მიწაზე გაგორდნენ და არ

ანებებდნენ ერთმანეთს ძვირფას ნადავლს, ვინაიდან, როგორც ჩანს, არც ერთი მათგანი არ აპირებდა ძმისთვის პურის გაზიარებას. პირველი გაავებით სწვდა მეორეს თმაში; ეს კი კბილებით ჩააფრინდა ძმას ყურში და წამსვე გადმოაფურთხა გასისხლიანებული ნაგლეჯი ხორცისა, თანაც ერთი ლაზათიანად, მდაბიურად შეიგინა. ნამცხვრის კანონიერმა მფლობელმა თავისი პატარა ფრჩხილებით დააპირა უზურპატორისთვის თვალების გამოკაწვრა, ხოლო მან, თავის მხრივ, დაძაბა მთელი ძალები, რათა ცალი ხელით მოეხრჩო მოწინააღმდეგე, ხოლო მეორით თავის ჯიბეში ჩაეჩარა ბრძოლის ნადავლი. მაგრამ სასოწარკვეთილი დამარცხებული წამოდგა, მუცელში აძგერა თავური და ძირს დასცა იგი... თუმც რა საჭიროა ამ საზიზღარი ბრძოლის აღწერა, რომელიც უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე მოველოდი მათი ბავშვური ძალებისაგან! ნამცხვარი ხელიდან ხელში გადადიოდა, ჯიბიდან ჯიბეში, ბოლოს იგი სავსებით შეიცვალა და მოცულობითაც დაპატარავდა, ასე რომ, როცა ბოლოს და ბოლოს შეჩერდნენ ისინი, განაწამებნი, გასისხლიანებულნი, გულამომჯდარნი, რამეთუ აღარ შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება, მათ უკვე აღარ ჰქონდათ ხელთ საბაბი ბრძოლისა: პურის ნატეხი განადგურდა, დანამცეცდა, ქვიშას შეერია.

ამ სანახაობამ ჩამაშხამა ის პეიზაჟიც და ის ჩუმი შვებაც, რომელიც აღავსებდა ჩემს სულს მანამ-

დის, ვიდრე ვიხილავდი ამ პატარებს. დიდხანს ვიდექი დამწუხრებული და ვიმეორებდი გულში: „აი, თურმე არსებობს საოცარი ქვეყანა, სადაც უბრალო პურს ნამცხვარი ჰქვია და ისეთ უცხო ხილად ითვლება, რომ ძალუძს გამოწვევა ჭეშმარიტად ძმათამკვლელი ომისა!“

16. საათი

თურმე ჩინელებს სცოდნიათ დროის გამოცნობა კატის თვალებში.

ერთხელ, ერთმა მისიონერმა, ნანკინის მიდამოებში სეირნობისას შეამჩნია, რომ შინ დარჩენოდა საათი და შემხვედრ ბიჭუნას ჰკითხა დრო.

ზეციური იმპერიის პატარა ძე ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი უეცრად მიუგო: „ახლავე გეტყვით“. რამდენიმე წუთში იგი მობრუნდა ვეებერთელა კატით ხელში, შემდეგ, როგორც ამბობენ, ჩახედა მას თვალის თეთრონებში და დაბეჯითებით მიუგო მისიონერს: „თორმეტი იქნება მალე“. მართლაც, ასე იყო.

მე კი, როდესაც ვუმზერ მშვენიერ ფელინას, რომელსაც ეგზომ უხდება თავისი სახელი, — ფელინას, მშვენებას თვისი სქესისას, სიამაყეს ჩემი სულისას, სურნელებას ჩემი გონებისას — დღეა თუ ღამე, სრული ნათელი თუ უკუნეთი, — მის მომხიბვლელ თვალებში ცხადად ვხედავ დროს — საათს, მუდამ ერთსა და იგივეს, დიდს, საზეიმოს, სივრცესავით უსაზღვროს, წუთებად და წამებად დაუყოფელს — უძრავ დროს, რომელიც არც ერთ საათზე არ არის აღნიშნული, ოხვრასავით მსუბუქს, თვალივით სწრაფს.

და თუ რომელიმე აბეზარი სტუმარი შემაწუ-ხებს ამ დროს, როდესაც ჩემი მზერა ამ მომხიბვ-ლელ ციფერბლატზეა მიპყრობილი, თუ რომელიმე უკუღმართი სული ან წინააღმდგომი დემონი მკი-თხავს: „რას უცქერ ასე დაჟინებით? რას სწავლობ მაგ არსების თვალებში, თავქეიფავ? იქნებ ხედავ, რომელი საათია?“ მე მივუგებდი მას დაუფიქრებ-ლად: „დიახ, ვხედავ ჟამს და ეს არის მარადი-სობა!“

აი, არც თუ საძრახისი მადრიგალი, ქალბატონო ჩემო, — თქვენებრ სანაქებო და ზეაღმტაცი. მარ-თალი გითხრათ, ესდენ ეფექტური კომპლიმენტის შეთხზვამ იმდენი სიამე მომგვარა, რომ აღარა-ფერს მოგთხოვთ სანაცვლოდ.

17. ნახევარი სამყარო თმაში

ნება მომეცი, შევისუნთქო დიდხანს, დიდხანს, ნელსურნელება თმათა შენთა, ჩავრგო თავი მაგ დალალებში, ვით მწყურვალმა ანკარა წყაროში, გავშალო ხელით, ვით ცხვირსახოცი - სურნელოვანი, აღვავსო მოგონებებით ჰაერი.

შენ რომ უწყოდე ყოველივე, რასაც ვხედავ, რასაც შევიგრძნობ, რაც მესმის შენს თმაში! ჩემს სულს აღავსებს არომატი, როგორც მუსიკა.

შენს თმაში ზმანებათა სამყაროა მთელი; მანდ ვხედავ ანძებს და აფრებს; ზღვას უკიდეგანოს, სად უბერავენ მუსონები, საოცნებო ქვეყნებისაკენ რომ მიმაფრენენ, ღრმა და უსაზღვრო სილაჟვარდეში, სად ჰაერი გაჟღენთილია ადამიანის კანის სუნით, უხვნაყოფიან ხეთა ფოთლების ამო სურნელით.

თმათა შენთა ოკეანეში ვხედავ ნავსადგურს, სად ფუსფუსებენ მეზღვაურნი სხვადასხვა ტომის; მელანქოლიური სიმღერები სწვდება ჩემს სმენას; მოჩანს ხომალდთა დახვეწილი კონტურები უკიდეგანო ცის ფონზე, მუდმივი ხვატის სავანეში.

თმათა შენთა ალერსში კვლავ მახსენდება გარდასული დღენი, მშვენიერ გემზე გატარებული სა-

ათები, ყვავილები და კამკამა წყალი, ნაპირიდან მოქცევის ყრუ დუდუნი.

თმათა შენთა სახმილში შევიგრძნობ დაბანგული და დაშაქრული თამბაქოს სურნელს; თმათა შენთა ღამეში მეზმანება ტროპიკული ლაჟვარდის უსასრულობა, ნაწნავნი შენნი მათრობენ მუშკის, ამბრის და ქოქოსის ნელსურნელებით.

მომეცი ნება კბილებით დავხრა შენი მძიმე, შავი ნაწნავნი: როცა ვლეჭავ შენს დრეკად, ხშირ თმას, აგრე მგონია, თითქოს მოგონებებს ვნთქავდე.

18. ᲔᲘᲞᲐᲢᲘᲥᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲓ

ამბობენ, რომ არსებობს ერთი დიდებული ქვეყანა, აღთქმული ქვეყანა, — ჩემი ოცნებაა ვეწვიო მას ჩემს ძველ სატრფოსთან ერთად. ეს უჩვეულო მხარე ჩვენი ჩრდილოეთის ნისლებშია ჩაძირული და მას შეიძლება ეწოდოს დასავლეთის აღმოსავლეთი, ან ევროპის ჩინეთი — ესოდენ ჭარბად ჩქეფს იქ ფანტაზია, ესოდენ გულდასმით მოუხატავს ძას ეს მხარე თავისი დახვეწილი, ნაზი ყვავილებით. ნამდვილი საზღაპრო კუთხე, სად ყოველივე სიმშვიდით და მშვენებით სუნთქავს; სად უნაკლოა ყოველივე, სად თვითკმარი ჰარმონიის ფუფუნებაა, სადაც ცხოვრება სიუხვეა და სიამტკბილე, საიდანაც განდევნილია ყოველგვარი შემთხვევითობა და ამაოება; სად თვით საკვებიც პოეტურია და ზეაღმტაცი; სად ყოველივე შენა გგავს, ჩემო ანგელოსო.

გიგრძვნია თუ არა ოდესმე ეს ციებ-ცხელება, რომელიც გვეუფლება ტანჯვის ბნელეთში, ეს ლტოლვა აროდესხილული სამშობლოსაკენ, ეს მტანჯველი მოთხოვნილება შეუცნობელის შეცნობისა? არის ქვეყანა, შენი მსგავსი, სად ყოველივე მშვენიერია, მდიდრული, მშვიდი და უნაკლო — ფანტაზიამ შეჰქმნა ეს მხარე და მოხატა ეს ჩინეთი

დასავლეთისა, სადაც ცხოვრების სიამტკბილე ბედნიერებას შობს გამოუთქმელს. მისკენ გავწიოთ! მისკენ გავწიოთ! იქ ვიცხოვროთ და იქავ მოვკვდეთ!

ჰო, გავეშუროთ იმ ქვეყნისაკენ, რათა ვისუნთქოთ მისი ჰაერით, ვიოცნებოთ და გავიხანგრძლივოთ საათები შეგრძნებათა უსასრულობის. კომპოზიტორმა შექმნა „მიპატიჟება ვალსის ცეკვად“, — ნეტავ ვინ შექმნის „მიპატიჟებას სამოგზაუროდ“, რომელსაც უძღვნის საყვარელ ქალს, რჩეულ დას თვისას?

დიახ, ღირს ცხოვრება იმ ატმოსფეროში, სადაც შენელებული დრო უფრო მდიდარია აზრებით, სად საათები რეკავენ სადიდებელს ნეტარებისას, უფრო ღრმააზროვნად და საზეიმოდ, ვიდრე აქ, ჩვენთან. ბრწყინვალე პანოები, მოოქროვილ ტყავებზე უხმო ყოფა სურათებისა, — ღრმა, უდრტვინველი, როგორც სული მათი შემქმნელი მხატვრისა. ჩამავალი მზის სხივები აფერადებენ დარბაზებს, მდიდრული ფარდები, მოხატული მინები მოსევადებული, წვრილად რიკულებდატიხრული ფანჯრებისა ამქრქალებენ მზის შუქს. ავეჯი მასიური, იშვიათი, საკეტებიან-სამალავებიანი, დახვეწილი სულის მსგავსი. მდიდრული სარკენი და ფარდები, ბრინჯაო და ოქრომჭედლობა, — მუნჯ, იდუმალ სიმფონიას ასრულებენ კაცთა მზერისთვის. ყოველ კუთხიდან, ყოველ საგნიდან, კარადებიდან თუ ქსოვილებიდან რაღაც უცნაური სურნელება

იფრქვევა, თითქოს სუმატრა ცოცხლდებაო, სული ამ სასახლისა.

ნამდვილი აღთქმული ქვეყანა, სად ყოველივე დიდებულია და მშვენიერი, ვით სუფთა სინდისი, საარაკო ჭურჭელი, ბრწყინვალე ოქრომჭედლობა, თვალნი პატიოსანნი.

მთელი სამყაროს სიმდიდრე აქ მოზღვავებულა, ვით მსოფლიოში სახელგანთქმული, დაუცხრომლად მშრომელი კაცის სამფლობელოში. ეს საოცნებო ქვეყანა აღემატება ყველა სხვა ქვეყნებს, ვით ხელოვნება აღემატება ბუნებას, რამეთუ ბუნება ოცნებით არის მასში გარდასახული, გაკეთილშობილებული, გარდაქმნილი და შემკული.

დე, გამუდმებით ეძებონ და ეძებონ მებაღეობის ალქიმიკოსებმა თავიანთი საწადელი, ზარდონ და ზარდონ საზღვრები თავიანთი შვებისა! კვლავაც დააარსონ პრემიები სამოცი, ასი ათასი ფლორინის ოდენობით, თავიანთ პატივმოყვარე ჩანაფიქრთა განსახორციელებლად, მე კი ვპოვე ჩემი შავი ტიტა და ცისფერი გეორგინი! ჩემო შეუდარებელო ყვავილო, ახლად ჩენილო ტიტავ, ალეგორიულო გეორგინო, — განა იმ საოცნებო ქვეყნისაკენ არ მიდის ჩვენი გზა, — განა იქ არ უნდა ვიცხოვროთ და ვიყვავილოთ? განა იქ შენივე მსგავსება არ შემოგადგება გარს, ჩარჩოსავით, განა შენივე თავის ჭვრეტა არ მოგელის იქ, მისტიკოსთა თქმით, შენსავე შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ა შ ი?

ოცნება, ოცნება, მარად და მარად! რაც უფრო

ნაზია სული, რაც უფრო მომთხოვნი, მით უფრო შორს მიჰყავთ იგი ოცნებებს შესაძლებლობის ფარგლებს კიდეგან. ყოველ ადამიანში არის თანდაყოლილი, ბუნებრივი დოზა ბანგისა, რომელსაც იგი გამუდმებით გამოჰყოფს დაბადებასა და სიკვდილს შორის. განა ბევრია ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილი შვებითა და ცნობიერი, ქველი საქმით სავსე წუთები? ნუთუ ვიცხოვრებთ ოდესმე იმ სურათში, რომელიც შექმნა ჩემმა ფანტაზიამ? იმ სურათში, შენ რომ ggავს ეgზომ?

ეს განძი, ეს ავეჯი, ეს ფუფუნება, ეს ჰარმონია, ეს არომატები, ეს სასწაულებრივი ყვავილები — ყოველივე ეს შენა ხარ. ეს დიდი, მდორე მდინარეები და არხებიც შენა ხარ. უშველებელი gემები რომ მისცურავენ ზედ, ლარით დატვირთულნი, მეზღვაურთა სიმღერის თანხლებით, — ეს ჩემი აზრებია, შენს მkერდზე რომ რონინებენ; შენ წარმართავ მათ ოkეანისაkენ — უსასრულობისkენ, ჭვირვალება და მშვენება შენი სულისა ირეkლავს სილურჯეს მაღალი ცისას. და როდესაც ღელვებით დაღლილი, აღმოსავლეთის სიმდიდრით დამძიმებული gემები kვლავ უბრუნdებიან მშობლიურ ნავთსაყუdელს, ეს ჩემი აზრებია ისევ და ისევ; გამdიdრებულნი ბრუნdებიან უსასრულობიdან და kვლავ მოილტვიან შენkენ.

19. ღარიბის სათამაშო

მსურს მოგაწოდოთ იდეა ერთი უწყინარი გართობისა, ვინაიდან ძალზე მცირეა ისეთი გართობანი, ფანაშაულად რომ არ იქცევიან ბოლოს.

თუ მოგეცემათ შემთხვევა გარეთ გასვლისა და დიდ შარაგზაზე ხეტიალისა, აივსეთ ჯიბეები სხვადასხვაგვარი, თითო სუდ ღირებული სათამაშოებით, როგორიცაა, მაგალითად, — ბრტყელი პოლიშინელი, ერთადერთი ძაფი რომ ამოძრავებს, მჭედლები, გრდემლზე რომ სცემენ ურიოებს, მხედარი და ცხენი, რომლის ძუაც სასტვენია ამავე დროს; ხოლო როდესაც სადმე, დუქანთან ან ხეივნებში შემოგხვდებიან ღატაკთა ბავშვები, დაურიგეთ მათ ეს სათამაშოები.

თქვენ დაინახავთ, რარიგ გაუფართოვდებათ მათ თვალები. თავდაპირველად ისინი ვერ გაბედავენ აღებას; არ დაიჯერებენ ასეთ ბედნიერებას. შემდეგ მათი ხელები სწრაფი მოძრაობით ჩააფრინდებიან საჩუქარს და ისინი მოკურცხლავენ კატებივით, მათთვის დაგდებულ ლუკმას შესაჭმელად შორს რომ მიათრევენ, ვინაიდან ნასწავლი აქვთ რიდი ადამიანებისა.

გზისპირად, დიდი ბაღის მესერთან, რომლის სიღრმეშიც თეთრი, მშვენიერი სასახლე ელავდა

მზის შუქზე, იდგა პირმშვენიერი ბავშვი, ჭრელ, საზაფხულო სამოსში მორთული.

ფუფუნება, უზრუნველობა და სიმდიდრე ალამაზებენ თითქოს ამ ბავშვებს, თითქოს ისინი სხვა ცომისაგან არიანო მოზელილნი, ვიდრე საშუალო წოდების ან ღატაკთა შვილები.

მის გვერდით, ბალახზე ეგდო სათამაშო, მისივე პატრონივით ლამაზი, გალაქული, მოოქროვილი, ჭრელსამოსიანი, ბრჭყვიალა ფერებით დამშვენებული. მაგრამ ბავშვი ყურადღებას არ აქცევდა თავის საყვარელ სათამაშოს და სულ სხვა რამეს შესცქეროდა.

მესრის მეორე მხარეს, ჭინჭრიანში და ძეძვიანში იდგა მეორე ბალღი, ჭუჭყიანი, გამხდარი, გამურული, ერთი იმ პაწია მდაბიორთაგანი, რომელშიც მიუკერძოებელი კაცის მზერა თავისებურ მშვენიერებასაც კი ჰპოვებს, იმ შემთხვევაში თუ ხელოვნების მცნობივით, გონების თვალით გადააცლის დიდებულ სურათს უხეშ ზედნადებს ლაქისას, უნიჭო ხელოსნის მიერ დადებულს და ჩამოაცილებს მას სიღატაკის საზიზღარ დაღს.

ამ მესრიდან, სიმბოლურად რომ ჰყოფდა ამ ორ სამყაროს — დიდ შარაგზას და სასახლეს, პაწია ღატაკი უჩვენებდა პაწია მდიდარს თავის საკუთარ სათამაშოს, რომელსაც მდიდარი ხარბად ათვალიერებდა, როგორც არნახულ, საუცხოო ნივთს. ეს სათამაშო, რომელსაც ჩამოგლეჯილი ბიჭუნა ატრიალებდა ხელში, ხანაც ზევით ისროდა

და აქეთ-იქით აქანებდა პატარა გალიით, იყო ცოცხალი ვირთხა, არც მეტი და არც ნაკლები. როგორც ჩანს, მისი მშობლები, ეკონომიის მიზნით, თავად ცხოვრებას დაესესხნენ ამ სათამაშოს.

ორივე ბავშვი შესცინებდა ერთმანეთს, ძმური ერთობით იცინოდნენ და აჩენდნენ თანასწორად თეთრ კბილებს.

20. ფერიების ძღვენი

ფერიების დიდ თავყრილობაზე ანაწილებდნენ ჯილდოებს ახალშობილთა შორის, რომელნიც უკანასკნელი ოცდაოთხი საათის მანძილზე მოვლენოდნენ ამ ქვეყანას.

ბედისწერის ეს ძველთაძველი, ჭირვეული დედები, ნამდვილი დედები სიხარულის და მწუხარებისა, სავსებით არ ჰგავდნენ ურთიერთს. ერთნი დაღვრემილნი იყვნენ და პირქუშნი, მეორენი — ანცნი და მხიარულნი; ერთნი ყმაწვილნი იყვნენ, მეორენი — მხცოვანნი, მიხრწნილებაში გადამდგარნი.

ყველა ის მამები, რომელთაც სწამდათ ფერიებისა, აქ მოგროვილიყვნენ, ყოველ მათგანს ხელთ ეპყრა თავისი ახალშობილი ბალღი.

ნიჭნი, უნარნი, იღბალი თუ გადაულახავი დაბრკოლებანი, გაწყობილი იყო სამსჯავროს წინაშე, როგორც პრიზები ესტრადაზე, მათი დარიგების დღეს, თანაც ყველაზე ღირსშესანიშნავი ამბავი ის იყო, რომ ეს ჯილდოები რაიმე დამსახურების, ან ძალისხმევის მიხედვით როდი რიგდებოდა, არამედ როგორც წყალობა მათთვის, ვისაც ჯერ არ შეედგა ფეხი ცხოვრებაში; ეს განაპირობებდა მის ბედს თუ უბედობას.

საბრალო ფერიები დიდ გაწამაწიაში იყვნენ, ვინაიდან მომსვლელთა რიცხვი ძალზე დიდი იყო, ხოლო ეს შუამდგომელნი ღმერთსა და კაცს შორის, ჩვენგვარადვე ექვემდებარებიან საშინელ კანონს დროისას და მის ურიცხვ მემკვიდრეთა: დღეებისას, საათებისას, წუთებისას და წამებისას.

მართლაც რომ თავგზა აბნეოდათ ფერიებს, როგორც მინისტრებს მიღების დღეს, ან ლომბარდის მოხელეებს, რომელნიც ნაციონალური დღესასწაულის გამო ხალხს გამოსყიდვის გარეშე ურიგებდნენ ხოლმე დაგირავებულ ნივთებს. მე მგონი, ისინი ისეთივე მოუთმენლობით დაჰყურებდნენ საათებს, როგორც მიწიერი მსაჯულნი, რომელნიც მთელი დღის განმავლობაში სხდომაზე ყოფნისას უნებლიეთ იწყებენ ოცნებას სადილზე, ოჯახზე, თავიანთ ძვირფას ფეხსაცმელებზე და ა. შ. ასე რომ, თუ ამ ზემიწიერ სამსჯავროშიც კი შეიმჩნეოდა მცირეოდენი აჩქარება და თვითნებობა, არ უნდა გავიოცოთ მსგავსი მოვლენები მიწიერ სამსჯავროებში. ასეთ მდგომარეობაში ვერც ჩვენ ვიქნებოდით ბოლომდე სრულყოფილი და სამართლიანი მსაჯულნი. მართლაც, იმ დღეს მათ მრავალი შეცდომა დაუშვეს, რაც გასაკვირი იქნებოდა, გონიერება რომ ყოფილიყო ფერიების ძირითადი თვისება და არა ფუქსავატობა.

ასე, მაგალითად, ერთადერთ მემკვიდრეს ძალზე მდიდარი ოჯახისას მიეცა თვისება სიმდიდრის თითქოსდა მაგნიტით მიზიდვისა. იგი არც ქველ-

მოქმედების უნარით იყო დაჯილდოებული, არც არავითარი კეთილი საქმის სიყვარულით, ასე რომ, შემდგომში მისთვის მძიმე ტვირთად უნდა ქცეულიყო მისი მილიონები.

მსგავსად ამისა, მშვენიერების სიყვარული და პოეტური ნიჭი დაჰყვა ვაჟს ერთი სავსებით გაუთლელი კაცისას, რომელიც ხელობით ქვისმთლელი იყო და არ შეეძლო განევითარებინა ტალანტი თავისი უბედური ძისა, და ვერც აკმაყოფილებდა მის სულიერ მოთხოვნილებას.

მე დამავიწყდა აგრეთვე, რომ ნიჭთა განაწილება ამ საზეიმო დღეებში შემდგომ გადახედვას არ ექვემდებარება და შეუძლებელია უარის თქმა რომელიმე ჯილდოზე.

ფერიები წამოიშალნენ, მათ ეგონათ, დამთავრდაო ჩვენი მძიმე შრომა, ვინაიდან აღარ დარჩენოდათ აღარავითარი ძღვენი, აღარც ერთი ჯილდო, რათა გადაეგდოთ ამ ბრბოსათვის. და ამ დროს უეცრად ერთი კაცი, როგორც ჩანს, მეწვრილმანე ნოქარი, წამოდგა, ხელი სტაცა ნისლოვან-ბრწყინვალე მოსასხამს ერთი ახლომდგომი ფერიისას და შესძახა: „ჰეი, მადამ! ჩვენ რად დაგვივიწყეთ, კიდევ ერთი პატარა დაგრჩათ! ტყუილად ხომ არ მოვსულვარ!“

ფერია შეცბა, ვინაიდან უკვე აღარაფერი იყო დარჩენილი. თუმც მას დროულად გაახსენდა ერთი კანონი, რომელიც მართალია, იშვიათად გამოიყენება, მაგრამ მაინც კარგად არის ცნობილი ზე-

ბუნებრივ სამყაროში, სადაც ჰაეროვანი, უხორცო არსებანი მკვიდრობენ: ფერიები, გნომები, სალამანდრები და სილფები, ნიქსები და ალები, ეს მეგობრები ადამიანისა, რომელნიც იძულებულნი არიან ხშირად გაითვალისწინონ კაცის ვნებები და შეუგუონ მას თავიანთი ქმედებანი. მე ვგულისხმობ იმ კანონს, რომელიც უფლებას აძლევს ფერიებს, მსგავს შემთხვევაში, როდესაც ჯილდოები ამოიწურება, შექმნან კიდევ ერთი, განსაკუთრებული ჯილდო, იმ შემთხვევაში, თუ ეყოფათ ფანტაზია მის გამოსაგონებლად იქვე, ადგილზე.

ჰოდა, ფერიამ მიუგო ღირსეულად, თავისი რანგისთვის შესაფერი ტონით: „შენს ვაჟს ვჩუქნი... ვჩუქნი... სხვათათვის თავის მოწონების უნარს!“ „რაო, თავის მოწონებაო? რის მოწონება, რა მოწონება!“ — გაჯიუტდა ნოქარი, რომელიც, როგორც ჩანს, ერთი იმ შაბლონურ რეზონიორთაგანი იყო, რომელსაც არ ძალედვა აბსურდის ლოგიკამდე ამაღლება.

„დიახ, აი, ასე და ამრიგად!“ — მიუგო განრისხებულმა ფერიამ და ზურგი აქცია მას; ხოლო შემდეგ, როდესაც შეუერთდა კრებას თავისი მეგობრებისას, თქვა: „დამიხედეთ ამ ფრანგ ყოყლოჩინას, ამ ქონდრისკაცს, რომელმაც თავისი შვილისთვის ყველა ჯილდოთაგან საუკეთესო იგდო ხელთ და კიდევ თავს მაბეზრებს შეკითხვებით და დაობს უდავოზე“.

21. ცდუნებანი, ანუ ეროსი, პლუტოსი და დიდება

გასული ღამით ორი მომაჯადოებელი სატანა და ერთი არანაკლებ ღირშესანიშნავი დედაეშმაკი მესტუმრნენ ფარული კიბით, რომლითაც ჯოჯოხეთი უტევს ხოლმე ძილისაგან დაბანგულ ადამიანს და იდუმალ კავშირს ამყარებს. მასთან. საზეიმო პოზებში გამწკრივდნენ ისინი ჩემს წინაშე, თითქოს ესტრადაზე დგანანო, გოგირდოვანი ნათებით ბრწყინავდნენ ღამის ბნელ ფონზე. ისეთი გოროზი და მბრძანებლური იერი ჰქონდათ, თავდაპირველად ნამდვილ ღმერთებად ჩავთვალე სამივე.

პირველ სატანას ჰერმაფროდიტის სახე ჰქონდა. მისი სხეულის კონტურები ძველი ბაკქების ნებიერი სინაზით სუნთქავდნენ. მისი მშვენიერი, სევდიანი, ბუნდოვანი, მუქი ფერის თვალები იებს ჰგავდნენ, გრიგალის ცრემლებით დამძიმებულთა, ნახევრად გახსნილი ბაგენი — სახმილს, გავარვარებულს და სურნელოვანს, ირგვლივ მწერები დასტრიალებდნენ და მისი მხურვალე სულთქმისაგან იწვოდნენ ჰაერში.

მის მეწამულ ჯუბას ქამარივით შემოგრაგნოდა ბრჭყვიალა გველი, რომელსაც თავი წამოეყო და

სახეში შესცქეროდა პატრონს თავისი გავარვარებული, მთვრალი თვალებით. მას ამ ცოცხალ ქამარზე ეკიდა ლაპლაპა დანები, ქირურგიული ინსტრუმენტები და რაღაც ავბედითი სითხეებით სავსე შუშები. მარჯვენა ხელში წითლად მოელვარე სითხით სავსე თასი ეკავა, რომელსაც ჰქონდა ასეთი უცნაური ეტიკეტი: „სვით ამისგან ყოველთა, ეს ჩემი სისხლია, საუკეთესო გამახალისებელი“. მარცხენა ხელში ვიოლინო ეკავა, რომლის ხმოვანებაც მის შვებას და ტანჯვას დაჰკვნესდა და რომლითაც იგი ავრცელებდა თავისი გადამდები სიგიჟის სენს შაბაშების მრუმე ღამეებში.

გამხდარ წვივებზე გაწყვეტილი ოქროს ჯაჭვი ჰქონდა შებმული, რომელიც საგრძნობლად ბორკავდა, ასე რომ, იგი დროდადრო მიწას ჩასცქეროდა და თავმომწონედ ითვალიერებდა ფეხის ფრჩხილებს, რომელნიც გულდასმით იყვნენ გაქლიბულნი და ბრჭყვიალებდნენ კარგად გამოყვანილი ძვირფასი თვლებივით.

ბოლოს მან შემავლო თავისი უნუგეშო, სევდიანი, ვერაგულად მათრობელი მზერა და წამღერებული ხმით მითხრა: „თუ გსურს, თუ გსურს, მე შენ გაქცევ სულთა მეუფედ, ცოცხალ მატერიაზე იმეფებ შენ, როგორც მოქანდაკე — თიხაზე, მოქანდაკეზე უფრო ძალუმად იმეფებ. შენ ეზიარები უსასრულოდ განახლებად სიამეს საკუთარი თავისგან განთავისუფლებისას და სხვებში

თავდავიწყებისას. შენ მოიზიდავ სულებს და შეერწყმი მათ შენის სულითა“. ხოლო მე მივუგე: „მადლობელი ვარ. მითხარ, აბა რას ვაქნევ მაგ არსებათა უბადრუკ გროვას, რომელთაც უთუოდ ჩემოდენი ფასი აქვთ ალბათ. მართალია, ოდნავ მრცხვენია წარსულის გახსენებისა, მაგრამ არც დავიწყება მსურს რაიმესი. კიდევაც რომ არ გიცნობდე შენ, ბებერო ურჩხულო, — შენი იდუმალი დანები, შენი საეჭვო შუშები, ჯაჭვნი, რომელნიც გიბორკავენ ფეხებს, განა ეგ ყოველივე ნათლად არ მეტყველებს შენთან მეგობრობის სიძნელეებზე? დე, შენვე გქონდეს შენივე ძღვენი“.

მეორე სატანას როდი ჰქონდა ასეთი ტრაგიული და ამავე დროს მოღიმარი სახე, არც ასეთი ვერაგული და თან დახვეწილი მანერები, არც ასეთი ფაქიზი და სურნელოვანი სილამაზე. ეს იყო ჩამრგვალებული, პირმსუქანი, თვალებჭრუტა მამაკაცი, რომელსაც მძიმე ღიპი წინ წამოეგდო, მოოქროვილ-მოხატული კანი ჰქონდა, თითქოსდა ტატუირებული ათასგვარი მოძრავი ფიგურებით და თითქოს მსოფლიო ტანჯვის მრავალსახოვნება ცხადქმნილიყო ამ ნახატებში. აქ მოჩანდნენ პატარა უდღეური კაცუნები, კაუჭებზე თავჩამოხრჩობილნი, აქვე დაინახავდით ერთ ციდა, გალეულ გნომებს, რომელთა თვალებიც უფრო მრავლისმეტყველად ითხოვდნენ მოწყალებას, ვიდრე მათი მოცახცახე ხელები. აქ იყვნენ დამჭკნარი დედები თავიანთი უდღეური ბალღებითურთ, მათ

რძედაშრეტილ ძუძუებს რომ მობღაუჭებოდნენ ამაოდ, და კიდევ ბევრი სხვა რამ მოჩანდა აქ.

მსუქანი ეშმაკი მუშტს იცემდა ვეება ღიპზე, საიდანაც მოისმოდა მეტალისებური რაჩხუნი, რომელიც თითქოს ურიცხვ ადამიანთა ყრუ გმინვა-გოდებაში გადადიოდა. ეშმაკი იცინოდა, ურცხვად აჩენდა თავის გამოხრულ კბილებს, იცინოდა იმ ბრიყვული სიცილით, ყოველი ქვეყნის ადამიანებს რომ სჩვევიათ ნაყროვანი სადილის შემდეგ.

ბოლოს ეს მითხრა: „მე შემიძლია მოგცე ის, რითაც ყველაფერს მიაღწევ, ის, რაც ყველაფრის ღირებულებას ატარებს, ის, რაც ყველაფრის შემცველია“. ამ სიტყვებით მან მუშტი დაირტყა თავის შემზარავ ღიპზე და ამ დარტყმის ხმამაღალმა ექომ თითქოსდა დაადასტურაო მისი უხეში სიტყვები.

მე ზიზღით ვაქციე მას ზურგი და მივუგე: „არ მსურს სიამოვნება, სხვისი ტანჯვით ნაყიდი; არ მსურს სიმდიდრე შენს კანზე ასახული ვაებით დამძიმებული, კედელზე გასაკრავ ქაღალდს რომ მიგიგავს“.

რაც შეეხება დედაეშმაკს, უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად თავისებური მომხიბლაობა ვპოვე მასში. საუკეთესო განსაზღვრა იქნებოდა ამ მომხიბლაობისა მისი შედარება ძალზე ლამაზი ქალების მიმწუხრულ მშვენებასთან, რომელნიც მიაღწევენ რა გარკვეულ ასაკს, უკვე აღარ ბერდებიან და ინარჩუნებენ მაგიურ მომხიბლაობას ნანგრევე-

ბისას. მისი იერი ერთსა და იმავე დროს მბრძანებლურიც იყო და ოდნავ მოთენთილიც, მზერა მისი მოღლილი ჩანდა და ამავე დროს ანდამატურად მიმზიდველი.

მაგრამ ყველაზე მეტად განმაცვიფრა მისი ხმის იდუმალებამ, რომელშიც მოისმოდა ხმოვანება სულზე უტკბესი კონტრალტოებისა, და ამავე დროს მსუბუქი ხრინწი არყის მოყვარულთა ყელისა.

„თუ გსურს შეიმეცნო ჩემი ძალა, — მითხრა ცრუ ღმერთქალმა თავისი მომაჯადოებელი, პარადოქსული ხმით, — მისმინე.

და ამ სიტყვებით პირზე მიიდო უშველებელი საყვირი, რომელიც სოფლური სალამურივით აჭრელებულიყო მსოფლიოს ყველა გაზეთების სათაურებით. მან ჩასძახა საყვირში ჩემი სახელი, რომელიც ათასი ჭექა-ქუხილის გრგვინვასავით გავარდა სივრცეში და უშორესი პლანეტის ექოდ მომიბრუნდა უკან.

„დალახვროს ეშმაკმა, — ვთქვი სანახევროდ დატყვევებულმა, — აი ეს კი მომწონს“. მაგრამ, როდესაც კარგად დავუკვირდი მომხიბლავ ალქაჯს, ბუნდოვნად გამახსენდა, რომ მე იგი ოდესღაც მენახა, ჭიქებს რომ უჭახუნებდა ჩემს ზოგიერთ ნაცნობს, არამზადობით სახელგანთქმულთ.

მისი ბრინჯაოს საყვირის ხრინწიანმა ხმამ კი ჩემს სმენაში გააღვიძა მოგონება რომელიღაც მოსყიდული საყვირის ხმისა.

და მე მივუგე მას უკიდურესი ზიზღით: „გაეთრიე აქედან! მე იმისთვის როდი ვარ შექმნილი, რომ ცოლად შევირთო მათი საყვარელი, ვისი სახელის ხსენებაც კი არ მსურს“.

მართალია, სრული უფლება მქონდა მეამაყა ამ ვაჟკაცური უარით, მაგრამ, სამწუხაროდ, გამომეღვიძა და მთელი ძალები გამომეცალა. გუნებაში ვამბობდი: „ჭეშმარიტად, მაგრად მძინებია, რახან ასეთი წუნიობა გამოვიჩინე. ოჰ, ნეტავ კი მობრუნდებოდნენ უკან ამ სიცხადეში, მაშინ კი ნამდვილად, აღარ დავიდებდი ასეთ თავპატიჟს!“

ხმამაღლა ვუსმობდი, ვეევედრებოდი, შემინდეთ-მეთქი, რამდენიც გნებავთ, დამასხით თავსლაფი, ოღონდ კვლავ დავიმსახურო-მეთქი თქვენი კეთილგანწყობა, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, ძალზე მძიმე შეურაცხყოფა მივაყენე, ვინაიდან ისინი უკან აღარასოდეს მობრუნებულან.

22. მიმწუხრი

დღე მიიწურა. დიდი სიმშვიდე მოემადლა დამაშვრალ სულებს, დღიური ჯაფით ქანცმილეულთა. აზრებს მიმწუხრის ბუნდოვანი ელფერი მოსავს.

მთიდან კი, გამჭვირვალე ღამეულ ნისლიდან, ჩემს აივნამდე აღწევს საშინელი ღრიანცელი. სიშორე რაღაც პირქუშ ჰარმონიად აქცევს მას და ზღვის მოქცევის თუ ახალგამოღვიძებული გრიგალის გრგვინვას ამსგავსებს.

ვინ არიან ეს ბედშავნი, რომელთაც ვერ ამშვიდებს საღამოს მწუხრი, მიკიოტებივით რომ ეგებებიან საღამოს დადგომას, ვით შაბაშისკენ მოწოდებას? ეს ავბედითი ღმუილი რომელიღაც ბნელი, მთაში შეყუჟული ბუნაგიდან აღწევს ჩემს სმენამდე: ყოველ საღამოს პირში პაპიროსგაჩრილი ვუმზერ ფართო, მდუმარე ტრამალს, სადაც გაფანტულან პატარ-პატარა სახლები, რომელთა თვითეული ფანჯარა თითქოსდა ამბობს: „აქ მშვიდობაა“, „აქ ოჯახური მყუდროებაა“, მთიდან კი მოდის ეს ჯოჯოხეთური ღრიანცელი, ქარს მოაქვს იგი და იპყრობს ჩემს გონებას.

მწუხრი აღაგზნებს შეშლილებს. მახსენდება ჩემი ორი ნაცნობი, რომელთათვისაც ყოველი საღა-

ბოს დადგომა იწვევდა რაღაც აღგზნებულ, ავადმყოფურ მდგომარეობას. ერთი მათგანი ივიწყებდა მაშინ ზრდილობისა და კეთილმეგობრობის ყოველგვარ წესებს და თავს ესხმოდა პირველ შემხვედრს. მახსოვს, ერთხელ როგორ ესროლა მან მეტრდოტელს თავში მშვენივრად შემწვარი წიწილა, რომელშიც დაინახა რაღაც თავისთვის შეურაცხმყოფელი სიმბოლო. საღამო, რომელიც მრავალთათვის მოასწავებს დადგომას იდუმალ შვებათა, მისთვის წამლავდა თვით უკიდურესად თვალწარმტაც საგნებსაც კი.

მეორე, უაღრესად პატივმოყვარე ადამიანი, საღამოობით სულ უფრო და უფრო პირგამეხებული და აღგზნებული ხდებოდა. დღისით თვინიერი და გულღია, საღამოობით ჭეშმარიტად აუტანელი იყო; და არათუ სხვებს, არამედ თავად მასაც ძვირად უჯდებოდა ხოლმე გამძაფრება ამ ღამეული მანიისა.

პირველი გარდაიცვალა სავსებით გონს გადასული, იგი ვეღარ სცნობდა ვეღარც ცოლსა და ვეღარც შვილს. მეორე კი ცხოვრობს ავადობის მუდმივ შიშში. და ერთ დღეს რომ მიანიჭონ მას ყოველგვარი პატივი და დიდება, რისი მინიჭებაც ძალუძთ რესპუბლიკებსა და მონარქებს — საღამოს მწუხრი მაინც აღაგზნებს მის სულში წყურვილს რაღაც სხვაგვარი, წარმოსახვითი, მიუღწეველი განდიდებისას. ღამე, რომელიც აბნელებდა მათ გონებას, ჩემს სულს ნათლით და შვებით აღავსებს.

და თუმცა ხშირად ერთი და იგივე მიზეზი სავსებით განსხვავებულ შედეგებს კი წარმოშობს, მაინც გაუგებარია ეს და შემაშფოთებელი.

ჰოი, ღამევ! განმაცხოვებელო ბნელო! შენით იწყება ჩემთვის შინაგანი ზეიმი სულისშემხუთველ მოწყენისაგან თავის დაღწევის! ვარსკვლავთა ნათება, ფარნების ციმციმი უკაცურ ველზეც და დედაქალაქის ლაბირინთებშიც თავისუფლების ქალღმერთის ფოიერვერკად მეჩვენება.

ჰოი, მწუხრო! რა სინაზეა შენში, რა ნეტარება! ჰორიზონტზე ჯერაც ციმციმებს ვარდისფერი ნათელი, აგონია დღისა, ღამისაგან ძლეულის; კანდელაბრების ცეცხლი მუქ წითელ ლაქებად მოჩანს დაისის უკანასკნელ მკრთალ სხივთა ციმციმში; მძიმე ფარდა ჩამოუშვია უჩინო ხელს აღმოსავლიდან — ეს ყოველივე ხომ რთულ განცდებს ჰგავს, კაცის გულში აღძრულს, ცხოვრების საზეიმო წუთებში.

მახსენდება აგრეთვე მოცეკვავის უცნაური კაბა, სადაც მუქი, ჰაეროვანი ქსოვილი ვერ ფარავს სიჭრელეს ქვედა კაბისას, თითქოსდა აწმყოს ბნელეთში ანათებსო მოგონება სანუკვარი წარსულისა: ხოლო მისი ბრჭყვიალა ოქროსა და ვერცხლის ვარსკვლავები ფანტაზიის შუქურებია თითქოს, რომელნიც მხოლოდ ღამის ღრმა ტრაურში ინთებიან.

23. მარტოობა

ერთი ფილანტროპი გაზეთის მჯღაბნელი მარწმუნებდა, მარტოობა საზიანოაო ადამიანისათვის და როგორც ყოველ ურწმუნოს, საბუთად მოჰქონდა ეკლესიის მამათა სიტყვები.

მე ვიცი, რომ დემონებს უყვართ ხეტიალი უდაბურ ადგილებში, მკვლელობისა და სიძვის სული არნახულად მძვინვარებს მარტოობაში. მაგრამ, შესაძლოა მარტოობა საშიში იყოს მხოლოდ მცონარე და უნიათო სულთათვის, რომელთაც სჩვევიათ მისი დასახლება თავიანთი ვნებებითა და ქიმერებით.

ცხადია, რომელიმე ყბედი, რომლისთვისაც სიამოვნების მწვერვალია კათედრის ან ტრიბუნის სიმაღლიდან ლაყბობა, უეცრად რობინზონის კუნძულზე რომ აღმოჩნდეს, ჭკუაზე შეირყევა უთუოდ. მე იმ გაზეთის მჯღაბნელისაგან არც მოვითხოვ კრუზოს ვაჟკაცურ სიქველეს, მაგრამ სამაგიეროდ ნურც იგი გამოუტანს განაჩენს მარტოობისა და იდუმალების მეტრფე კაცს.

ჩვენს ენაჭარტალა მოდგმაში შესაძლოა ჰპოვოთ ისეთი ინდივიდებიც, რომელთაც არ შეაკრთობთ თვით სიკვდილით დასჯაც კი, ოღონდ მანამ-

დე ნება მიეცით ეშაფოტის სიმაღლიდან ერთი ლაზათიანი სიტყვის წარმოთქმისა, რომელსაც არ ჩაახშობენ სანტერისეული დოლები.

მე არ მებრალებიან ისინი, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ორატორული წიაღსვლები მათ ისეთსავე შვებას ჰგვრის, როგორსაც სხვებს — სიჩუმე და თვითჩაღრმავება. რა ვქნა, მძულს ასეთი ხალხი. ეს წყეული მეგაზეთე კი განა მაცლის, ჩემებურად ვპოვო განცხრომა ამ ცხოვრებაში.

„მაშასადამე, თქვენ არა გაქვთ მოთხოვნილება, სხვებს გაუზიარონთ თქვენი შვება, ჰა?“ — მეკითხება იგი აპოსტოლის ტონით. დახეთ ამ შურიან მელაკუდას! მან კარგად იცის, რომ მე მძულს მისი შვების წყარო და ცდილობს დამაცდენინოს, თუ რა მგვრის მე შვებას.

— აი, აუტანელი მეხვანჯე!

„რა უბედურია კაცი, რომელიც ვერ ეგუება მარტოობას!“ — ამბობს სადღაც ლა ბრუიერი და ამით თითქოს მათი შერცხვენა სურსო, ვინც საკუთარ თავს გაურბის და ბრბოში ეძებს თავდავიწყებას, — როგორც ჩანს, იმის შიშით, რომ აუტანელი არ გახდეს საკუთარი თავისათვის.

„თითქმის ყველა ჩვენი უბედურება იმის შედეგია, რომ ჩვენ ვერ გავძელით საკუთარ ოთახში“, — ამბობს მეორე ბრძენი, ვგონებ, პასკალი, და ამით დაფიქრების სენაკისაკენ მოუწოდებს იმ უგნურთ, რომელნიც აქეთ-იქით სირბილში ეძიებენ

ბედნიერებას, რაც ერთგვარი გარყვნილებაა სულისა და რასაც მე ძმათაშორისს ვუწოდებდი, ჩვენი საუკუნის „ბრწყინვალე“, მოდური გამოთქმების ხმარება რომ მჩვეოდეს.

24. ბეგეები

ეგი თავისთავს ეუბნებოდა დიდ უკაცრიელ პარკში სეირნობისას: „რა მშვენიერი იქნებოდა ჩემი სატრფო მდიდრულ სამეჯლისო კაბაში, მყუდრო საღამოთი სასახლის მარმარილოს კიბეზე, მოლის გაზონებითა და აუზებით გარშემორტყმული! ეგი ხომ ეგზომ ჰგავს პრინცესას“.

უფრო გვიან, ქუჩაზე მიმავალი შედგა ეგი ვიტრინასთან, სადაც გამოფენილი იყო გრავიურები და შეხედა ესტამპს, რომელზედაც ტროპიკული პეიზაჟი იყო გამოსახული: „არა, სულაც არ მინდა სასახლეში ვეუფლო მის ძვირფას ცხოვრებას. იქ ჩვენ ვერ ვიქნებით შინ. თუნდაც ის რად ღირს, რომ დარბაზების მოოქროვილ კედლებზე ვერ ვნახავ ადგილს, სადაც მისი ხატების გამოსახვა შეიძლებოდეს. ამ პარადულ გალერეაში ჩვენ ვერ ვნახავთ კუთხეს ინტიმური საუბრისათვის. აქ კი, აი, აქ უნდა დავსახლდე, ჩემი ცხოვრების ნატვრა რომ ავისრულო“.

შემდეგ, გრავიურის დეტალების დათვალიერებისას, განაგრძო ფიქრი: „ზღვის პირას — მშვენიერი ქოხი, ამ უცნაური, ელვარეფოთლებიანი ხეებით გარშემორტყმული, რომელთა სახელწოდებაც ამჟამად აღარ მახსოვს... ჰაერში გამოუცნო-

ბი, დამათრობელი სურნელება... ქოხში ძლიერი არომატი ვარდისა და მუშკისა... ჩვენი პატარა კარმიდამოსაგან მოშორებით მოქანავე გემების ანძები მოჩანს... ჩვენი ოთახი ჭილობებითაა მოგებული, სავსე ყვავილთა დამათრობელი სურნელით, მუქი და მძიმე ხის სკამები პორტუგალური როკოკოსია. ჩემი სატრფო აქ წამოწვებოდა საჩრდილობლის ქვეშ და მოსწევდა დაბანგულ თამბაქოს. ვარდისფერი სინათლე ძლივს აღწევს შტორებში ჩვენი სამყოფლის გარეთ — სინათლით დამთვრალი ჩიტების ყღურტული, პატარა ზანგის გოგონების ტიტინი... ღამღამობით კი, თითქოსდა ჩემი ოცნებების აკომპონიმენტად მოისმის მუსიკალური ხეების, ფილაოების საწყალობელი ჰანგი. აი ის გარემო, რომელსაც მე ვეძებდი, რაღად მინდა სასახლე?"

მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ფართო ქუჩაზე მან შენიშნა კოხტა, ქათქათა სასტუმრო; ჭრელფარდებიანი ფანჯრიდან ორი მცინარე სახე მოჩანდა. მას მაშინვე გაუელვა აზრმა: „რა თავზეხელაღებული მაწანწალები არიან ეს ჩემი ფიქრები, რად დაეძებენ ასე შორს იმას, რაც აქვეა, ყურის ძირში. სიხარული და ბედნიერება პირველ შეხვედრილ სასტუმროშივე გელოდებიან, სადაც ამდენი სიამეა, მოგუზგუზე ბუხარი, ელვარე ფაიანსები, კარგი ვახშამი, ძველი ღვინო და ფართო ლოგინი; უხეში, მაგრამ სუფთა თეთრეული, — რაღა მინდა მეტი?"

ხოლო როდესაც იგი შინ მიბრუნდა ისეთ დროს, როცა გარეგანი ცხოვრების ჟრიამული აღარ ახშობს ჩვენში სიბრძნის შეგონებას, უნებლიეთ გაიფიქრა: „დღევანდელ ოცნებებში მე სამი სამყოფლო მქონდა და სამივეში თანაბრად ვნეტარებდი. რად უნდა გაიტანჯო თავი ადგილგადანაცვლებით, თუკი სულს ძალუძს მოგზაურობა ასეთი სიმსუბუქით? ან რა საჭიროა გეგმების განხორციელება, თუ ეს გეგმები თავად ამდენ სიამეს გვანიჭებენ?“

25. კეკლუცი დეროთეა

მზის შვეულმა სხივებმა მძიმე ხვატით შეაჭირვეს ქალაქი. ქვიშა ბრწყინავს, ზღვა ლივლივებს. გაოგნებული სამყარო შუადღის ძილს მისცემია, თითქოს კვდომის ნეტარებას განიცდისო.

ამ დროს კი დეროთეა, მზისებრ ამაყი და ძალუმი, ფხიზლობს და უკიდეგანო ლაჟვარდოვანცის ქვეშ ლაღად მოაბიჯებს მზით გაბრდღვიალებულ ქუჩაზე; იგი შავ, ელვარე ლაქად ჩანს ამ ნათელში.

ნაზად მიირწევა მისი ტანწვრილი და თეძოსრული ფიგურა. ღია ვარდისფერი აბრეშუმის ვიწრო, შემოტმასნილი კაბა არ ფარავს მის მკვრივ ძუძუმკერდს და მუქი ფერის კანს. წითელ ქოლგაში ატანს მზის შუქი და სისხლისფერ ტალებად ეფინება შავ სახეზე.

უშველებელი, გრუზა შავი თმა თითქოს უკან ეზიდებაო მის ლამაზ თავს და რაღაც ტრიუმფალურ, უზრუნველ იერს აძლევს მის სახეს. პატარა ყურის ბიბილოებში მძიმე საყურეები წკრიალებენ ჩუმად.

ხანდახან ნიავი წამოუბერავს ზღვიდან, წამოუწევს ფართო ქვედა კაბის კალთას და გამოუჩენს ჩამოქნილ, მბზინვარე ფეხს, ცხელ ქვიშაზე კვალს

ტოვებენ მისი ტერფები, იმ მარმარილოს ქალ-ღმერთთა ტერფების დარნი, ევროპა რომ ინახავს თავის მუზეუმებში. დოროთეას უყვარს კეკლუცობა, რაც თრგუნავს მასში აზატი ქალის სიამაყეს; იგი მონასავით ფეხშიშველი დადის, თუმც თავისუფალია. მისი ნარნარი სვლა და ბედნიერი, თეთრი ღიმილი გაფიქრებინებს, თითქოს შორეთში სარკეს ხედავსო უზარმაზარს, მისი რონინისა და მშვენების ამრეკლავს.

რამ აიძულა ზანტი დოროთეა, ბრინჯაოსავით ცივი და მშვენიერი, გამოსულიყო გარეთ ასეთ დროს, როცა თვით ძაღლიც კი ყმუის მზისაგან დაკბენილი?

რად გამოსულა იგი თავისი კეკლუცად მორთული ქოხიდან, რომელიც ნამდვილი ბუდუარია, ყვავილებითა და ჭილობებით მორთული; იქ ხომ იმდენი სიამეა მისთვის: თმის ვარცხნა, თამბაქოს წევა, სარკეში ყურება. შიმუნვარები აგრილებენ საჩრდილობლებით, ზღვა კი სულ ას ნაბიჯზეა ქოხიდან და მისი მძლავრი და მონოტონური ხმაური ბანს აძლევსო თითქოს დოროთეას ბუნდოვან ოცნებებს. ეზოს სიღრმეში კი თუჯის ქვაბი დგას და იხარშება კიბორჩხალები, ფლავითა და ზაფრანით შეზავებულნი არომატულად.

იქნებ დოროთეას პაემანი აქვს დათქმული რომელიმე ახალგაზრდა ოფიცერთან, რომელსაც სადღაც, შორეულ ნაპირზე გაუგონია ამხანაგებისაგან სახელგანთქმული დოროთეას ამბები? მიამიტი დო-

როთეა უთუოდ მოათხრობინებს მას ოპერებისა და ბალების ამბებს, თან ჰკითხავს, შეიძლება თუ არა იქ ფეხშიშველა მისვლა, როგორც აქ, კვირაობით, საცეკვაო მოედანზე, სადაც თვით კაფრის მოხუცი ქალებიც კი წრეგადასული ეშხით თვრებიან; გარდა ამისა, უთუოდ ჰკითხავს: მართალია თუ არა, რომ მე პარიზელი ლამაზმანები მჯობიანო სიტურფით?

დოროთეას ყველა ანებივრებს, ყველა ტკბება მისი მშვენებით, იგიც უთუოდ ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ იძულებულია პიასტრი პიასტრს მიუმატოს, რათა გამოისყიდოს თავისი უმცროსი, თეთრმეტი წლის დაიკო, რომელიც უკვე წამოზრდილია და ზღაპრულად ლამაზი.

ამას უთუოდ მოახერხებს კეთილი დოროთეა: ვინაიდან ბავშვის მეპატრონე ძუნწია, ფრიად ძუნწი და მას არ სწამს არავითარი სილამაზე, გარდა ფულის „სილამაზისა“.

26. ᲓᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ

†

მაშ თქვენ გსურთ შეიტყოთ, თუ რად შემძულ-
დით დღეს? მართალია, თქვენ უფრო გაგიჭირდე-
ბათ ამის გაგება, ვიდრე მე — განმარტება ამისა
თქვენთვის, რამეთუ თქვენ, ჩემის შეხედულებით,
საუკეთესო ნიმუში ხართ ქალური გულქვაობისა.

ჩვენ ერთად გავატარეთ მთელი დღე, რომელიც
ესოდენ მოკლედ მოგვეჩვენა. ჩვენ შევფიცეთ ერთ-
მანეთს, რომ ამიერიდან საერთო აზრები გვექნე-
ბოდა, ჩვენი ორი სული შეერწყმოდა ურთიერთს
ერთსულად. ეს ოცნება არ წარმოადგენს რაიმე გან-
საკუთრებულს, ოღონდ ეს არის, რომ იგი ჯერ არა-
ვის ახდომია ამ ქვეყანაზე.

საღამოს, ოდნავ დაქანცულმა, თქვენ განიზრა-
ხეთ ახალ კაფესთან ჯდომა, ახალი ბულვარის
კუთხეში, ჯერაც ნანგრევებით რომაა სავსე, მაგ-
რამ უკვე იკვალავს თავის მომავლის პერსპექტი-
ვებს; კაფე ბრწყინავდა. გაზიც თითქოს ხარჯავდა
მთელს თავის მგზნებარებას თავისი პირველი სა-
ჯარო გამოსვლისას და აჩახჩახებდა თვალისმო-
მჭრელად თეთრ კედლებს, ბრწყინვალე სარკეებს,
ჩარჩოებსა და ლავგარდანებს, სადაც გამოსახულნი
იყვნენ პაჟების ლოყებდაბერილი სახეები ძაღლებ-
თან ერთად, მოღიმარი დამები, ხელზე მიმინო-

შესმულნი; ნიმფები და ქალღმერთები, რომელთაც თავზე შეეღგათ ხონჩები, ნაყოფით, ნამცხვრებითა და ნანადირევით სავსენი, ჰებე და განიმედები, რომელნიც სტუმრებს სთავაზობდნენ სიროფით სავსე პატარა ქვევრებს, ან ფერადი ნაყინისაგან გაკეთებულ ობელისკს — მოკლედ, აქ ნახავდით მთელს ისტორიას და მითოლოგიას ღორმუცელობის სამსახურში ჩამდგარს.

პირდაპირ ჩვენს წინ, ქვაფენილზე, ორმოციოდე წლის მამაკაცი იდგა, სახედაღლილი, ჟღალწვერიანი: მისი ცალი ხელი პატარა ბიჭუნას ჩაებღუჯა, მეორეში კი თოთო ბალღი ეკავა. იგი ძიძის მოვალეობას ასრულებდა და ამჯერადაც გამოეყვანა თავისი შვილები საღამოს ჰაერის სასუნთქად. სამივენი ჩამოძონძილნი იყვნენ. ეს სამი სახე უაღრესად სერიოზული იყო და ექვსივე თვალი თანაბარი აღტაცებით ათვალიერებდა ახალ კაფეს, მხოლოდ ასაკისმიერი ნდუანსები განასხვავებდა მათ.

მამის თვალები ამბობდნენ: „რა სილამაზეა! აჰ, რა სილამაზეა! თითქოს ღარიბ-ღატაკთა მთელი ოქრო ამ კედლებში შეგროვილა“. ბიჭუნას თვალები კი ამბობდნენ: „რა სილამაზეა, აჰ, რა სილამაზეა! მაგრამ ამ სახლში ხომ ჩვენნაირების შესვლა არ შეიძლება!“. პაწიას თვალები კი იმდენად დაებრმავებინა ამ ბრწყინვალებას, რომ ისინი არაფერს გამოხატავდნენ, გარდა უღრმესი, უაზრო აღტაცებისა.

პოეტების აზრით, განცხრომა აკეთილშობილებს

სულსა და ასათუთებს გულს ადამიანისას. მათი ეს შეხედულება გამართლდა ჩემზე იმ საღამოს, მე არა მხოლოდ გული ჩამწვა ამ თვალთა ოჯახმა, არამედ სინდისის ქენჯნაც ვიგრძენი ჩვენი ჭიქებისა და გრაფინების შემხედვარემ, რომელნიც დიდად აჭარბებდნენ ჩვენს მოთხოვნილებას. მე თვალებით ვეძებდი თქვენს თვალებს, ჩემო საყვარელო, რათა ამომეკითხა მათში ჩ ე მ ი აზრი, მე ჩაგხედეთ თვალებში, მშვენიერ, საუცხოო, ნაზ, მწვანე თვალებში, სადაც მკვიდრობს მთვარეული ჯადო — კაპრიზი, და ამ დროს თქვენ ასე მომმართეთ მე: „აუტანელია ეს ხალხი, თავისი ჭიშკარივით ფართოდ დაჭყეტილი თვალებით! არ შეგიძლიათ, უთხრათ კაფეს პატრონს, მოგვაშოროს ისინი აქედან?“

აი რა ძნელია ურთიერთგაგება, ჩემო ანგელოსო, და რა შეუძლებელია ხანდახან გადაცემა აზრისა, თუნდაც ორ ისეთ ადამიანს შორის, რომელთაც აკავშირებს სიყვარული.

27. ᲒᲐᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ

ფანჩიულე იყო ბრწყინვალე მასხარა და თითქმის მეგობარი პრინცისა. (თუმც ის ადამიანები, რომელნიც თავისი მდგომარეობით კომიკოსთა როლისათვის არიან განწირულნი, რაღაც საბედისწერო მიმზიდველობას ხედავენ ხოლმე ყოველივე სერიოზულში.) მართალია, ძნელი წარმოსადგენია, რომ მასხარას გონებას ესოდენ დესპოტურად დაუფლებოდნენ თავისუფლებისა და მამულის ცნებები, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ფანჩიულეც გავრია რამდენიმე უკმაყოფილო დიდებულის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში.

ყოველთვის მოიძებნებიან ხოლმე კეთილი ნების ადამიანები, რომელნიც ასმენენ ხელისუფლებასთან ამგვარ ბოროტად განწყობილ ინდივიდებს, მიზნად რომ დაუსახავთ ხელმწიფეთა დამხობა და საზოგადოების გარდაქმნა მათი თანხმობის გარეშე. ფანჩიულე და სხვა შეთქმულნი დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს დაუყოვნებლივ.

მე მზადა ვარ ვირწმუნო, რომ პრინცი თითქმის შეწუხდა, როდესაც დაინახა თავისი საყვარელი მასხარა ურჩ ქვეშევრდომთა სიაში. ეს პრინცი არაფრით განსხვავდებოდა სხვა პრინცებისაგან, მაგრამ უკიდურესად ფაქიზი მგრძნობელობა მას

სხვებზე გაცილებით უფრო მკაცრსა და დესპოტურს ხდიდა. იგი ხელოვნებაზე იყო შეყვარებული და კარგადაც იცოდა ხელოვნება, ამავე დროს გაუმაძღარი გახლდათ განცხრომაში. ადამიანების მიმართ გულგრილი და ზნეობის საკითხებში განურჩეველი, თვით ნამდვილი არტისტი იყო და სცნობდა მხოლოდ ერთადერთ საშიშ მტერს — მოწყენილობას. და ის ხრიკები, რომელთაც პრინცი მიმართავდა კაცობრიობის ამ ტირანის დასამარცხებლად, ნამდვილი ურჩხულის რეპუტაციას შეუქმნიდნენ მას მკაცრი ისტორიკოსის თვალში, მაგრამ ამ სამფლობელოში წერა შეიძლებოდა მხოლოდ სასიამოვნო და საკვირველ ამბებზე, რომელნიც კაცს შვებას ანიჭებენ. პრინცის უდიდესი უბედურება იყო ის, რომ მას არ ჰქონდა დიდი არენა თავის უნართა გამოსავლენად. ბევრია ასეთი ჭაბუკი ნერონები, რომელთაც სული ეხუთებათ ძალზე ვიწრო ჩარჩოებში და რომელთა სახელი და ქველი მიდრეკილებანიც სამუდამოდ იკარგება შთამომავლობისათვის. წინდაუხედავმა განგებამაც ამ პრინცს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი უნარნი მიანიჭა, ვიდრე სამფლობელონი.

უეცრად გავარდა ხმა, რომ სუვერენმა განიზრახა შეწყალება შეთქმულთა. ეს ხმა დაირხა იმის შედეგად, რომ კარზე გამოაცხადეს საზეიმო სპექტაკლი, რომელშიც ფანჩიულეს უნდა შეესრულებინა ერთ-ერთი მთავარი, თავისი საუკეთესო როლი და რომელსაც უნდა დასწრებოდნენ სიკ-

ვდილმისჯილი დიდებულნი, რაც უტყუარი ნიშანი უნდა ყოფილიყო შეურაცხყოფილი პრინცის სულგრძელობისა, — ასე ამბობდნენ მალემრწმენნი.

ბუნებით ესოდენ ექსცენტრიული ადამიანისაგან მართლაც რომ მოსალოდნელი იყო ყოველივე, თვით სიკეთე და ქველმოქმედებაც კი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ხედავდა ყოველივე ამაში რაიმე მოულოდნელ განცხრომას, მაგრამ მათთვის, ვინც ჩემგვარად იყო ჩახედული ამ თავისებური და ავადმყოფი სულის სიღრმეში, უფრო ბუნებრივი იყო დაეშვა ის, რომ პრინცმა განიზრახა სიკვდილმისჯილი ადამიანის სასცენო ტალანტების გამოცდა. მას სურდა ესარგებლა შემთხვევით, ეწარმოებინა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ფსიქოლოგიური დაკვირვება და შეემოწმებინა, თუ რამდენად შეიძლება შეიცვალოს ჩვეულებრივი ნიჭი მსახიობისა ან მიიღოს სხვაგვარი სახე იმ უჩვეულო სიტუაციის ზეგავლენით, რომელშიც იგი იმყოფება; იყო თუ არა ეს, მისი მხრით, რაიმე გარკვეული განზრახვა შეწყალებისა? ეს საკითხი, როგორც ჩანს, მარად გაურკვეველი დარჩება.

და ბოლოს, დადგა ღირსშესანიშნავი დღე; პატარა სასახლე მოიკაზმა მთელი თავისი სიმდიდრით, ენით უთქმელი პომპითა და ბრწყინვალებით, რაც თითქმის წარმოუდგენელი იყო ესოდენ მცირე და ღარიბი სახელმწიფოს ზეიმისათვის. ეს იყო მართლაცდა ორმაგი ზეიმი: ერთის მხრივ — სიმდიდრითა და ფუფუნებით, მეორე მხრივ — იმ ამა-

ღელვებელი, იდუმალი ინტერესით, რომელთანაც იგი გასლდათ დაკავშირებული.

ფანჩიულე განსაკუთრებით გამოირჩეოდა უტყვ როლებში, რომელნიც თითქმის მუდამ მთავარნი არიან ფეერიულ დრამებში, სადაც სიმბოლურად არის ასახული ცხოვრებისეული მისტერიები. იგი მსუბუქი ნაბიჯით გამოვიდა სცენაზე, სავსებით თავისუფლად, რამაც კიდევ უფრო დაარწმუნა კეთილშობილი საზოგადოება პრინცის ლმობიერებასა და გულმოწყალებაში.

როდესაც რომელიმე მსახიობზე ამბობენ, კარგი მსახიობიაო, იგულისხმება ის, რომ პერსონაჟში, რომელსაც იგი განასახიერებს, მაინც მოჩანს თვით მსახიობი, მისი ხელოვნება, მისი ნება. მსახიობმა რომ მიაღწიოს პერსონაჟთან მიმართებაში იმას, რასაც აღწევენ მშვენიერების იდეასთან მიმართებაში საუკეთესო ანტიური ქანდაკებები, — ნამდვილად ცოცხალნი, გასულიერებულნი, მოძრავნი, თვალხილულნი, — ეს იქნებოდა სავსებით მოულოდნელი და განსაცვიფრებელი ამბავი. მაგრამ იმ საღამოს ფანჩიულე იმდენად სრულყოფილი განსახიერება იყო იდეალურისა, რომ მას სხვაგვარად ვერც წარმოიდგენდით. ეს ხუმარა დადიოდა, მოძრაობდა, იცინოდა, ტიროდა და ამავე დროს მას თავს ადგა უქრობი ნათელი, — სხვათათვის უხილავი, ჩემთვის კი ხილული, რომელშიც საოცრად შერწყმულიყო ხელოვნების სხივი მოწამეობრივ შარავანდედთან. რაღაც განსაკუთრებული მადლით გასხივოსნებუ-

ლი ფანჩიულე ღვთაებრივსა და ზესთაბუნებრივს აქსოვდა თავის უკიდურესად ექსტრავაგანტურ ხუმრობებშიც. კალამი მიკანკალებს და თვალები ცრემლით მევსება მღელვარებისაგან, როდესაც ვცდილობ აღგიწეროთ ის დაუვიწყარი საღამო. ფანჩიულემ მთელის გარკვევით და უდავობით მარწმუნებინა იმ საღამოს, რომ ხელოვნებით თრობას ყველაზე მეტად ძალუძს თვალთათვის უჩინოქმნა ქვესკნელის მთელი საშინელებისა; რომ გენიას ძალუძს კომედიის თამაში საფლავის კართან სიხარულით, რომელიც ფარავს მისგან საფლავს, რამეთუ ამ დროს იგი სამოთხეში ნეტარებს, რაც გამორიცხავს ყოველგვარ აზრს საფლავისა და ხრწნადობის შესახებ.

დამსწრე საზოგადოებამ, მიუხედავად მთელი თავისი მოყირჭებისა და ფუქსავატობისა, მალე იგრძნო თავისთავზე ხელოვანის ძალმოსილება. აღარავინ ფიქრობდა წამებაზე, სიკვდილსა და მწუხარებაზე. ყველამ დაივიწყა სადარდებელი და მთლიანად მიეცა იმ ორკეც სიამოვნებას, რომელსაც გვანიჭებს ჭვრეტა ცოცხალი ხელოვნების შედევრებისა. სიხარულის და აღტაცების მქუხარე ხმები ჟამიდან ჟამზე არყევდნენ შენობის თაღებს, თვით ექსტაზში შესულმა პრინცმაც შეუერთა თავისი აპლოდისმენტები ქვეშევრდომთა ტაშს. ამასთან, ნათელმხილველ მზერას არც ის გამოეპარებოდა, რომ პრინცის ექსტაზს კიდევ სხვა რამ ერთვოდა ზედ. გრძნობდა თუ არა იგი თავს დამარ-

ცხებულად დესპოტურ ძალმოსილებაში? გრძნობდა თუ არა იგი თავს დამცირებულად თავის ხელოვნებაში, რაც ვამოიხატებოდა ადამიანთა გულებში შიშის დათესვასა და მათი გონების ჩახშობაში? ან იქნებ იმედგაცრუებულად გრძნობდა თავს და ვარაუდებში მოტყუებულად? ასეთი ვარაუდები, სხვათა შორის, არსებითად გაუმართლებელნიც და შეუმოწმებელნიც, მომდიოდა თავში იმ დროს, როდესაც თვალს ვადევნებდი პრინცის ფერმკრთალ სახეს, ამჯერად კიდევ უფრო რომ გადაფითრებულიყო, თითქოს თოვლს თოვლი მომატებოდა. ბაგენი შეკუმშოდა, თვალები აგზნებოდა შინაგანი ცეცხლით, იჭვიანობის ფარული ბოღმის ცეცხლს რომ ჰგავდა, მაშინაც კი, როდესაც იგი დემონსტრატიულად უკრავდა ტაშს თავის ძველ მეგობარს, ამ საკვირველ ხუმარას, რომელიც ესოდენ განსაცვიფრებლად დასცინოდა სიკვდილს. მე თვალი ვკიდე ერთ მომენტში, ვით დაიხარა მისი უდიდებულესობა და რაღაც უჩურჩულა მის გვერდით მდგომ პატარა პაჟს. პატარა ბიჭუნას ონავარი სახე გაებადრა ღიმილით და მაშინვე დასტოვა ლოჟა პრინცისა, თითქოსდა ჩქარობსო რაღაც გადაუდებელი დავალების აღსრულებას.

რამდენიმე წუთის შემდეგ უხეშმა, ხანგრძლივმა სტვენამ შეაწყვეტინა ფანჩიულეს ერთ-ერთი საუკეთესო მიზანსცენა თავისი როლისა, თან ყური მოსჭრა მსმენელთ და გული დაუკოდა მათ. ხოლო დარბაზში, იმ ადგილიდან, საიდანაც მოისმა ეს

უეცარი ნიშანი გმობისა, სიცილით წამოხტა პატარა ბიჭუნა და კორიდორში გაიჭრა.

ფანჩიულე თითქოს ოცნებისაგან გამოერკვაო. ჯერ დახუჭა თვალები, შემდეგ ასევე არაბუნებრივად დაჭყიტა ფართოდ, შემდეგ დააღო პირი, თითქოსდა სურს ღრმად ჩაისუნთქოსო, ოდნავ წაბარბაცდა ჯერ წინ, შემდეგ უკან და... მკვდარი დაეცა სცენაზე.

გაამართლა თუ არა საბოლოოდ ჯალათის ანგარიშები ამ ხმალივით მჭრელმა სტვენამ? გრძნობდა თუ არა პრინცი თავისი ხრიკის მთელს ჯოჯოხეთურ ძალას? ძნელი სათქმელია. შეებრალა თუ არა მას თავისი ძვირფასი, შეუდარებელი ფანჩიულე? სასიამოვნოც იქნებოდა და კანონზომიერიც ამის გაფიქრება.

დანაშაულში გარეული დიდებულებიც უკანასკნელად დატკბნენ თეატრალური სანახაობით. ისინი იმავე ღამეს გამოასალმეს წუთისოფელს.

მას აქეთ მრავალი მსახიობი, მრავალ ქვეყანაში ღირსეულად დაფასებული, ჩამოდიოდა საგასტროლოდ სამეფო კარზე, მაგრამ ვერცერთი ვერ შეედრებოდა ნიჭით ფანჩიულეს საოცარ ტალანტს და ვერც იმსახურებდა მისებრ წ ყ ა ლ ო ბ ა ს.

28. ყალბი ფული

თამბაქოს ფარდულიდან გამოსვლამდე ჩემმა ნაცნობმა გულდასმით დაახარისხა თავისი ფული: ჟილეტის მარცხენა ჯიბეში ჩაიწყო პატარა ოქროს მონეტები, მარჯვენაში — წვრილმანი ვერცხლი, შარვლის მარცხენა ჯიბეში — მრავალი მსხვილი სუ და ბოლოს მარჯვენაში — ერთი ორფრანკიანი მონეტა, რომელიც მან საგანგებოდ, გულდასმით დაათვალიერა.

„რა უცნაური და წვრილმანი დანაწილებაა", — გავიფიქრე მე.

ჩვენ შემოგვხვდა მათხოვარი, რომელმაც ხელის კანკალით გამოგვიწოდა ქუდი. არაფერია უფრო ამაღელვებელი, ვიდრე ამ თვალთა სიმჭევრე, რომელნიც, მგრძნობიერი კაცისთვის, მათში რომ კითხულობს სათქმელს, ამდენ სიმდაბლეს და ყვედრებას გამოხატავენ ერთდროულად. იგი ხედავს მათში ისეთ რამეს, რაც უახლოვდება სიღრმით იმ რთულ გრძნობას, გალახული ძაღლის ცრემლიან თვალებში რომ მოჩანს.

ჩემი ნაცნობის სამოწყალო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემსაზე, და მე მივმართე მას: „თქვენ მართალი ხართ; არაფერია იმაზე სასიამოვნო, როდესაც შენ თავად განიცდი გან-

ცვიფრებას, ხოლო ამის შემდეგ მოდის სიამოვნება სხვათა განცვიფრებისა“/ „ეს ყალბი ფული იყო“, — მშვიდად მომიგო მან, თითქოს თავს იმართლებსო გულუხვობაში.

თუმც ჩემს უიღბლო თავში, მუდამ შეუძლებელს რომ მისტირის (აი, რა დამღლელი უნარი მომანიჭა ბუნებამ), მაშინვე გაჩნდა აზრი, რომ ჩემი ნაცნობის ასეთი ქცევა ალბათ იმით თუ იყო გამართლებული, რომ მას სურდა მოვლენად ექცია ეს შემთხვევა ამ უპოვარის ცხოვრებაში, ან, შესაძლოა, ეცადა: რა შედეგს მოიტანდა, დამღუპველს თუ სხვაგვარს, ყალბი მონეტა მათხოვრის ხელში? ხომ არ აშოვნინებდა იგი ნამდვილ ფულს? ან იქნებ ციხის კარზე მიიყვანდა მას? ვთქვათ, მედუქნე ან მეფუნთუშე დაასმენდა მას, როგორც ყალბი ფულის მფლობელს, ან გამავრცელებელს, მაშინ როდესაც რომელიმე წვრილმანი სპეკულანტის ხელში ყალბი მონეტა მთელ სიმდიდრეს მოუტანდა მას რამდენიმე დღით. ამრიგად, ჩემი ფანტაზია განაგრძობდა მუშაობას, ფრთებს ასხამდა ჩემი ნაცნობის გონებას და გამოჰყავდა ნაირგვარი დასკვნები ნაირგვარი ჰიპოთეზებიდან.

მაგრამ უეცრად მან გამაწყვეტინა ოცნება და გამიმეორა ჩემივე საკუთარი სიტყვები: „თქვენ მართალი ხართ, არ არის უფრო დიდი სიამოვნება, ვიდრე განაცვიფრო ადამიანი იმით, რომ იმაზე მეტი მისცე, ვიდრე იგი მოელის“.

მე ჩავხედე თვალებში ჩემს ნაცნობს და შე-

მზარა, რა დავინახე მათში აშკარა გულწრფელობა. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მან განიზრახა ერთდროულად ქველი საქმეც ჩაედინა და მომგებიანი აფიორაც: შეენარჩუნებინა ორმოცი სუ და მოემადლიერებინა უფალი ღმერთი; სამოთხეში მოხვედრილიყო ზედმეტი ხარჯების გარეშე; ერთი სიტყვით — უფასოდ ეშოვნა პატენტი მოწყალე კაცისა. მე წელან მზად ვიყავი მიმეტევებინა მისთვის დანაშაულებრივი სიამოვნების ძიება, რაზედაც მივიტანე ეჭვი; მე რაღაც თავისებურად საინტერესო შტრიხად ჩავთვლიდი, მას რომ გართობა მოპრიანებოდა უპოვართა გაცურებით; მაგრამ მე არასოდეს ვაპატიებ უაზრო ვარაუდს. ადამიანს აროდეს ეპატიება ბოროტება, მაგრამ არის რაღაც ღირსება საკუთარი ბოროტების შეგნებაში. ყველაზე უფრო გამოუსწორებელი მანკიერება კი არის სიბოროტის ჩადენა სისულელით.

29. ᲓᲘᲓᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ

–

გუშინ, ბულვარზე, ბრბოში მიმავალმა წამიერი შეხება ვიგრძენი იდუმალი არსებისა, რომელთან შეხვედრასაც მუდამ მიველტვოდი და რომლის ხატებაც მყისვე შევიცანი, თუმც აროდეს მენახა ივი. უთუოდ მასაც ივივე სურდა, ვინაიდან ვვერ-დით ჩავლისას მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი. მეც მაშინვე მივსდიე ამ წამყოფას, ფეხ-დაფეხ ავედევნე მას და მალე ორივენი აღმოვჩნდით უცხო ნათლით გაჩახჩახებულ მიწისქვეშეთში, რო-მელიც ისეთი სიმდიდრითა და ფუფუნებით ბრწყინავდა, პარიზის ვერც ერთი სრა-სასახლე რომ ვერ დაიკვეხნის. გასაოცარი ის იყო, რომ მე არაერთხელ ჩამივლია ამ ჯადოსნური სადარნის ვვერდით და არასოდეს შემიმჩნევია მისი კარიბჭე. აქ მეფობდა სულზე უტკბესი ბანგით გაჟღენთილი ატმოსფერო, წამიერად რომ გვავიწყებს მოსაწყენ ციებ-ცხელებას ამა სოფლისას და სულიც ეწაფე-ბოდა იმ ბუნდოვან ნეტარებას, რომელსაც ალბათ ვანიცდიან ლოტოსის მჭამელი მოგზაურნი, მარა-დიული დღის ნათლით გაბრწყინებულ ჯადოსნურ კუნძულზე მოხვედრილნი, სადაც ჩანჩქერთა რუ-ლისმომგვრელ ჟღურტულში ვრძნობენ, ვით იბა-დება მათში სურვილი თავიანთ ცოლ-შვილთან და

პენატებთან არმიბრუნებისა, ზღვის აქოჩრილ ტალღებზე ხეტიალის შეწყვეტისა.

ქალთა და მამაკაცთა უცნაური სახეები რიალებდნენ ირგვლივ, საბედისწერო მშვენებით გაბრწყინებულნი. და მე მეჩვენებოდა, თითქოს ოდესღაც მენახა ეს სახეები, ოღონდ ვერასგზით ვერ გავიხსენე, როდის და რომელ მხარეში. ეს სახეები უმალ დაძმურ სიმპათიას აღმიძრავენ, ვიდრე იმ უნდობლობას, რომელიც, ჩვეულებრივ, იღვიძებს ჩვენში უცნობ ადამიანებთან შეხვედრისას.

რაიმე განსაკუთრებული გამოთქმით რომ განმესაზღვრა ის გამომეტყველება, რომელიც ასხივებდა მათ თვალთაგან, ვიტყოდი, რომ არასოდეს მინახავს თვალები, რომლებშიც ელავდა ასეთი უკიდურესი ზიზღი მოწყენისადმი, ასეთი დაუცხრომელი წყურვილი ცხოვრების შეგრძნებისა.

მე და ჩემი მასპინძელი ინახად დავსხედით კარგი ძველი მეგობრებივით, ვჭამდით და ვსვამდით, ნაირ-ნაირ საუცხოო ღვინოებს შევექცეოდით და, რაც არანაკლებ საოცარია, რამდენიმე საათში მე შევამჩნიე, რომ იგი ჩემზე არანაკლებ ნასმურევი იყო. დროდადრო ვწყვეტდით სმას და ამ ზეადამიანურ სიამოვნებას — ბანქოს თამაშს ვეწაფებოდით. აქვე უნდა ვაღიარო, რომ მე ბანქოში გავათამაშე და წავაგე ჩემი სული, ჭეშმარიტად გმირული უზრუნველობით და თავქეიფობით. სული ხომ ესოდენ ხელშეუვლები რამ არის, ხშირად სავსებით უსარგებლოა და ზოგჯერ ზედმეტ ტვირ-

თადაც გვაწევს, ასე რომ მის დაკარგვას სულაც არ შევუშფოთებივარ, ალბათ უფრო მეტად შემაშფოთებდა სეირნობისას სავიზიტო ბარათის დაკარგვა.

ჩვენ დიდხანს ვეწეოდით რაღაც განსაკუთრებულ სიგარებს, რომელნიც თავიანთი შეუდარებელი გემოთი და არომატით აღვიძებდნენ სულში სევდას ადრეულნახული ქვეყნებისას. წყურვილს ადრეულგანცდილ შვებათა და ამ განხცრომისაგან გაბრუებულმა, ანაზდად წამოვავლე ხელი სავსე ფიალას და ფამილარულად, დაურიდებლად შევძახე: „ეს თქვენი უკვდავი დღეგრძელობისა იყოს, ბებერო თხაე!"

წარმოიდგინეთ, ამგვარი მიმართვისას შოკის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია მისთვის.

ჩვენ ვსაუბრობდით ავრეთვე სამყაროზე, მის შექმნასა და მომავალ წარხდომაზე, ჩვენი საუკუნის დიად იდეაზე — ე. ი. პროგრესსა და სრულყოფის უნარზე, საერთოდ ადამიანური თვითმოტყუების ყოველგვარ ფორმებზე, ამ თემაზე მისმა ბრწყინვალებამ მრავალი მოსწრებული, მახვილგონიერი კალამბური ბრძანა, იგი საოცარ აუმღვრევლობას და სიმშვიდეს ინარჩუნებდა თვით უკიდურესად თავშესაქცევი ამბების მოყოლის დროსაც კი, თან განმაცვიფრა ისეთი დახვეწილი ფრაზებით და დიქციით, რომელთა მსგავსიც არ შევხვედრია კაცთა მოდგმის თვით უსაჩინოეს სიტყვის ოსტატებთანაც კი.

მან ვანმიმარტა უაზრობა სხვადასხვა ფილო-

სოფიური სისტემისა, რომელნიც დღემდე ბატონობენ ადამიანთა აზროვნებაში, შემდეგ კეთილი ინება და გამანდო რამდენიმე ძირეული ჭეშმარიტება, რომელთა არსს და უპირატესობასაც მე ვერავის ვამცნობ ამქვეყნად. იგი სულაც არ უჩიოდა იმ ცუდ სახელს, რომელიც მისმა პერსონამ დაიმკვიდრა მთელს ქვეყანაზე და მარწმუნებდა, რომ იგი თავადაც დიდადაა დაინტერესებული ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრით და აღიარა, რომ ერთადერთი შემთხვევა ჰქონდა, როცა შეეშინდა თავისი ძალაუფლების შერყევისა და ეს იყო მაშინ, როდესაც ერთმა მქადაგებელმა, თავის თანამოძმეებზე მეტად ვამჭრიახმა, წარსთქვა ეკლესიის ამბიონიდან: „საყვარელნო ძმანო ჩემნო, როდესაც თქვენი თანდასწრებით აქებენ და ადიდებენ განათლების მიღწევებს, გასსოვდეთ, რომ ეშმაკის ყველაზე ვერაგული ფანდი ის არის, რომ იგი ცდილობს დავარწმუნოთ თავის არარსებობაში!“.

ამ სახელოვანი ორატორის ხსენებაზე სიტყვამ მოიტანა და ჩვენ შევეხეთ აკადემიების საკითხს: ჩემმა უჩვეულო თანამოსაუბრემ განმიცხადა, რომ იგი ხშირად წარმართავს სოლომე ახალგაზრდობის აღმზრდელთა კალამს, სიტყვას თუ აზრს და რომ თითქმის ყოველთვის პირადად, თუმც უხილავად, ესწრება ხოლმე აკადემიურ სხდომებს.

მისი კეთილგანწყობის ამგვარი გამოვლინებით გაკადნიერებულმა ვკითხე, როგორ ბრძანდება უფალი ღმერთი, როდის შესვდით-მეთქი მას უკა-

ნასკნელად. მანაც მომიგო ოდნავ უჩრუნველი ტონით, თუმცა საკმაოდ გულდაწყვეტილად: „შეხვედრისას ვესალმებით ხოლმე ერთიერთს, როგორც ორი ხანდაზმული ჯენტლმენი, რომელთაც თანდაყოლილი ზრდილობის გრძნობა საბოლოოდ მაინც ვერ ავიწყებს ძველ შუღლს“.

მის ბრწყინვალებას, ვგონებ, აროდეს უბოძებია ესდენ ხანგრძლივი აუდიენცია უბრალო მოკვდავისთვის და მეც ვშიშობდი, ბოროტად არ მესარგებლა ასეთი პატივით. ბოლოს, როდესაც უკვე შემცივნებულმა ცისკარმა შემოიჭვრიტა ფერგამკრთალ მინებში, ამ ყოვლად წარჩინებულმა პერსონამ, რომლისთვისაც ამდენ პოეტს შეუსხამს ხოტბა და რომლის განდიდებასაც არაცნობიერად ემსახურება ამდენი ფილოსოფოსი, განმიცხადა: მე მსურს, რომ თქვენ კეთილი მოგონება დაგრჩეთ ჩემზე, მსურს აგრეთვე დაგიმტკიცოთ, რომ მიუხედავად ყოველივე იმ აუგისა, რასაც ამბობენ ჩემს შესახებ, მე ხშირად კეთილი ვარ, bon diable *, როგორც მიწოდებთ ხოლმე თქვენ. იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის საფასურად, რომელიც თქვენ განიცადეთ სულის დაკარგვით, მე დავაჯილდოებთ ყოველივე იმით, რასაც მიიღებდით ჩემგან იმ შემთხვევაში, ბანქოს თამაშის დროს ბედს თქვენთვის რომ გაეღიმა. კერძოდ — მე მოგცემთ საშუალებას იმისას, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე და-

* კეთილი ეშმაკი.

ამარცხოთ და განიქარვოთ ხოლმე ეგ მეტად თავისებური დაავადება — მოწყენა, წყარო ყოველთა თქვენთა სნეულებათა და ამავე დროს თქვენთა უდღეურ წინსვლათა მიზეზი. ამიერიდან მე დაგეხმარებით ყოველი სურვილის ასრულებაში; თქვენ იბატონებთ თქვენთა მსგავსთა უბადრუკ სულებზე; გარემოცული იქნებით ლიქნითა და თაყვანისცემით, ფული, ოქრო, ბრილიანტები, საზღაპრო სასახლეები — თავისთავად მოზღვავდებიან თქვენს კარზე და შეგეევედრებიან, გვეუფლეთო, თქვენ კი ხელის განძრევაც არ დაგჭირდებათ მათ მოსახვეჭად. მრავალგზის გამოიცვლით სამშობლოს და ისე ხშირად იმოგზაურებთ ხოლმე სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც ეს თქვენს ფანტაზიას მოეპრიანება. მოუყირჭებლად დაეწაფებით ვნების სიამტკბილეს იმ საოცნებო მხარეებში, სადაც ქალნი ისევე სურნელოვანნი არიან, როგორც ყვავილნი და ასე შემდგომ, და ასე შემდგომ. დაასრულა მან თავისი სიტყვა და გამომისტუმრა კეთილგანწყობილი ღიმილით.

იმ ხალხმრავალი შეკრების წინაშე თავის დამცირებას მოვერიდე, თორემ მზად ვიყავი ფეხებში ჩავვარდნოდი ამ დიდსულოვან მოთამაშეს, რათა ამით მაინც გამომეხატა მთელი ჩემი მადლიერება მისი ამ არნახული სიუხვის გამო. მაგრამ მასთან განშორების შემდეგ თანდათანობით კვლავ დამეუფლა დაუთრგუნავი უნდობლობა. უკვე ვეღარ ვბედავდი დამეჯერებინა ასე სასწაულებრივი გა-

ბედნიერება და, რა დავწექი, ძველი სულელური ჩვეულებისამებრ, ლოცვას ვბუტბუტებდი და ნახევრად ცნობამიხდილი ვამბობდი: „უფალო, შეასრულებინე ეშმაკს თავისი დანაპირები!“.

30. თოკი

ვუძღვნი ედუარდ მანეს

ჩემი ერთი მეგობარი მეუბნებოდა: ილუზიები, როგორც ჩანს, ისევე აურაცხელია, როგორც ადამიანთა ურთიერთობანი ან ადამიანთა მიმართებანი საგნებთან. ხოლო როდესაც ილუზია ქრება, ანუ როდესაც ვხედავთ ადამიანს, ან ფაქტს ისეთად, როგორიც არის იგი სინამდვილეში, ჩვენგან დამოუკიდებლად, უცნაური გრძნობა გვეუფლება, რომელსაც ართულებს ნაწილობრივ გულისტკივილი გამქრალ აჩრდილზე, ნაწილობრივ — სასიამოვნო განცვიფრება ახალი რეალური ფაქტის წინაშე. თუ არსებობს აშკარად ჩვეულებრივი მოვლენა, ყოველთვის ერთგვაროვანი, მოვლენა, რომლის არსის განსაზღვრაშიც შეუძლებელია შეცდომა, — ეს არის დედობრივი სიყვარული. დედის წარმოდგენა დედობრივი სიყვარულის გარეშე ისევე ძნელია, როგორც სინათლის წარმოდგენა სითბოს გარეშე. ამიტომ განა ბუნებრივი არ არის, დედის ყველა სიტყვაში, ყველა ქცევაში ბავშვის მიმართ სწორედ დედობრივი სიყვარულის გამოხატულება დავინახოთ? თუმც მოისმინეთ ეს პატარა ამბავი, რომელშიც მე გავხდი მსხვერპლი ამ უცნაური და ძალზე ბუნებრივი ილუზიისა.

როგორც მხატვარი, მე ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდები სახეებს, ფიზიონომიებს შემხვედრი ადამიანებისას. თქვენ იცით, რა სიამოვნებას გვანიჭებს ეს უნარი, რომლის წყალობითაც თავად ცხოვრება ხდება ჩვენთვის უფრო მძაფრი და შინაარსიანი, ვიდრე სხვა ადამიანთათვის. შორეულ კვარტალში, სადაც მე ვცხოვრობ, სადაც შენობები დღესაც დაშორებულნი არიან ურთიერთისაგან ბალახით დაფარული, ფართო ტრამალებით, ხშირად მინახავს ერთი ბავშვი, რომლის სახეც აღბეჭდილი იყო მგზნებარებით და ანათებდა ცოცხალი გონიერებით. მან პირველ შეხედვისთანავე განმაცვიფრა სხვა ბავშვურ სახეებს შორის. მე მას ხშირად ვხატავდი ხან ბოშის ბიჭად, ხან ანგელოსად და ხანაც მითურ ამურად. ვხატავდი მოხეტიალე მუსიკოსად ვიოლინოთი ხელში, ხანაც ეკლის გვირგვინით თავზე, დალურსმული ხელებით, ხანაც ეროსის ჩირაღდნით ხელში. ეს მშვენიერი ბიჭუნა იმდენად მომწონდა, რომ ბოლოს მივმართე მის მშობლებს, რომელნიც ფრიად გაჭირვებულნი იყვნენ და ვთხოვე მოეცათ ჩემთვის ბავშვი, თანაც დავპირდი, რომ კარგად ჩავაცმევდი, დავხურავდი, მივცემდი ხოლმე ცოტა ფულს და არ დავაკისრებდი სხვა მოვალეობებს გარდა ფუნჯის რეცხვისა და ჩემი ზოგიერთი სხვა დავალების შესრულებისა. როდესაც ბავშვი მოწესრიგდა, იგი კიდევ უფრო გამშვენიერდა და ჩემთან ცხოვრება მისთვის სამოთხე იყო

იმასთან შედარებით, რისი ატანაც უხდებოდა მას მამის ქოხში.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს პატარა კაცუნა მაოცებდა ზოგჯერ თავისი უცნაური, ასაკისათვის შეუფერებელი დეპრესიის გამოვლინებით, მან მალე გამოავლინა აგრეთვე ჭარბი მიდრეკილება ტკბილეულობისა და ლიქიორისადმი. ერთხელაც, როდესაც დავრწმუნდი, რომ მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, მან კიდევ ერთხელ ჩაიდინა ასეთივე პატარა ქურდობა, მე დავემუქრე, მშობლებთან დაგაბრუნებ-მეთქი. შემდეგ გამოვედი სახლიდან და დიდხანს ვიყავი გარეთ საქმეებზე.

რაოდენ შემზარა, როდესაც შინ მობრუნებულმა ვიხილე ჩემი ონავარი პატარა მეგობარი აი, ამ კარადაზე ჩამოკიდებული. ფეხები თითქმის ეხებოდნენ იატაკს; სკამი, რომელსაც, როგორც ჩანს, ფეხი ჰკრა, იქვე ეგდო. თავი კრუნჩხვისაგან განზე მოქცეოდა; დაბერილი სახე და საშინელი, დაჟინებული მზერა ფართოდ გახელილი თვალებისა თავდაპირველად ჰქმნიდნენ რაღაც ილუზიას სიცოცხლის ნიშანწყლისას. მისი ჩამოხსნა ყულფიდან არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც თქვენ ფიქრობთ. საკმაოდ გამაგრებულიყო. შემზარა იმის გაფიქრებამ, რომ არსებობდა საფრთხე მისი იატაკზე ჩამოვარდნისა. ცალი ხელით სხეული მეჭირა, მეორე ხელით კი თოკს ვჭრიდი, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. პატარა ბოროტმოქმედმა გამოიყენა ძალზე წვრილი თოკი, რომელიც ღრმად

შეჭრილიყო მის სხეულში და ახლა ყელის გასა-
თავისუფლებლად საჭირო იყო წვრილი მაკრატლით
მომესინჯა თოკი, დაბერილ კისერში რომ ჩასვლო-
და ღრმად.

მე დამავიწყდა თქმა იმისა, რომ თავდაპირვე-
ლად ვღრიალებდი, მიშველეთ-მეთქი; თუმცა არც
ერთმა მეზობელმა არ მოინდომა ჩემი შველა, მათ
გამოავლინეს ცივილიზებული ადამიანის თვისე-
ბა, რატომღაც თავს რომ არიდებს ჩამოხრჩობილი
კაცის საქმეებში ჩარევას. ბოლოს გამოჩნდა ექიმი,
რომელმაც განაცხადა, ბავშვი უკვე რამდენიმე სა-
ათის გარდაცვლილიაო. უფრო გვიან, როდესაც
გავხადეთ მას დაკრძალვის წინ, გვამი იმდენად გა-
ქვავებულიყო, რომ ვერ მოვუხარეთ ხელ-ფეხი,
რის გამოც იძულებული გავხდით, შემოგვეჭრა
მასზე ტანსაცმელი.

რა თქმა უნდა, ყოველივე უნდა მომეხსენებინა
კომისრისათვის, რომელმაც გამომცდელად შემო-
მხედა და მითხრა: „ცუდადაა საქმე!“ — ვინაიდან,
როგორც ჩანს, მას ჰქონდა პროფესიული ჩვევა,
ყოველი შემთხვევისათვის, მართალის თუ მტყუ-
ანის შეშინებისა.

რჩებოდა ერთადერთი უკანასკნელი მოვალე-
ობის აღსრულება, რის გაფიქრებაც კი მზარავდა
ტანში: უნდა შემეტყობინებინა მშობლებისათვის.
ფეხები უკან მრჩებოდა, როდესაც გადავწყვიტე
წასვლა. ბოლოს, როგორც იქნა, მივედი, მაგრამ
ჩემდა განსაცვიფრებლად, დედამ მომისმინა ყო-

ველგვარი ცრემლის გარეშე... მე მივაწერე ეს უცნაურობა ამ საშინელ ტრავმას, მის მიერ განცდილს და გამახსენდა გამოთქმა „ყველაზე საშინელი მწუხარება მუნჯი მწუხარებაა!“ რაც შეეხება მამას, მან მხოლოდ ოდნავ ჩლუნგი დაფიქრებით გამოსცრა: „ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, ასე სჯობდა! მაგის ბოლო მაინც ეგ იყო“.

ამასობაში გვამი ჩემს დივანზე ესვენა და მე ვამთავრებდი მოსამსახურე ქალის დახმარებით უკანასკნელ სამზადისს, როდესაც ჩემს სახელოსნოში შემოვიდა დედა გარდაცვლილისა: მას უნდოდა, როგორც თქვა, დაეხედა შვილის გვამისათვის. რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო დამეშალა მისთვის ვარამის გადმოღვრა, ამ უკანასკნელ ნუგეშზე უარის თქმა... შემდეგ მან მთხოვა მეჩვენებინა ის ადგილი, სადაც ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო.

„ო, არა, ქალბატონო, — მივუგე მე, — ეს ჯოჯოხეთური ტანჯვა იქნება თქვენთვის!“ უნებლიეთ შევავლე თვალი იმ ავბედით კარადას და შემზარა იმ ამბავმა, რომ მის კარზე ისევ მოჩანდა ლურსმანი და მასზე დაკიდებული თოკი. გასანადგურებლად მივვარდი მომხდარი ამბის ამ საშინელ კვალს, მაგრამ იმ წუთში, როდესაც ვაპირებდი მათ გადაგდებას ფანჯრიდან, საბრალო ქალი მეცა ხელში და იკივლა: „ო, არა, გევედრებით! დამიტოვეთ ეგ მე!“ — „როგორც ჩანს, შეიშალა სასოწარკვეთილებისაგან, — გამიელვა, — ვინაიდან ნაზი ვრძნობა აქვს თვით იმისადმიც კი, რამაც სიცო-

ცხლე მოუსწრაფა მის ვაჟს და სურს შეინარჩუნოს იგი საშინელ და ძვირფას რელიქვიად". ასე რომ, დედა დაეპატრონა ლურსმანს და თოკს.

ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ყველაფერი! კიდევ დამრჩენოდა მცირედი სამუშაო, რასაც გულმოდგინედ შევუდექი, რათა თანდათან გავთავისუფლებულიყავ ამ პატარა გვამის ტირანიისაგან, რომლის აჩრდილიც ყველგან დამდევდა და არ მაძლევდა მოსვენებას თავისი ფართოდ დაჭყეტილი უძრავი თვალებით. მაგრამ მეორე დღეს მივიღე მთელი დასტა წერილებისა: ნაწილი ჩემი სახლის მკვიდრთაგან, ნაწილი მეზობელი სახლებიდან; ერთი პირველი სართულიდან; ერთი მეორედან და მესამიდანაც კი და ა. შ.; ერთნი ნახევრად ხუმრობით, თხოვნის სერიოზულობის შესანიღბად, სხვანი თავხედურად და თავაგდებულად მწერდნენ, მაგრამ ყველას მიზანი ერთი და იგივე იყო, სახელდობრ ის, რომ სურდათ მიეღოთ ჩემგან ნაჭერი ამ ავბედითი და სასწაულთმოქმედი თოკისა. თანაც მწერდნენ არა იმდენად მამაკაცები, რამდენადაც ქალები; ამასთან ყველა ისინი — დარწმუნებული იყავით ამაში — როდი ეკუთვნოდნენ უმდაბლეს, უბირ ფენას მოსახლეობისას... მე შევინახე ეს წერილები...

და მაშინ, უეცრად, ვამინათდა ვონება და მივსვდი, თუ რად მოითხოვდა დედა ასე დაჟინებით ჩემგან ამ თოკს და რა იყო მისი ნუკეში.

31. მოწოდებანი

მშვენიერ ბაღს ჩამავალი მზის ნაგვიანევი სხივი აფერადებდა, მომწვანო ცაზე მოხეტიალე მატერიკებივით მიცურავდნენ ოქროს ღრუბლები, ხოლო ბაღის შუაგულში ოთხი მშვენიერი ბიჭუნა, რა თქმა უნდა, თამაშით დაღლილი, საუბრობდა ურთიერთშორის.

ერთი ამბობდა: „ვუშინ თეატრში წამიყვანეს. ამ დიდებული სასახლის სიღრმეში მოჩანს ზღვა და ცა, იქ სიმღერით ლაპარაკობენ ქალნი და კაცნი, სერიოზულნი და პირქუშნი, მაგრამ გაცილებით უფრო ლამაზები და კარგად ჩაცმულნი, ვიდრე ჩვენი მახლობლები. ისინი ხან ემუქრებიან ურთიერთს, ხან ეკვედრებიან, ხან სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და ზოგჯერ ხანჯალსეც იტაცებენ ხოლმე ხელს. აჰ, რა მშვენიერია ეს ყოველივე! ქალები აქ გაცილებით ლამაზები არიან და მაღლები, ვიდრე ჩვენი სტუმრები, და თუმც საშიშად გვეჩვენებიან დიდთვალებიანნი და სახეგაბრწყინებულნი, მაგრამ არ შეიძლება არ შეგიყვარდეს ყოველი მათგანი. გზარავს, ტირილი გინდა და მაინც გსიამოვნებს. და შემდეგ, რაც ყველაზე მეტად საკვირველია, გებადება სურვილი ასე ჩაცმისა, ასეთი ქცევისა, და მათსავით სიმღერით ლაპარაკისა.

ოთხთაგან ერთ-ერთმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა ამხანაგს და თან რაღაც წერტილს შესცქეროდა ცაში, უეცრად თქვა: „შეხეთ! შეხეთ! ხედავთ თუ არა მას? განმარტოებულ ღრუბელზე რომ ზის, პატარა ცეცხლოვან ღრუბელზე, ნელა რომ მიცურავს... თითქოს დაგვცქერისო ზევიდან!“

„ვინ არის ეგ?“ — ჰკითხეს დანარჩენებმა.

„ღმერთი!“ — მიუგო ბიჭუნამ დაბეჯითებით.

„აჰა, იგი უკვე შორსაა; მალე მიეფარება თვალს; ალბათ მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში. შეხეთ, შეხეთ, ახლა იგი ხეებს გადაუვლის, — აი იქ, თითქმის ჰორიზონტზე... ახლა კი სამრეკლოს მხარეს დაეშვა... აჰ, უკვე აღარ ჩანს!“ — ბავშვი კიდევ დიდხანს იდგა იმ მხარეს მიბრუნებული და თვალს არ აშორებდა ცისა და დედამიწის გამყოფ თვალსაწიერს. მისი მზერა ექსტაზითა და სინანულით ასხივებდა.

„აი, სულელი! მაგის ღმერთს ვერავინ ხედავს თავად მის გარდა! — წამოიძახა მესამე ბიჭუნამ, რომლის მთელი ფიგურაც საოცრად ცოცხალი იყო და მოძრავი. — აი მე კი მოგითხრობთ ისეთ ამბავს, რაც არც ერთ თქვენგანს არ უგემია არასოდეს და რაც გაცილებით უფრო საინტერესო იქნება თქვენს თეატრზეც და თქვენს ღრუბლებზეც. ამ რამედნიმე დღის წინათ მშობლებმა სამოგზაუროდ წამიყვანეს. გავჩერდით სასტუმროში, სადაც აღარ იყო ადგილები და მე ჩემს ძიძასთან ერთად უნდა გამეთია ღამე, — შემდეგ მან

ახლოს მოიზიდა ამხანაგები და ხმადაბლა განაგრძო: — იცით რა უცნაური გრძნობაა, როდესაც ძიძასთან ერთად წევხარ ლოგინში მარტო. მე არ მეძინებოდა და ვერთობოდი, ვიდრე ძიძას ეძინა: ვეფერებოდი მას ხელებზე, კისერზე, მხრებზე. ხელები და კისერი მას სხვა ქალებზე გაცილებით უფრო მსხვილი აქვს, თანაც ისეთი ნაზი კანი აქვს, თითქოს საფოსტო ქაღალდიაო, ან აბრეშუმი. ისე სასიამოვნო იყო, რომ მე დიდხანს ვეფერებოდი ძიძას, მაგრამ მერე უეცრად შემეშინდა, ვაითუ გაეღვიძოს-მეთქი, და კიდევ არ ვიცი, რად შემეშინდა. შემდეგ ჩავრგე თავი მის თმაში, სშირი ფაფარივით მხრებზე გადმოყრილ თმაში, დამიჯერეთ, ისეთი საამური სუნი აქვს ამ თმას, როგორც აი ამ ბაღის ყვავილებს. სცადეთ ერთხელ, თუ მოახერხოთ, იგივე და თქვენც დარწმუნდებით!“

ამას ჰყვებოდა პატარა ავტორი ამ საოცარი აღმოჩენისა და თან თვალებგაფართოებული აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს უკვირდა თავისი განცდილი, ხოლო ჩამავალი მზის სხივები მისი წითური კულულების გარშემო თითქოსდა გოგირდოვან ნათებას ჰქმნიდნენ ვნებისას.

ამასთან აშკარა იყო, რომ მომავალში იგი არ დახარჯავდა თავისი ცხოვრების წუთებს ღრუბლებს მიღმა არსებული ღმერთის ძიებაზე და სულ სხვა ამბებში ჰპოვებდა ცხოვრების მიზანს.

ბოლოს მეოთხემ თქვა: „იცით, ჩემი ყოფა უხალისოა; მე არავის დავყავარ თეატრში, ჩემი მე-

ურვე ძალზე ძუნწია, არც ღმერთი ზრუნავს ჩემზე და ჩემს დარდებზე, არც ლამაზი ძიძა მყავს, რომ მანებივროს. ხშირად მიფიქრია, ერთადერთი რამ მომიტანდა შვებას: პირდაპირ, სულ პირდაპირ მეევლო შორეთისაკენ, ისე, რომ არავის სცოდნოდა ჩემი ასავალ-დასავალი და სულ ახალ-ახალი ქვეყნები მომენახულებინა. რმე ვერსად ვერასოდეს ვიგრძნობ თავს კარგად, ვინაიდან ყოველთვის მეჩვენება, რომ სხვაგან უფრო კარგად ვიქნები, ვიდრე იქ, სადაც ამჟამად ვიმყოფები.) აი მაგალითად, მეზობელ სოფელში უკანასკნელ ბაზრობაზე ვნახე სამი კაცი, რომელთა ცხოვრებაც ძალზე მომეწონა. ალბათ არ მიგიქცევიათ მათთვის ყურადღება. ტანმორჩილნი იყვნენ, სავსებით შავნი, მაგრამ ამაყნი, მიუხედავად თავიანთი ძონძებისა; იფიქრებდით, არაფერი არ ადარღებთო, დიდი შავი თვალები უბრწყინავდათ საკრავებზე დაკვრის დროს; ისე საოცრად უკრავდნენ, რომ მომინდა ცეკვაც და ტირილიც ერთდროულად, — ლამის ჭკუაზე გადავედი სიამოვნებისაგან. ერთი მათგანი ნელ-ნელა უსვამდა ვიოლინოს ხემს, თითქოს რაღაც დარდზე ჰყვებაო; მეორე პატარა ჩაქუჩს ურაკუნებდა თავის კისერზე ჩამოკიდებულ მცირე იარაღს, თითქოს დასცინისო თავის მეზობლის კვნესას, მესამე კი ამ დროს მთელი ძალით ურტყამდა ციმბალებს. მათ იმდენად მოსწონდათ თავი, რომ მაშინაც კი განაგრძეს ეს ველური მუსიკა, როდესაც ხალხი დაიშალა. მე კი დამაინტერესა — თუ სად

ცხოვრობდნენ ისინი, ავედევნე ტყის პირამდე და მაშინლა დავრწმუნდი, რომ თურმე არ ჰქონიათ სახლი. აქ ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „ხომ არ გაგვეშალა აქ კარავი?“ — „მე მგონი, არ ღირს, — მიუგო მეორემ, — ისედაც კარგი ღამეა!“

მესამე კი ფულს ითვლიდა ამ დროს და ამბობდა: „ეს ხალხი ვერ გრძნობს მუსიკას, მათი ქალებიც დათვებივით ბაჯბაჯით ცეკვავენ. საბედნიეროდ, ერთ თვეში ავსტრიაში ვიქნებით, — იქ გაცილებით უფრო სასიამოვნო ხალხია“.

„ესპანეთში ხომ არ წავსულიყავით? შემოდგომა კარზეა. სჯობია გავასწროთ წვიმების სეზონს და იქ ყანყრატოები გავისველოთ“. — ამბობდა ერთ-ერთი.

„ხომ ხედავთ ყველაფერი დავიმახსოვრე... შემდეგ მათ დალიეს თითო კათხა არაყი და დაიძინეს ვარსკვლავიანი ცის ქვეშ. თავდაპირველად მსურდა მეთხოვა მათთვის — თან წამიყვანეთ და მასწავლეთ-მეთქი დაკვრა თქვენს ინსტრუმენტებზე, მაგრამ ვერ გავუბედე, ვინაიდან ძნელია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თანაც მეშინოდა, ვაითუ გზაში დამიჭირონ, ვიდრე მოვასწრებ-მეთქი საფრანგეთის ფარგლებიდან გასვლას“.

დანარჩენი სამი ბიჭის განურჩეველმა სახეებმა მაფიქრებინა, რომ მათ ა რ ე ს მ ო დ ა თ ამ ბავშვისა. მე კარგად დავუკვირდი მის სახეს: მის გამოხედვაში, მისი შუბლის მოყვანილობაში ნაადრევად ცნაურდებოდა რაღაც საბედისწერო, რომე-

ლიც, ჩვეულებრივ, განიზიდავს ადამიანებს, ჩემში კი რატომღაც სიმპათიას აღძრავს მხოლოდ. წუთით უცნაური აზრიც კი დამებადა: ხომ არ მყოლია-მეთქი ძმა, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი დღემდე?

მზე ჩაესვენა. ბნელი გამეფდა. ბავშვები დაიშალნენ, ყოველი მათგანი თავის გზას გაჰყვა, რათა არაცნობიერად, სხვადასხვა გარემოებათა და შემთხვევითობათაგან დამოუკიდებლად, ეპოვნათ თავისი ბედი, ეწვალებინათ მახლობლები, გამოევლინათ ლტოლვა დიდებისკენ თუ მოყივნებისკენ.

32. თირზუსი

ფერენც ლისტისადმი

რა არის თირზუსი? მორალური და პოეტური გაგებით — ეს არის წმინდა ემბლემა ღვთაების მადიდებელი ქურუმის ან ქურუმქალის ხელში, რომელნიც განმარტავენ ღვთაების ნებას და ჰმსახურებენ მას. ფიზიკურად კი ეს არის ჯოხი, უბრალო სარი, ვაზის რტოებით შემოგრაგნილი, სწორი, ხმელი და მაგარი. ამ სარის გარშემო უცხო ტეხილებად თრთიან და იკლაკნებიან რტონი ურჩნი და უდრეკელნი, ყვავილნი ეჟვნისდარნი და თასისმაგვარნი. გამოუთქმელი დიდებულებით სუნთქავს მთელი ეს ნატიფი, მოელვარე სამყარო ფერთა და ხაზთა. თითქოს ტეხილი ხაზი და სპირალი უმიჯნურდებაო სწორს და ცეკვავსო მის გარშემო უტყვი თაყვანებით. ეს ნაზი გვირგვინნი, ეს თასები — სურნელებათა და ფერთა აფეთქება — მისტიურ ფანდანგოს ცეკვავენო თითქოს საღვთო კვერთხის გარშემო.

რომელი კადნიერი მოკვდავი გაბედავს და იტყვის, ვაზის ლერწები და ყვავილნი არიან შექმნილნი კვერთხისათვის, თუ თავად კვერთხი სხვა არარაა, თუ არა პრეტექსტი ვაზისა და ყვავილთა მისთა

მშვენების გამოსავლენად? თირზუსი — განსახიერებაა თქვენი განსაცვიფრებელი გაორებისა, ძალუმი და სათაყვანო მაესტრო, ჩვენთვის სანუკვარო მსახურო იდუმალ-მწველი და ვნებიანი ბაკქიური სილამაზისა. არასოდეს, არცერთ ნიმფას, უძლეველი ბახუსის მიერ გახელებულა, არ მოუქნევია თირზუსი თავის გაშმაგებულ თანატოლთათვის ისეთი გააფთრებით, როგორც თქვენ შესძარით თქვენი გენიით მოყვასთა თქვენთა გულები. /კვერთხი — თქვენი ნებაა, პირდაპირი, მტკიცე და უდრეკი; ყვავილები — გაფრენაა თქვენი ფანტაზიისა, თქვენსავე ნებას რომ ემორჩილება, ქალური საწყისი, წარმტაცი პირუეტებით გარს რომ უვლის ვაჟურ საწყისს — სწორი ხაზი და არაბესკა, ჩანაფიქრი და შესრულება, ნების სიმტიკცე, სინატიფე სახვისა, მიზნის ერთიანობა, საშუალებათა მრავალსახეობა, ყოვლისმძლე და განუყოფელი ამალგამა გენიისა — რომელი ანალიტიკოსი გაკადნიერდება იმდენად, რომ დაანაწევროს და გათიშოს ეს ყოველივე? /

ძვირფასო ლისტ! ნისლებსა და მდინარეებს მიღმა, ქალაქებში, სადაც როიალები მღერიან თქვენს დიდებას, ხოლო სასტამბო დაზგები ბეჭდავენ თქვენს სიბრძნეს — სადაც არ უნდა ბრძანდებოდეთ, მარადიული ქალაქის სიდიადეში თუ გამბრინუსის მიერ ნუგეშინისცემულ, საოცნებო ქვეყნების ბურუსში, სიხარულისა და შეუცნობი კაეშნის ჰანგთა იმპროვიზებისას, თუ თქვენი ღრმა

მედიტაციების ქაღალდზე აღბეჭდვისას, — მარადიული აღტაცების, მარადიული სევდის მომღერალო, ფილოსოფოსო, მგოსანო და არტისტო, — მოგესალმებით უკვდავებაში!

33. თრობა

ᲮᲐ

თრობას მიეძალე. თრობაა ყველაფერი. ეგ არის ხსნა ერთადერთი, რათა არ შეიგრძნო ამაზრზენი ტვირთი დროისა, რომელიც დაგცემს, წელში გაგტეხს. ჰოდა, ამადაც თრობას მიეძალე, გამოუნელებელს.

ჰო, მაგრამ რითი? ღვინით, პოეზიით, სიქველით, რითაც გენებოს, ოღონდ იყავი მთვრალი.

და თუ ოდესმე კვლავ გამოფხიზლდები — სასახლის კიბეზე, მდინარისპირა პატარა მდელოზე, თუ შენი ოთახის შემზარავ სიმარტოვეში, — მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის, ან დაჰქრის, კვნესის ან მიედინება, ყოველივეს, რაც მღერის ან საუბრობს, ჰკითხე: რომელი საათია? და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი მოგიგებენ: თრობის საათია! თრობისა და თავდავიწყების, რათა არ ვეუმოთ, არ ვემონოთ დროს, არ შევიქმნათ მისი მარტვილნი; ამიტომ თრობას მივეძალოთ დაუსრულებელს: ღვინით, პოეზიით, ან სიქველით — წადილისამებრ.

34. უკვე!

უკვე მეასედ აღმოხდა მზე ზღვის უკიდეგანო ემბაზიდან, ხან ბრწყინვალე, ხან ღრუბლის ბლონდით შემობურული; მეასედ ჩაეშვა იგი ზღვაში ხან ელვარე, ხან მოღუშული, თითქოს ღამეულ განბანის რიტუალს ასრულებსო. მრავალი დღის განმავლობაში ვუკვირდებოდით ცაზე ანტიპოდებს და ვშიფრავდით მათ ზეციურ წერილს. მგზავრები ბუზღუნებდნენ და ოხრავდნენ, თითქოს მიწის მოახლოება ახელებთო. „როდის იქნება, რომ ეს რყევა, ეს ქარი, ჩვენზე უარესად რომ ხრიალებს, აღარ გაგვიფრთხობს ძილს? როდის შევძლებთ ისეთი ხორცის ჭამას, რომელიც მლაშე აღარ იქნება, ჩვენი მატარებელი ელემენტივით? როდის მოვინელებთ საჭმელს ისე, რომ სავარძელთან ერთად არ ვიქანავებთ? — ამბობდნენ ისინი.

იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ფიქრობდნენ თავიანთ კერაზე, დარდობდნენ თავიანთ მოღალატე, კაპას ცოლებსა და მყვირალა შთამომავლობაზე. ისე ხარბად ოცნებობდნენ შორეულ მიწაზე, რომ, ალბათ, ხმელეთზე გადასვლისას ცხოველებივით მისცვივდებოდნენ მის ბალახს და დაუწყებდნენ ძოვას.

ბოლოს, გაისმა ნაპირის სიგნალიც; მივუახლო-

ვდით თვალისმომჭრელ, ბრწყინვალე მიწას. თითქოს ცხოვრების მუსიკა გაურკვეველი დუდუნივით სწვდებოდა ჩვენს სმენას, ხოლო უხვად გამწვანებული ნაპირებიდან ყვავილებისა და ნაყოფთა შორეული არომატი მოდიოდა.

ყველა მაშინვე გამხიარულდა, გამოიკეთეს გუნება. ყველა უსიამოვნება დაივიწყეს, აპატიეს ურთიერთს წყენა, დათქმული დუელები ამოშალეს მეხსიერებიდან, ყოველგვარი ბოღმა ბოლივით განქარდა. ერთადერთი მე ვიყავ დამწუხრებული, როგორც ქურუმი, რომელსაც მოსტაცეს საკურთხეველი; ვერ ველოდი სევდის გარეშე ამ საოცრად მომხიბვლელ ზღვას, ესოდენ ნაირფეროვანს, თავის საშინელ სიმარტოვეში, ამ ზღვას, რომელიც თავის ლივლივში, მრისხანე ღელვებსა და ღიმილში განასახიერებს კაპრიზებს, აგონიას, წამებას და ექსტაზებს ყოველ სულისას, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია, ან იცხოვრებს ამ ქვეყანაზე. ამ შეუდარებელ მშვენიერებასთან გამოთხოვებისას მომაკვდინებელი კაეშანი დამეუფლა, და როდესაც ყველა ჩემი თანამგზავრი იძახდა: „ბოლოს და ბოლოს!“ მე აღმომხდა: „უკვე“? ამასთან ეს ხომ მიწა გახლდათ, მიწა, თვისი გნიასით, ვნებებით, სიმყუდროვით და სიხარულით; მიწა — მდიდარი და დიდებული, წინააღმდეგობებით აღსავსე, რომელიც უხვად გვიგზავნის იდუმალ სურნელს ვარდებისას და მუშკისას, მიწა, საიდანაც ცხოვრების მუსიკა მოდიოდა ჩვენამდე სიყვარულით სავსე გუგუნით.

35. ფანჯრები

ის, ვინც ღია ფანჯრებში იყურება ქუჩიდან, ვერასოდეს შეიგრძნობს ყოველივე იმას, რასაც დაინახავთ ჩაკეტილ ფანჯარაში ცქერისას. არაფერია უფრო ღრმა, უფრო იდუმალი და მიმზიდველი, უფრო პირქუში და თვალისმომჭრელი, ვიდრე ფანჯარა, სანთლის შუქით განათებული შიგნიდან. ის, რასაც ვხედავთ მზის სინათლეში, სულაც არ არის იმდენად საინტერესო, როგორც ის, რაც ხდება მინის მიღმა. იქ მცირე, ჩაბნელებულ სივრცეში — ცხოვრებაა, ოცნებაა, ტანჯვაა ადამიანისა.

სახურავთა ტეხილებს ზემოთ ფანჯარაში ვხედავ ხანში შესულ ქალს, სახედანაოჭებულს, ღატაკს, მუდამ რაღაცაზე წახრილს, რომელიც არასოდეს გამოდის სახლიდან. მისი სახის, ტანისამოსის, მოძრაობის და რაღაც ოდნავ შესამჩნევი ნიშნების მიხედვით მე შევიქმენი ჩემთვის ისტორია მისი ცხოვრებისა, უფრო სწორად — ლეგენდა მის შესახებ; ზოგჯერ მოვუთხრობ ჩემს თავს ამ ლეგენდას და ვტირი.

აქ რომ ღარიბი ბერიკაცი ცხოვრობდეს, მის შესახებაც შევთხზავდი ასეთსავე ამბავს.

მე ხომ ვამაყობ იმ შეგრძნებით, რომ მიცხოვ-

რია სხვათა ტანჯვით, ჩემგან განსხვავებულ ადამიანთა ტანჯვითა.

შესაძლოა, თქვენ მითხრათ: „განა დარწმუნებული ხარ, რომ ეგ ლეგენდა შეეფერება სინამდვილეს?!“ მაგრამ, აბა, რა მესაქმება მე სინამდვილესთან, რომელიც ჩემს გარეშეა, მაშინ როდესაც ჩემი ლეგენდა მეხმარება მე ცხოვრებაში — მაძლევს შეგრძნებას არსებობისას, ჩემივე თავისას.

36. ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ

შესაძლოა, უბედური იყოს კაცი, მაგრამ ბედნიერია მხატვარი, რომელიც იწვის თვისი წადილით!

მე მწადს ასახვა მისი ხატებისა, ვინც ესოდენ იშვიათად მევლინება და სწრაფადვე ქრება, ვით წამიერი რამ მშვენება მგზავრის წინაშე, კუნაპეტ ღამეში. დიდი ხანია აღარ ჩანს იგი!

მშვენია იგი, არა თუ მშვენი, — გასაოცარი! შავი ფერი მეუფებს მასში; და ყოველივე მისგან მომდინარე ღამეულ სიღრმით არის აღბეჭდილი. თვალები მისი — გამოქვაბულებია თითქოს, სადაც ბუნდოვნად ციმციმებს იდუმალება, მზერა ელვისებრ კვესავს ბნელეთში.

მე შევადარებდი მას შავ მზეს, წარმოდგენა რომ შეგვეძლოს შავი მზისა, რომელიც აფრქვევს სხივმცხუნვარე ნათელს და სვეს. მაგრამ მისი შემხედვარე უფრო მთვარეზე ვფიქრობ, რომელმაც უდავოდ დაასვა მას დაღი თვისი საბედისწერო; არა იდეალურ, თეთრ მთვარეზე, უვნებო პატარძალს რომ ჩამოჰგავს, არამედ პირქუშ, მთვრალ მთვარეზე, ცას რომ შებმია ქარიშხლიან ღამის სივრცეში და ხტის ღრუბლების კორიანტელში; არა მშვიდ მთვარეზე, უმანკო სულებს ძილს რომ

ჰგვრის იდუმალ, არამედ თესალიელი კუდიანების მიერ ციდან ჩამოგლეჯილ, მეამბოხე მთვარეზე, გახედნილ მთვარეზე, შიშით გართხმულ ბალახზე რომ ცეკვავს.

ვიწრო შუბლიდან სიჯიუტე და სიხარბე მოჩანს ნადავლის მძებნელი, აღგზნებულ სახეზე მთრთოლვარე ნესტოები თითქოსდა ხარბად ისრუტავენო არომატს შეუცნობისას და შეუძლებლისას, ფართო პირი გამოუთქმელად ლამაზია გაცინებისას, მოთეთრო წითელი და მომხიბვლელი. მისი მხილველი ოცნებობ რაღაც სასწაულებრივ, დიდებულ ყვავილზე, ვულკანურ ნიადაგზე რომ ხარობს.

არიან ქალები, რომელთა დამორჩილებაც გვწყურია, რათა ვიგემოთ სხეული მათი, მისი თვალების მაცქერალს კი გსურს სიკვდილი, ნელი სიკვდილი.

37. მთვარის ქველმოქმედებანი

მთვარემ მოჩვენებასავით შემოიჭვრიტა ფანჯარაში, დაგხედა აკვანში მძინარეს და თქვა: „ეს ბალღი მე მომწონს“. მერმე მსუბუქად ჩამოეშვა ღრუბელთა კიბით, უხმოდ შემოცურდა ფანჯრის მინებში, გადაგეფოფრა დედობრივი მზრუნველობით და შენს სახეში შთალვარა ფერები. შენი გუგები გამწვანდნენ, ღაწვნი შენნი გაფითრდნენ, თვალებიც უცნაურად გაგიფართოვდა მას აქეთ, რაც შენ უჭვრეტ ამ უცხო სტუმარს. მთვარემ ნაზად წაგიჭირა ყელში ხელი და მას აქეთ გახრჩობს ტირილის სურვილი.

ამასობაში გალაღებულმა მთვარემ აღავსო ოთახი, როგორც შუქმთოვმა ჰაერმა, როგორც სხივოსანმა საწამლავმა და მთელმა ამ ცხოველმყოფელმა და მღელვარე ნათელმა იწყო ფიქრი და ხმამაღლა ზრახვა: „ამიერიდან შენ სამუდამოდ დაემორჩილები ჩემს კოცნას! ჩემებრ მშვენიერი იქნები შენ, შეიყვარებ ყოველივე იმას, რაც მე მიყვარს, და რასაც ვუყვარვარ მე: წყალს, ღრუბლებს, სიჩუმეს, ღამეს; ზღვას — მწვანეს და უკიდეგანოს; წყალს — უსახოს და ფერადმრავალს; ქვეყანას, რომელსაც ვერასდროს იხილავ, მიჯნურს, რომელსაც ვერასდროს გაიცნობ, ჯოჯოხეთურ ყვავილებს,

ბოდვის აღმგზნებ არომატებს; როიალზე გაწოლილ კატებს, ვნებისაგან მიკნავებულებს, ქალებივით რომ კვნესიან ნაზი, ჩამწყდარი ხმით.

შეგიყვარებენ შენ ჩემნი მიჯნურნი და გეთაყვანებიან ჩემი თაყვანისმცემლები, და შენ იქნები დედოფალი მწვანეთვალება ადამიანთა, რომელთაც მე შენს მსგავსად, ყელში ვუჭერ ხელს ჩემი ღამეული ხვევნა-ალერსის დროს. დიახ, შენ იქნები მათი დედოფალი, ვისაც უყვარს მწვანე ზღვა — მშფოთვარე და უკიდეგანო, წყალი — უსახო, ფერადმრავალი, ქვეყანა, სადაც მათ არ უწერიათ ცხოვრება, ქალი, რომელსაც ვერასდროს გაიცნობენ, ავბედითი ყვავილნი, საცეცხლურებს რომ ჰგვანან უცხო კულტისას, სურნელებანი — ნებას რომ ძაგრავენ, ატეხილი მხეცები — სიშმაგის განსახიერება.

ამადაც ვწევარ მე შენს ფერხთით, ჩემო საყვარელო, გათვალულო პატარავ, და ვეძებ მთელს შენს არსებაში ამ ვერაგი ღვთაების არილს, ამ გრძნეული ნათლიდედის, ამ მომწამვლელ დედამძუძისას, რომელიც შხამავს ყველა მთვარეულს“.

38. როგელია ორთაგან ნამდვილი?

მე კარგად ვიცნობდი ბენედიქტას, მას რაღაც იდეალური ატმოსფერო თან ახლდა მუდამ. მისი თვალები აღვიძებდნენ ჩემში წყურვილს ყოველივე დიადისას და მშვენიერისას. ისინი აღძრავდნენ ნდომას დიდებისას და გვარწმუნებინებდნენ უკვდავებას.

თუმც ეს საუცხოო ასული ფრიად მშვენიერი გახლდათ, დიდხანს რომ ეცოცხლა, და ჩვენი გაცნობის შემდგომ რამდენიმე დღეში მიიცვალა. მე ჩემი ხელით მივაბარე იგი მიწას გაზაფხულზე, როდესაც ტურფად ჰყვაოდნენ ყვავილნი და გაზაფხული საკმეველს აკმევდა სასაფლაოზეც. დიახ, ჩემი ხელით დავფლე იგი, მაგრად ჩავჭედე კუბოში, რომელიც სურნელოვანი და ულპოლველი ხისაგან იყო გამოთლილი და კიდობანს უფრო ჰგავდა ინდოეთიდან ჩამოტანილს, ვიდრე კუბოს.

და ამ დროს, ანაზდად, მზერა გამიშტერდა, გაოგნებული დავაცქერდი იმ ადგილს, სადაც დავფლე ჩემი საუნჯე, რადგან პაწაწინა არსება შევნიშნე მანდ, რომელიც საოცრად ჰგავდა მიცვალებულს. და ეს პაწაწინა არსება რაღაც ველური გახელებით ტკეპნიდა ახალდაყრილ მიწას, ისტერიულად ხარხარებდა და ჰკიოდა: „ნამდვილი ბენე-

დიქტა მე ვარ, მე ყველასათვის ცნობილი კანალია! შენ დაისჯები შენი სიშმაგისთვის და სიბრმავისთვის და იცოდე, ამიერიდან მე შემიყვარებ, მე, დიახ, აი, ასეთს, როგორსაც მხედავ!"

„არა, არა, არა", — შევღრიალე ველური ხმით და, ჩემი უარისათვის უფრო მეტად ხაზგასასმელად, ჯიუტად დავკარი მიწას ფეხი. ფეხი მუხლამდე ჩამეფლო საფლავში და ამგვარად, ხაფანგში გაბმული მგლის მსგავსად, ალბათ სამუდამოდ, დავრჩი იდეალის აკლდამაზე მიჯაჭვული.

39. ჯიშიანი ცხენი

იგი საკმაოდ მახინჯია და მაინც მომხიბვლელი! დრომ და სიყვარულმა უწყალოდ შანთეს იგი და აჩვენეს, თუ რამდენი სიყმაწვილე და ცინცხალი ძალები მიაქვს თითოეულ კოცნას და თითოეულ წამს.

იგი აშკარად მახინჯია; ეს რაღაც ჭიანჭველაა, ობობა თუ, უფრო სწორად, ჩონჩხი; მაგრამ ამავ დროს, იგი — სასმელია დამათრობელი, ჯადოქარი, კუდიანი! ერთი სიტყვით, გულის წამღები.

წლებმა ვერ გატეხეს მისი ცოცხალი და ნარნარი მიხრა-მოხრა და ლერწამი ტანი. სიყვარულმა ვერ წაართვა სიცოცხლე მის ბავშვურ სუნთქვას; არც მისი ფაფარი გახუნებულა ჟამისაგან, რომლის ცხოველურ არომატებშიც იგრძნობა მთელი ეშმაკეული ცხოველმყოფელობა საფრანგეთის სამხრეთისა — ნიმის, ექსის, არლის, ავინიონის, ნარბონის, ტულუზის, ამ კურთხეული მზის ქალაქებისა, მარად შეყვარებულთა და მომხიბვლელთა!

დრომ და სიყვარულმა ამაოდ შანთეს მისი სხეული ესოდენ ხარბად; მათ ვერ წაართვეს მომხიბვლელობა მის ბიჭურ მკერდს.

შესაძლოა, გატეხილია, მაგრამ დაუშრეტელი და მუდამ ხალისიანი — იგი ერთ-ერთ იმ ჯიშიან

ცხენსა ჰგავს, რომელსაც ნამდვილი მოყვარულის თვალი მუდამ იცნობს დაქირავებულ კარეტაში, თუნდ ურიკაში შებმულსაც კი.

ამასთან რა ნაზია და რა შემპარავი! მან იცის ისეთი სიყვარული, როგორიც მხოლოდ შემოდგომითაა შესაძლებელი; ზამთრის პირზე კვლავ ინთება ცეცხლი მის სულში, ხოლო მისი სინაზე და მზრუნველობა არაოდესაა მოსაბეზრებელი.

40. სარკე

*

შემოდის კაცი უკიდურესად გულისამრევი გარეგნობისა და იყურება სარკეში.

„რად იყურებით სარკეში, განა ვერ ხედავთ, რომ უსიამოვნების მეტს ვერაფერს იგრძნობთ ამის შედეგად?“

მახინჯი კაცი მპასუხობს: „ბატონო ჩემო, 1789 წლის უკვდავი პრინციპების მიხედვით, ყველა ადამიანი თანაბარია თავიანთ უფლებებში; ასე რომ მეც მაქვს უფლება სარკეში ჩახედვისა; რაც შეეხება სიამოვნებას თუ უსიამოვნებას, ეს ჩემი პირადი სინდისის საქმეა“.

საღი გონების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მე ვიყავ მართალი, მაგრამ კანონის თვალსაზრისით არც ის იყო მტყუანი.

41. ნავსადგური

ნავსადგური დიდებული ადგილია ცხოვრებასთან ბრძოლაში დაღლილი სულისათვის. უკიდეგანო ცა, ღრუბლების ცვალებადი არქიტექტურა, ზღვის ლივლივა ფერები, შუქურების ციმციმი — აი, საუცხოო პრიზმა, რომლითაც ხარობს მზერა დაუღალავად. გემების სიმეტრიული ფორმები, დახლართული ანძები, თანაზომიერად რომ ირწევიან ტალღებისაგან და სულში აღვიძებენ დაუთრგუნავ ლტოლვას რიტმისა და სილამაზისაკენ. და რაც მთავარია, ეს არის რაღაც ამოუცნობი, არისტოკრატული სიამოვნება იმ კაცისათვის, რომელსაც დაუკარგავს უკვე ცნობის წადილიც და პატივმოყვარეობაც და თვალს ადევნებს ტერასიდან ან ჯებირიდან ამ უწყვეტ მოძრაობას: სადღაც მიმავალ ხალხს, საიდანღაც დაბრუნებულ ხალხს, მათ, ვისაც ჯერაც შერჩენია სასიცოცხლო ძალა და უნარი, მოგზაურობის თუ გამდიდრების წყურვილი.

42. საყვარლების პორტრეტები

მამაკაცთა ბუდუარში, ანუ ელეგანტური სამორინეს თამბაქოს მოსაწევ ოთახში, ეწეოდა და სვამდა ოთხი მამაკაცი. ისინი არც ისე ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ არც თუ მხცოვანნი, გარეგნულადაც სილამაზემდე ბევრი უკლდათ, მაგრამ ვერც მახინჯებს შეარქმევდა კაცი; თუმც, მიუხედავად ასაკისა, ყოველი მათგანი ატარებდა დაღს განცხრომათა ვეტერანისას, ყოველ მათგანში იგრძნობოდა რაღაც ცივი და დამცინავი სევდა, რომელიც თითქოს გარკვევით ამბობს: „ჩვენ კარგად ვიცხოვრეთ, კარგად ვატარეთ დრო, ახლა კი ვეძებთ ისეთ რამეს, რის სიყვარულსაც შევძლებთ და პატივისცემასაც“.

ერთმა მათგანმა ქალებზე დაიწყო საუბარი. რა თქმა უნდა, მისი მხრივ უფრო ჭკვიანური იქნებოდა, საერთოდ არ წამოეწყო საუბარი ამ თემაზე; მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი ჭკვიანი ადამიანებიც, რომელნიც თითო-ოროლა ჭიქა ღვინის შემდეგ არ ერიდებიან ბანალურ თემებს. ასეთ შემთხვევაში მთხრობელს უსმენენ ხოლმე, როგორც მსუბუქ საცეკვაო მუსიკას.

„ჩვენ ყველანი მამაკაცები ვართ და აღარა ვართ

ქერუბინოს* ასაკში, როდესაც დრიადების უყოლობის გამო მუხის ხეებს ეხვევიან ხოლმე. ეს პირველი სტადიაა სიყვარულისა. შემდეგ ეტაპზე ჩვენ ვიწყებთ უკვე გარჩევას, ზედმეტი განსჯა კი უცილოდ დაცემის დასაწყისია. აქ ჩვენ დავდევთ მხოლოდ სილამაზეს. რაიცა შემეხება მე, ბატონებო, შემიძლია დავიტრაბახო, რომ უკვე მივაღწიე კლიმაქტერიულ ასაკს — მესამე პერიოდს ცხოვრებისას, როდესაც სილამაზე თავისთავად უკვე აღარ გვაკმაყოფილებს, თუ მას არ ახლავს არომატები, მორთულობა და ა. შ. მე მზადა ვარ ვაღიარო, რომ ველტვი ზოგჯერ რაღაც მეოთხე სტადიას, როგორც ნეტარებას, რომელიც სრულ სიმშვიდეს მომიტანდა. მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე, — რა თქმა უნდა, ქერუბინოს ასაკის გამოკლებით, — მე მუდამ განსაკუთრებით მაღიზიანებდა აუტანელი სისულელე და შეზღუდულობა ქალებისა. თუ რამ მიყვარს ცხოველებში, ეს არის მათი უშუალობა და უბრალოება. აწ კი თვით განსაჯეთ, თუ რა გადავიტანე ჩემი უკანასკნელი საყვარლის წყალობით.

იგი გახლდათ ბუში ერთ-ერთი პრინცისა. რა თქმა უნდა, გარეგნულად ლამაზი იყო, — სხვაგვარად ხომ არ ავიყვანდი მას! მაგრამ ეს შესანიშნავი გარეგნობა შეხამებული იყო მასში აუტანელ, მახინჯ პატივმოყვარეობასთან. ეს იყო ქალი, რო-

---

* ქერუბინო — პაჟი გრაფ ალმავივასი ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებიდან“.

მელიც მუდამ მოწადინებული იყო ეთამაშა მამაკაცის როლი. „თქვენ რა მამაკაცი ხართ! აი მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავ! ჩვენ ორ შორის მე ვარ მამაკაცი!“ — აი, გამუდმებული, თავის მომაბეზრებელი სიტყვები, რომლებიც მესმოდა მისი პირიდან, საიდანაც მხოლოდ სიმღერის მოსმენა მეწადა. როდესაც მომეცემოდა რაიმე შემთხვევა და გამოვხატავდი ჩემს აღტაცებას რაიმე წიგნით, პოემით ან ოპერით, იგი მეტყოდა: „მაშ თქვენ ძალას ხედავთ ყოველივე მაგაში, არა? რა გესმით თქვენ ძალისა!“ და იწყებდა დასაბუთებას.

ერთ მშვენიერ დღეს მან დაიწყო შესწავლა ქიმიისა, და მას შემდეგ ჩემსა და მის ტუჩებს შორის მუდამ რაღაც სინჯარა იყო გამოჩხერილი. ამასთან საკმაოდ უკარება ვინმე გახლდათ. როდესაც სიყვარულით ანთებული, შევეხებოდი ხოლმე ოდნავ გაუფრთხილებლად, იგი კრუნჩხვებით მპასუხობდა, როგორც მიმოზა“...

— რით დამთავრდა ეგ ყოველივე? — იკითხა ერთ-ერთმა სამთაგან. — არ მეგონა, თუ ასეთი მომთმენი იყავით!“

— უფალმა მიხსნა განსაცდელისაგან, — მიუგო პირველმა. — ერთ მშვენიერ დღეს ეს მინერვა, იდეალურ ძალაზე მეოცნებე, დავიჭირე ჩემს მსახურთან ისეთ პოზაში, რომ სხვა გზა არ დამრჩენოდა, უჩუმრად უნდა გავცლოდი იქაურობას, რათა არ გამეწითლებინა ორივე. საღამოს ორივე დავითხოვე, თან გადავუხადე, რაც ერგებოდათ

ჩემგან. — ჩემი ამბავი კი ასეთია, — თქვა მან, რომელშაც ამასწინ შეკითხვა დაუსვა თანამოსაუბრეს, — მე მხოლოდ საკუთარი თავისადმი მეთქმის საყვედური. ბედმა გამიღიმა, მაგრამ დროზე ვერ შევიცან ბედი. არც ისე დიდი ხნის წინათ ხელში ჩამივარდა ქალი, რომელიც უდავოდ უნაზესი, უმორჩილესი და უერთგულესი არსება იყო, მუდამ მზადყოფნით აღსავსე თან ყოველგვარი გატაცების გარეშე! „კი ბატონო! რა თქმა უნდა! ოღონდ ისურვეთ! — ასეთი იყო, ჩვეულებრივ, მისი პასუხები. ურტყით ჯოხები ამ კედელს ან ტახტს და თქვენ გაცილებით უფრო მეტ გმინვა-ოხვრას გაიგონებთ მათგან, ვიდრე ჩემი საყვარლის მკერდს აღმოხდებოდა, ვნების თვით უკიდურესად მძვინვარე შეტევების დროსაც კი. თითქმის ერთი წლის თანაცხოვრების შემდეგ იგი გამომიტყდა, რომ ვერც ერთხელ ვერ იგრძნო ჩემთან სიამოვნება. მე მომბეზრდა ჩვენი უთანასწორო დუელი და ეს შეუდარებელი ასული ბოლოს გათხოვდა. შემდგომში მე მომეპრიანა მისი ნახვა, მან მაჩვენა ექვსიოდე მშვენიერი ბავშვი და მითხრა: „ასე ჩემო ძვირფასო, თქვენი ყოფილი საყვარელი მეუღლეობაშიც ქალწულად დარჩა“. მასში არ შეცვლილიყო არაფერი. ზოგჯერ გული მწყდება, რატომ არ შევირთე ცოლად!“.

ყველამ გაიცინა და ახლა დადგა მესამის ჯერი. მანაც დაიწყო:

„ბატონებო, მე გამოვცადე სიამენი, რომელთაც

თქვენ, შესაძლოა არც კადრულობდით. მე ვილაპარაკებ კომიკურ მომენტზე სიყვარულში, — კომიზმის იმ სახეობაზე, რომელიც, ამავე დროს, არ გამორიცხავს აღტყინებას. მე გაცილებით უფრო აღტაცებული ვიყავი ჩემი უკანასკნელი საყვარლით, ვიდრე თქვენ გყვარებიათ ან გძულებიათ თქვენები. ამასთან, ყველა ჩემგვარად იყო აღტაცებული ამ ქალით. როდესაც ჩვენ რესტორანში შევდიოდით, რამდენიმე წუთში ყველას ავიწყდებოდა ჭამა და მას უთვალთვალებდნენ. თვით ლაქიები და მოლარეებიც კი ივიწყებდნენ თავიანთ მოვალეობას და ეძლეოდნენ ამ გადამდებ აღტაცებას. ერთი სიტყვით, რამდენიმე ხანს ნამდვილი მოვლენის გვერდით მომიწია ცხოვრებამ. იგი დაუსრულებლად ჭამდა: ღეჭავდა, ცოხნიდა, ყლაპავდა, ნთქავდა — თან ყოველივე ამას სჩადიოდა საოცრად ჰაეროვანი და უზრუნველი იერით. იგი დიდი ხნის განმავლობაში ნამდვილ აღფრთოვანებას იწვევდა ჩემსას. რაღაც სათუთი მეოცნებე, ინგლისური თუ რომანტიული მანერით იტყოდა ხოლმე: „მშია!“ ამ სიტყვებს იმეორებდა გამუდმებით, დღისით თუ ღამით, თანაც აჩენდა მსოფლიოში უბრწყინვალეს კბილებს, გულისმომწყვლელს და შესაქცევს ერთდროულად. ალბათ გავმდიდრდებოდი, ბაზრობაზე რომ გამომეყვანა იგი და მეჩვენებინა ხალხისათვის, როგორც მ ო ნ ს ტ რ ი პ ო ლ ი ფ ა გ ი ანუ ყოვლისჩამნთქმელი მონსტრი. მე მას კარგად ვკვებავდი, მაგრამ მაინც მიმატოვა...

— პროვიანტის მომმარაგებელთან ხომ არ გა-
გექცათ?

— დიახ, რაღაც ამდაგვართან. — ეს იყო რომ-
ელიღაც საინტენდანტო მოხელე, რომელსაც ჰქონ-
და რაღაც უცოდველი შემოსავალი და შეეძლო
უზრუნველყოფა ამ საცოდავისა რამდენიმე ჯარის-
კაცისთვის სამყოფი პორციით. ასეთია ჩემი ვარა-
უდი, ყოველ შემთხვევაში.

— მე კი, — თქვა მეოთხემ, — საშინელი ტანჯ-
ვა გადამხდა სწორედ იმის გამო, რაც დიამეტრუ-
ლად უპირისპირდება ჩვეულებრივ ქალურ ეგო-
იზმს. მე ვთვლი, რომ თქვენ ამაოდ უჩივით თქვენი
საყვარლების არასრულყოფილებას, თქვენ, ბედნი-
ერნო-მოკვდავნო!

ეს ფრიად სერიოზული ტონით წარმოითქვა. ამის
მთქმელი მშვიდი და დარბაისლური იერის მქონე
კაცი იყო, ფიზიონომიის მიხედვით შეიძლებოდა
სასულიერო პირად ჩაგეთვალათ იგი; მაგრამ ამ
ფიზიონომიას რაღაც უცნაურად ანათებდნენ გამ-
ჭვირვალე, მონაცრისფრო თვალები, რომელნიც
თითქმის ამბობდნენ: „მე ასე მსურს!“ ან: „ასეა
საჭირო!“ ანდა: „მე არ გაპატიებთ!“

„თქვენ, ბატონო გ... თქვენი ნევროზულობით,
ან თქვენ ორივენი, ბატონებო, კ... და ე... თქვენი
სულმოკლეობით და ფუქსავატობით რომ ყოფილი-
ყავით დაკავშირებულნი ისეთ ქალთან, რომელთა-
ნაც მე მქონდა საქმე, უთუოდ გადაიხვეწებოდით
სადმე ან დაიხოცებოდით. მე კი, როგორც ხედავთ,

გავუძელი. წარმოიდგინეთ პიროვნება, რომელიც არასოდეს სცდება, არც გრძნობაში, არც ანგარიშში, წარმოიდგინეთ ეს აუტანელი გარკვეულობა და სიმშვიდე ხასიათისა, ეს ერთგულება ყოველგვარი სიყალბისა და პათოსის გარეშე, უდრტვინელობა სისუსტის გარეშე, ენერგია უხეშობის გარეშე. ჩემი სიყვარულის ისტორია ჰგავს დაუსრულებელ მგზავრობას რაღაც წმინდა, სარკისებრ გაპრიალებულ ზედაპირზე, თავბრუდამხვევად ერთფეროვანზე. საიდანაც ირეკლება ყველა ჩემი გრძნობა თუ ქცევა ჩემივე სინდისის ულმობელი მგრძნობელობით, — ასე გასინჯეთ, მე ვერ მიმეცა ჩემი თავისთვის უფლება რაიმე გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმისა, ან გრძნობას აყოლისა, ვინაიდან თან მდევდა მუნჯი საყვედური ამ მარადის ჩემგან განუყრელი აჩრდილისა. სიყვარული რაღაც მეურვეობად იქცა ჩემთვის. რამდენი სისულელის ჩადენისაგან მიხსნა მან და რაოდენ ვნაღვლობ, რომ არ ჩავიდინე ისინი! რამდენიმე ვალი გადამახდევინა ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ! მან წამართვა ყველა ის სიამე, რისი მონიჭებაც შეეძლო ჩემთვის ჩემსავე დაუფიქრებლობას. მისი ცივი, ულმობელი კანონები გზას უღობავდნენ ჩემს ყველა კაპრიზს. თანაც ყველაფრის დაგვირგვინება ის იყო, რომ როდესაც გადაივლიდა საფრთხე, იგი ჩემგან მადლობასაც არ მოითხოვდა. რამდენჯერ ლამის ვეცი ყელში და შევძახე: „კმარა ეგ სრულყოფილება, შე უბედურო, მე მინდა მიყვარდე ამ გაღი-

ზიანების და ამ ტვირთის გარეშე!“ რამდენიმე წელს ვინახავდი გულში მისდამი სიძულვილს და მაინც დაჩოქილი ვიყავი მის წინაშე. და ბოლოს მისი წერა აღმოჩნდა სიკვდილი და არა ჩემი...“

„როგორ! — წამოიძახეს დანარჩენებმა. — მაშ, გარდაიცვალა?“

— დიახ. შეუძლებელი იყო ასე გაგრძელება. სიყვარული სულისშემხუთველ კოშმარად იქცა ჩემთვის. გამარჯვება ან სიკვდილი, ეს ხომ დევიზია პოლიტიკური ბრძოლისა, — ასეთივე იყო ალტერნატივა, რომელიც ბედმა დააყენა ჩემს წინაშე. ერთ საღამოს, ტყეში... წყლით სავსე თხრილის პირას... მელანქოლიური გასეირნების შემდეგ, როდესაც მის თვალებში ირეკლებოდა ცის სიწმინდე, ხოლო ჩემს გულში დუღდა ჯოჯოხეთი...

— რაო?

— როგორ?

— რისი თქმა გსურთ თქვენ?

— ეს გარდუვალი იყო. მე ძალზე სამართლიანი კაცი ვარ და ვერ გავლახავ და ვერც გავაგდებ მსახურსაც კი, რომელსაც ბრალი არ მიუძღვის. მაგრამ ეს გრძნობა ხომ უნდა შემეთავსებინა იმ შემზარავ სიძულვილთან, რომელიც მქონდა მის მიმართ; ხომ უნდა გავთავისუფლებულიყავი ამ არსებისაგან და, თანაც, არ შემებღალა ჩემი მისდამი პატივისცემა. რას დავაკლებდი მას, თქვენი აზრით, თუ იგი ესოდენ „ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი იყო?“

დანარჩენმა სამმა მოსაუბრემ მას გაურკვეველი, ოდნავ დაბნეული მზერა შეავლო, რომელიც თითქოს ამბობდა: ჩვენ არ ძალგვიძსრ ესოდენ სასტიკი, თუმც საკმაოდ გამართლებული საქციელის ჩადენა.

შემდეგ მოატანინეს კიდევ რამდენიმე ბოთლი ღვინო, რათა როგორმე მოეკლათ ეს სიცოცხლისუნარიანი დრო და შეემოკლებინათ დამდორებული მდინარება ამ წუთისოფლისა.

43. გალანტური მსროლელი

იგი ტყეში მოსეირნობდა კარეტით და ტირის მახლობლად გააჩერებინა ცხენები, რათა რამდენიმე გასროლით მოეკლა დრო. განა რა უნდა იყოს ამ ურჩხულის მოკვლაზე უფრო ჩვეულებრივი და კანონზომიერი საქმიანობა ყოველი ჩვენთაგანისათვის? — მან გალანტურად შესთავაზა ხელი თავის ძვირფას, მომხიბლავ და აუტანელ ცოლს, ამ იდუმალებით მოცულ ქალს, რომლისგანაც იგი დავალებული იყო ამდენი სიამით, ამდენი წამებით და, შესაძლოა, გარკვეულ ზომამდე თავისი შთაგონებითაც.

რამდენიმე ტყვია ასცდა მიზანს; ერთი ჭერს მოხვდა; მომხიბვლელი არსება ხარხარებდა, დასცინოდა თავისი მეუღლის მოუხეშაობას, როდესაც ეს უკანასკნელი მოუბრუნდა მას და უთხრა: „შეხედეთ იმ თოჯინას, აი იქ, მარჯვნივ, ცხვირაწეულს და ამპარტავანს. აი, ჩემო ანგელოსო, მე წარმოვიდგენ, რომ ეს თქვენ ბრძანდებით“. მაშინვე დახუჭა თვალები, მოზიდა ჩახმახი და თოჯინას თავი წააცალა.

მერმე დაიხარა იგი თავისი ძვირფასი, მომხიბვლელი და აუტანელი ცოლისაკენ, თავისი უცილობელი და უწყალო მუზისაკენ, მოწიწებით ემთხვია ხელზე და უთხრა: „აჰ, ჩემო ანგელოსო! ამ წარმატებისათვის რა მადლიერი ვარ თქვენი“.

44. სუპი და ღრუბლები

ჩემმა პატარა, თავქარიანმა საყვარელმა სადილი მომართვა, მე კი სასადილო ოთახის ღია ფანჯრიდან გავცქეროდი მცურავ სასახლეებს, უფლის მიერ ორთქლისგან ნაგებს, ამ საკვირველ, ხელშეუვლებ შენობებს. ვუჭვრეტდი მათ და ვფიქრობდი: „ეს ფანტასმაგორიული მშვენება მხოლოდ ჩემი მშვენიერი სატრფოს თვალებს თუ შეედრება, ამ პატარა, თავქარიანი არსებისას, ამ სულზე უტკბესი, მწვანეთვალება ურჩხულისას“.

და სწორედ ამ დროს ზურგში ერთი ლაზათიანი მუჯლუგუნი მივიღე და ჩამესმა ხმა, ჩემი სმენის დამათრობელი, ისტერიული ხმა, არყისაგან ხრინწმორეული თითქოს: „ჰა, მორჩები თუ არა მაგ სუპს, ეშმაკის კერძო, დოყლაპიავ! შენი... ღრუბლებით მოვაჭრევ!“ — ეს იყო ხმა ჩემი სატრფოსი.

45. ტირი და სასაფლაო

ხედი სასაფლაოზე. ლუდხანა. „უჩვეულო ამბრაა, — გაიფიქრა მოხეტიალე მეოცნებემ, — კარვადაა მოფიქრებული და დალევის იშტაზეც მოჰყავს კაცი. ჩანს, მედუქნე ჩასწვდა ჰორაციუსსა და ეპიკურეელ პოეტებს, შესაძლოა, ძველ ევვიპტელთა დახვეწილი ღრმააზროვნებაც არ აკლდეს მას, რომელთათვისაც არც ერთი პირობა არ ჩაივლიდა ჩონჩხის ან წარმავლობის სხვა რაე ემბლემის გარეშე“.

ამ სიტყვებით იგი შევიდა ლუდხანაში, დალია ერთი ჭიქა ლუდი, თან საფლავებს გადაავლო თვალი და ნელ-ნელა გააბოლა სიგარა. შემდეგ გაიფიქრა, გავისეირნებო სასაფლაოზე, სადაც თვალს ახარებდა სამუხლე ბალახი და მზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

გაუძლისი ხვატი იდგა, მზე მთვრალივით გაშხვართულიყო ყვავილების დიდებულ ხალიჩაზე, რომელსაც უხვად ჰკვებავდა ხრწნადობის სიმსუყე. ირგვლივ დაუდუმებელი ზუნი იდგა ცხოვრებისა, წვრილ-წვრილ არსთა ცხოვრებისა, რასაც დრო და დრო სროლის ხმა ერთვოდა მახლობელ ტირიდან— თითქოს შამპანურის საცობები ფეთქდებაო სიმებიანი ორკესტრის ყრუ გუგუნში.

და აჰა, ხვატისაგან გათანგულს, სიკვდილის მწველი არომატების ატმოსფეროში, მოესმა ჩურჩული საფლავიდან, რომლის ქვაზეც იგი ჩამომჯდარიყო: „წყეულიმც იყვნენ თქვენი თოფები, თქვენი სამიზნეები, მოუსვენარო ცოცხლებო, — ამბობდა ეს ხმა, — რამეთუ ეროდეს ფიქრობთ გარდაცვლილებზე და არც მათ არამიწიერ განსვენებაზე. წყეულიმც იყვნენ თქვენი ამბიციები, თქვენი ანგარიშები, სულსწრაფო მოკვდავნო, ყაცის კვლაში რომ ცდილობთ დახელოვნებას სიკვდილის წმიდა საკურთხევლის გვერდით. თქვენ რომ იცოდეთ, რა იოლია მიზანში მოხვედრა, რა იოლია პრიზის მიღება და რა არარაობაა ყველაფერი, სიკვდილის გარდა, — ამდენ ჯაფას არ დახარჯავდით, ამაოდ მშფოთველნო, და ესოდენ ხშირად ალარ განუფრთხობდით ძილს იმათ, ვინც უკვე დიდი ხანია მოახვედრა მიზანს, ერთადერთ ჭეშმარიტ მიზანს ამ ზიზღისმომგვრელი ცხოვრებისას.

46. შარავანდის დაკარგვა

— როგორ, ამას რას ვხედავ! თქვენ აქ ბრძანდებით, ჩემო ძვირფასო? ასეთ უღირს ადგილას? თქვენ, რომელიც ნეტარითა და ამბროზიით საზრდოობდით? მართლაც რომ შეიძლება ეკუანეს შეცდეს კაცი!

— ძვირფასო, თქვენ ხომ მოგეხსენებათ, რარიგ მეშინია მე ცხენებისა და ეკიპაჟებისა. ასე რომ, ამას წინათ, როდესაც აჩქარებით გადავკვეთე ბულვარი და თან მივხტოდი ტალახის წუმპეებზე, ამ ქაოსში, საღაც ყოველის მხრიდან სიკვდილი მოჰქრის, მკვეთრი მოძრაობისაგან შარავანდი გადმომიცურდა თავიდან და ტალახში ჩავარდა. მე ვეღარ გავბედე მისი აღება. მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ სჯობს დათმო შენი რეგალიები, ვიდრე ძვლები გადაგიმტვრიონ. გარდა ამისა, ზოგი ჭირი მარგებელია-მეთქი ვიფიქრე, ახლა შემიძლია თავისუფლად სეირნობა, ყოველგვარი უკეთმართობის და გარყვნილების ჩაღენა უბრალო მოკვდავთა მსგავსად — მაინც ვერაფინ მიცნობს. ჰოდა, აი, მეც აქ გახლავართ, ყველაფრით თქვენი მსგავსი, როგორც ხედავთ.

— თქვენ მაინც უნდა მიგეცათ განცხადება გაზეთში თქვენი შარავანდის დაკარგვის შესახებ,

ან ზომები მიგეღოთ მის მოსაძებნად პოლიციის მეშვეობით.

— მართალი გითხრათ, არ ღირდა. მე აქ კარგად ვგრძნობ თავს. თქვენ ერთადერთმა მიცანით. გარდა ამისა, მომბეზრდა ჩემი ღირსების შენარჩუნებაზე ზრუნვა. თან მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რომ ჩემს შარავანდს იპოვის რომელიმე ცუდი პოეტი და თავხედურად შეიმკობს თავს. ხომ დიდი სიამოვნებაა — ვიღაცის გაბედნიერება, არა? განსაკუთრებით — თუ შეიძლება დასცინო ამ გაბედნიერებულს? წარმოიდგინეთ ერთი ვინმე X ან Z, ჰა?

ხომ შეიძლება მოკვდეს კაცი სიცილით?

47. მაღმუაზელ ბისტური

გარეუბნის ბოლოში ვიყავი, გაზის მოცახცახე ნათელში მივიკვლევდი გზას, როდესაც ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ხელკავი გამომდო და მიჩურჩულა ყურში:

„თქვენ ექიმი ხართ, მუსიო, ხომ?“

მოვიხედე: ეს იყო მაღალი, ჩასუქებული ქალი, ფერუმარულიანი, თმაგაშლილი და ფართოთვალება. ქარი უწეწავდა თმას და ქუდის ბაფთებს.

— არა, არ გახლავართ ექიმი. ხელი მიშვით, თუ შეიძლება.

— რას ბრძანებთ! თქვენ ექიმი ხართ, დანამდვილებით. განა ვერ ვხედავ! წამობრძანდით ჩემსას. თქვენ ძალზე კმაყოფილი დარჩებით, გარწმუნებთ!

— კარგი, უსათუოდ შემოვიელი, ოღონდ ექიმის შემდეგ, ჯანდაბას!

— აჰ! ახლა მივხვდი, — გადაიხარხარა მან, თან ხელს არ მიშვებდა, — თქვენ ხუმარა ექიმი ბრძანდებით! ასეთებიც შემხვედრიან. წამობრძანდით!

მე ძალზე მიყვარს იდუმალება, ვინაიდან არ ვკარგავ ხოლმე იმედს მისი შეცნობისას. ამიტომაც გავყევი ჩემს თანამგზავრს, უფრო სწორად — უეცრად მოვლენილ გამოცანას.

მე აღარ აგიწერთ მის ხუხულას, — მას შეხვდეპით ბევრ კარგად ცნობილ ძველ პოეტთან. ერთი დეტალი ოღონდ, რომელიც გამორჩა რენიეს: ორისამი პორტრეტი ცნობილი ექიმებისა ეკიდა კედელზე.

რა პატივში აღმოვჩნდი! გაღვივებული ბუხარი, შემთბარი ღვინო, სიგარები; ეს უცნაური ქალი თავადაც სიგარას ეწეოდა და თან მეუბნებოდა: „იყავით, როგორც შინ, ჩემო ძვირფასო; მოეწყვეთ, როგორც გენებოთ; ეს გაგახსენებთ კლინიკას და თქვენი ახალგაზრდობის კეთილ ჟამს — ესეც ასე! როგორ მოახერხეთ გაჭაღარავება? თქვენ ხომ არ ბრძანდებოდით ასეთი, როდესაც ინტერნად იყავით ექიმ ლ...-სთან, მე მახსოვს თქვენ მისი ასისტენტი იყავით მძიმე ოპერაციებისას, — აი კაცი, რომელსაც უყვარს ჭრა და ჩეხვა! თქვენ ინსტრუმენტებს აწოდებდით მას, ძაფებს და ბამბებს... — ხოლო ოპერაციის დასასრულს, იგი დახედავდა საათს და ამაყად იტყოდა ხოლმე: „ზუსტად ხუთ წუთში, ბატონებო, — მე ხომ ყველგან დავდივარ. ეშვენივრად ვიცნობ ამ ბატონებს“.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე შენობით ლაპარაკზე გადმოვიდა და კვლავ განაგრძო თავისი სიმღერა: „ექიმი ხარ, არა, ჩემო ფისუნიავ?“

ამ გაუგებარმა რეფრენმა უცებ წამომახტუნა.

— არა-მეთქი, — დავიღრიალე.

— ქირურგი, ხომ?

— არა, არა-მეთქი! შენ რომ თავი წაგაჭრა, გავხდები, კი! ეშმაკმა წაგიღოს!

— მომხედე, — მითხრა მან და გამოიღო კარადიდან მთელი დასტა ლითოგრაფიებისა. ეს აღმოჩნდა კოლექცია იმ დროს ცნობილი ექიმებისა, მორენის ნამუშევრები, რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოფენილი ჰქონდათ quai Voltaire-ის ბუკინისტებს.

— აჰა, სცნობ ამას?

— ჰო, ეგ ხომ X-ია, სხვათა შორის, სახელი ზედ აქვს მიწერილი. მაგრამ მე პირადადაც ვიცნობ მას.

— გასაგებია, X... ეს კი Z-ია, რომელიც ხშირად ამბობდა ხოლმე X-ის შესახებ ლექციებზე: „ეს არის ურჩხული, რომლის მთელი ზნედაცემულობა აღბეჭდილია მის სახეზე“, — იმის გამო, რომ ვერ შეთანხმდნენ რაღაც საკითხში... რამდენს იცინოდნენ ამაზე ჩვენი მედიკოსები იმხანად. გახსოვს?

— აი ეს არის, რომელიც ასმენდა მთავრობასთან მეამბოხეებს, მის კლინიკაში რომ იწვნენ. ეს ამბოხის დროს იყო. საკვირველია, ასეთი ლამაზი შამაკაცი და ასეთი უგულო?.. ეს კი გახლავს ცნობილი ინგლისელი ექიმი; მე დავიჭირე იგი პარიზში ჩამოსვლისას. შესახედად კი ნამდვილი ქალიშვილია! არა?

— მაცალე, — თქვა მან, რა დაინახა, რომ მეხელი შევავლე ზონრით შეკრულ პაკეტს იქვე, მა-

გიდაზე. — ეს ინტერნი ექიმები იყვნენ, ამ პაკეტში კი — ექსტერნებია.

მან მარაოსავით გააწყო უამრავი ფოტოსურათი, გაცილებით უფრო ახალგაზრდა სახეებისა.

„როდესაც კიდევ გნახავ, ხომ მომცემ შენს ფოტოსურათს, ჩემო ოქროვ?“

— კი მაგრამ, — მივუგე მე, მასავით ერთი და იგივე აზრით შეპყრობილმა, — მაინც რატომ გგონივარ ექიმი?

— იმიტომ, რომ შენ ასეთი საყვარელი ხარ და ასეთი კეთილი ქალებისადმი!

„უცნაური ლოგიკაა!“ — გავიფიქრე მე.

— არა, ვერ გამაცურებ; მე ხომ ამდენი ექიმი მინახავს. იმდენად მიყვარს ისინი, რომ ხშირად დავდივარ ხოლმე მათ სანახავად, თუმცა ავად არა ვარ. არიან ისეთებიც, რომელნიც ცივად მეტყვიან ხოლმე: „თქვენ არა ხართ ავად!“ სხვებს კი ესმით ჩემი — მე ხომ ვეკეკლუცები მათ და თვალებს ვუნაბავ!

— და თუ ვერ მიგიხვდნენ?

— იმ შემთხვევაში, თუ ამაოდ მომიხდა მათი შეწუხება, ვტოვებ ბუხარზე ათ ფრანკს — ეს ადამიანები ისეთი კარგები და ალერსიანები არიან! ლა პიტიეში ერთი ახალგაზრდა ინტერნი გამოვჩხრიკე, ანგელოსის სახიანი, თან ისეთი ყურადღებიანი! რამდენს შრომობს საბრალო! მისი მეგობრები მეუბნებოდნენ, გროში არ გააჩნიაო, მშობლები ღარიბებია და ვერაფერს უგზავნიან თურმე. ამან გა-

შათამამა. სიმართლე უნდა ითქვას, მე ხომ საკმაოდ ლამაზი ვარ, თუმც არც ისე ახალგაზრდა. მეც ჩავჩურჩულე მას: „შემოიარე ჩემსას ხშირად! ნუ შეგრცხვება: მე არ გთხოვ ფულს“. მაგრამ, ალბათ გესმის, რომ ეს პირდაპირ კი არ მიმიხლია მისთვის, არამედ ქარაგმულად შევაპარე! იმდენად მეშინოდა ამ საბრალო ბიჭის შეურაცხყოფისა, დამიჯერებ, ერთი უცნაური სურვილი მაქვს, ოღონდ ვერ გამიმხელია მისთვის! — მინდა, იგი ერთხელ მოვიდეს ჩემთან თავისი ინსტრუმენტებითა და წინსაფრით, ოდნავ სისხლითაც რომ იყოს შესვრილი!“

ეს სავსებით უცოდველი იერით თქვა, ისე როგორც მგრძნობიარე კაცი ეტყოდა მსახიობ ქალს: „მინდა გნახოთ იმ კაბით, თქვენი ცნობილი როლის შესრულებისას რომ გეცვათ!“

მე დავუბრუნდი ჩემთვის საინტერესო საკითხს და ვკითხე: „არ შეგიძლია გაიხსენო, როდის და რა ვითარებაში დაგებადა პირველად ეგ მიდრეკილება?“

უცებ ვერ გავაგებინე, მაგრამ ბოლოს, როცა მიმიხვდა, მომიგო სევდიანად და რამდენადაც მახსოვს, თავდახრით: „არ ვიცი... არ მახსოვს, მართალი გითხრა.“

რა და რა უცნაურობას არ წააწყდები კაცი დიდ ქალაქში ხეტიალისას და გარემოზე დაკვირვებისას! შენს გარშემო ცხოვრება სავსეა ამ უწყინარი ურჩხულებით. — უფალო, ღმერთო ჩემო! შემოქმედო, ყოვლისმპყრობელო! მსაჯულო, ყოვლისმიმ-

ტევებელო! შენ შექმენ კანონი და თავისუფლება, წყაროვ ყოველთა მიზეზთა; შენ, რომელმან შთამინერგე სულში მიდრეკილება საშინელისაკენ, ეგებ იმიტომ, რომ მოაქციო გული ჩემი, ისევე როგორც დანა არჩენს ტკივილს ადამიანისას. ჰოი, უფალო, შეიწყალე შეშლილნი! უფალო დამბადებელო! ხომ არსებობენ ურჩხულები მის წინაშე, ვინც ერთადერთმა უწყის მათი არსებობის მიზანი, უწყის, რად არიან ისინი ამგვარად შექმნილნი და არა სხვაგვარად?

48. ANYWHERE OUT OF THE WORLD
სადაც გსურს, გავეშურეთ, ოღონდ გავეცალოთ ამ სამყაროს

ცხოვრება საავადმყოფოა, სადაც ყოველი ავადმყოფი საწოლის გამოცვლის ჟინითაა შეპყრობილი. ერთს ურჩევნია, ღუმელის გვერდით იტანჯოს, მეორე ფიქრობს, რომ ფანჯარასთან გამოჯანსაღდება.

მუდამ მეჩვენება, რომ უთუოდ კარგად ვიგრძნობ თავს იქ, სადაც ამჟამად არ ვიმყოფები და ამ პრობლემაზე, ადგილის გამოცვლის პრობლემაზე, გამუდმებით ვესაუბრები ხოლმე ჩემს სულს.

„მითხარი, სულო ჩემო, საბრალო, გათოშილო სულო ჩემო, რას იტყვი, დავსახლდეთ თუ არა ლისაბონში? იქ, ალბათ, ცხელა და შენ გამოცოცხლდები, როგორც ხვლიკი მზის შუქზე. ეს ქალაქი ზღვის პირასაა. ამბობენ, იგი მთლიანად მარმარილოსგანაა ნაგები, ხოლო იქაურ მკვიდრთ იმდენად სძულთ თურმე მცენარეულობა, რომ ხეებს ანადგურებენ. აი, შენი გემოვნების შესაფერი ხედი — პეიზაჟი სინათლისა, ქვასა და წყალში არეკლილი სინათლისა“.

სული ხმას არ იღებს.

„შენ ხომ ესოდენ გიყვარს სიმშვიდე, მოძრავ სანახაობასთან შერწყმული, ხომ არ გსურს დავ-

სახლდეთ ჰოლანდიაში, ამ კურთხეულ მხარეში? იქნებ გვეპოვა რაიმე ხალისი ამ ქვეყანაში, რომლის ლანდშაფტებითაც ესოდენ ხშირად დავმტკბარვართ ხოლმე მუზეუმებში? რას იტყვი როტერდამზე? შენ ხომ ძლიერ მოგწონს ეს ანძების ტყეები და ზედ სახლებზე მომდგარი ღუზაჩაშვებული გემები?"

სული ჩემი მდუმარებს.

„იქნებ ბატავია გიღიმოდეს ყველაზე მეტად? მანდ ვპოვებდით სულს განათლებული ევროპისას, ტროპიკების სილამაზესთან შერწყმულს".

ხმა-კრინტი. — ხომ არ მომკვდარა, ნეტავ ჩემი სული?

„ნუთუ იმდენად ხარ გაოგნებული, რომ აღარაფერი გხიბლავს, გარდა საკუთარი ტანჯვისა? თუ აგრეა, გავიქცეთ იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე სიკვდილის დაღს ატარებს. მაშ გადაწყდა, საბრალო სულო! ტორნეოში მივემგზავრებით. ან არადა, ბალტიის ზღვის უშორესი ნაპირებისაკენ; ან კიდევ უფრო განვშორდეთ ცხოვრებას, იქნებ პოლუსზე დავსახლდეთ, იქ, სადაც გაზაფხულის მზის სხივები მსუბუქად ელამუნებიან დედამიწას, ხოლო დღე-ღამის მდორე მონაცვლეობა კლავს ყოველგვარ მრავალფეროვნებას და ჰქმნის მონოტონურობას, რომელიც სანახევროდ არყოფნაა თავისთავად. იქ მყოვარჟამ შთავინთქმით ხოლმე ბნელეთის წიაღში, ხოლო ჩრდილოეთის ნათება გაგვახალისებს ვარდისფერ სხივთა კონების ფრქვევით,

ჯოჯოხეთის გულში დანთებული ფოიერვერკის ელვა-კრთომის დარი“.

ბოლოს და ბოლოს ჩემმა სულმა სძლია საკუთარ გაოგნებას და სავსებით გონიერად მიპასუხა: „საითაც გსურს! საითაც გნებავს! ოღონდ განვშორდეთ ამ სამყაროს“.

49. მივასიკვდილოთ უპოვარნი!

ორი კვირის განმავლობაში ჩაკეტილი ვიყავი ჩემს ოთახში, იმჟამად (16-17 წლის წინათ), ძალზე მოდური წიგნებით გარემოცული.

მე ვგულისხმობ წიგნებს, რომელნიც წერენ, თუ ვით უნდა გავაბედნიეროთ, გავამდიდროთ და დავაბრძენოთ ხალხები ოცდაოთხ საათში. ამრიგად, მე აღვივსე, უკეთ რომ ვთქვათ — გამოვიტენე სახალხო კეთილდღეობის ამ მესვეურთა ყოველგვარი მონაჩმახით. მათში ერივნენ ისეთნიც, რომელნიც ურჩევენ ყველა უპოვართ მონობას, აგრეთვე ისეთნიც, რომელნიც გვარწმუნებენ რომ ღატაკნი — ტახტიდან ჩამოგდებული მეფეები არიან. არაფერია გასაკვირი, რომ ყოველივე ამის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომელიც ახლოს იყო სიგიჟესთან ან გამოლენჩებასთან.

თუმც მეჩვენებოდა, რომ ჩემი ინტელექტის სიღრმეში კიდევ ღიმღამებდა ჩანასახი რაღაც იდეისა, — რაღაც უმაღლესი კლასის იდეისა, იმასთან შედარებით, რომლებსაც შეიცავდნენ ამ ექიმბაშთა რეცეპტები, რომელთა ლექსიკონებიც ის-ის იყო, გადავიკითხე. მაგრამ ეს გახლდათ მხოლოდ იდეათა იდეა, — რაღაც უკიდურესად ბუნდოვანი რამ.

და აი, გამოვედი სახლიდან, ვინაიდან ძალზე მწყუროდა. არაჯანსაღი კითხვა დიდ დოზებში მუდამ იწვევს ხოლმე შესაბამის მძლავრ მოთხოვნილებას სუფთა ჰაერისას და გამაგრილებელი სასმელებისას.

მე უკვე კაბარეს კართან ვიყავი, როდესაც მომეახლა მათხოვარი. მან გამომიწოდა ქუდი, თან შემომხედა ისეთი აუწერელი მზერით, რომელიც დაამხობდა ნებისმიერ სამეფო ტახტს, სული რომ მართლაც ამოძრავებდეს მატერიას, ხოლო მაგნეტიზერის მზერა აჩქარებდეს ნაყოფის დამწიფებას.

იმავე წუთში შიგ ყურში ჩამესმა ჩემთვის ნაცნობი, წყნარი ხმა: ეს იყო ხმა ჩემი თანმხლები კეთილი ანგელოსისა, ანუ კეთილი დემონისა. <თუ სოკრატეს ჰყავდა კეთილი დემონი, მე რად არ უნდა მყავდეს ჩემი კეთილი ანგელოსი, ან რად არ უნდა გავხდე ღირსი, სოკრატეს მსგავსად, გიჟის დიპლომისა, რომელზედაც მსგავსადვე მოაწერდნენ ხელს მახვილგონიერი ლელიუ ან გამჭრიახი ბაიარჟე.>

მაგრამ სოკრატეს დემონსა და ჩემს დემონს შორის ის განსხვავებაა, რომ სოკრატეს იგი ეცხადებოდა, რათა დაეცვა, გაეფრთხილებინა, შეეკავებინა; ჩემი კი მაძლევს რჩევებს, შთაგონებებს, მითითებებს. იმ საცოდავ სოკრატეს ამკრძალავი დემონი ჰყავდა; ჩემი დემონი კი უდიდესი წამქეზებელია. ეს არის დემონი მოქმედებისა ან ბრძოლისა.

ჰოდა, მისმა ხმამ მიჩურჩულა: „თანასწორად მხოლოდ იგი უნდა ჩათვალო, ვინც დაგიმტკიცებს ამას, და თავისუფლების ღირსიც მხოლოდ ის არის, ვინც ბრძოლით მოიპოვებს მას“.

მე მაშინვე ვეტაკე მათხოვარს. ვლეწე მუშტი შიგ თვალში, რომელიც წამსვე ბუშტივით წამოებერა. ჩავუმტვრიე ორი კბილი, თან ზედ მივატეხე ჩემივე ფრჩხილი; მაგრამ მე არ მეყო ძალა, რომ უცებ მოვრეოდი ამ ბებრუსანას, ვინაიდან სუსტი აგებულებისა ვიყავ ბუნებით და არც ბოქსში მივარჯიშია ოდესმე. ამიტომ ცალი ხელით ქეჩოში ვწვდი, ხოლო მეორით — ყროსტში და მთელი ძალით ვახათქუნებინე კედელზე თავი. აქვე უნდა ვაღიარო, რომ მანამდის წინდახედულად მიმოვიხედე ირგვლივ და დავრწმუნდი, რომ პოლიციელი არსად იყო.

ბოლოს დაძაბუნებული მოხუცი მიწაზე გავშხლართე და ლამის იყო არ ჩავულეწე ბეჭები მძლავრი წიხლით, შემდეგ ვტაცე ხელი იქვე გდებულ მსხვილ კორძიან კეტს და დავურთე მას ჩლუნგი მონდომებით, როგორც მზარეული ბეგვავს საბასტურმე ხორცს.

და უეცრად, ჰოი, საოცრებავ! ჰოი, აღტაცებავ ფილოსოფოსისავ, რომელიც ჰპოვებს დამადასტურებელ საბუთს თავის თეორიისას! მე დავინახე, რომ ეს ნანგრევი გამოცოცხლდა, ფეხზე წამოდგა, ჯერ წელში გასწორდა ისეთი ენერგიით, რომელსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი ამ დაშლილ-დან-

ჯღრეული მექანიზმისაგან, შემდეგ კი მესროლა სიძულვილით აღსავსე მზერა, რაც კეთილ ნიშად ჩავთვალე და ბოლოს ეს ბებერი გაიძვერა მეკვეთა საშინელი ძალით, ორივე თვალი დამიბუშტა, ოთხი კბილი ჩამიმტვრია და თან ჩემივე კეტით ერთი ლაზათიანად მიმბეგვა. — ამრიგად, ჩემი ენერგიული წამლობით მე სიამაყე გავუღვიძე მას და დავუბრუნე იგი სიცოცხლეს.

მაშინ ვანიშნე მას გამწარებულმა, რომ ჩვენი შუღლი დაძთავრებულად მიმაჩნდა, წამოვდექი კმაყოფილი, ტალანიდან გამოსული სოფისტის პოზით, და მივმართე მას: „ბატონო ჩემო! ჩვენ თანასწორნი ვართ! ნება მიბოძეთ გაგინაწილოთ ჩემი საფულის შიგთავსი და თუ თქვენ ნამდვილი ფილანტროპი ბრძანდებით, გახსოვდეთ რომ ყოველთვის, როდესაც თქვენი თანამოძმენი მოგთხოვენ მოწყალებას, მათ მიმართ უნდა გამოიყენოთ იგივე თეორია, რომელიც, სამწუხაროდ, თქვენს ზურგზე გამოვცადე“.

მანაც შემომფიცა, რომ კარგად ჩასწვდა ჩემს თეორიას და ამიერიდან მუდამ გაჰყვებოდა ჩემს რჩევებს.

50. საბრალო ძაღლები

ვუძღვნი ჯოზეფ ა. სტივენსს

მე არასოდეს მრცხვენოდა, თვით ჩემი საუკუნის ახალგაზრდა მწერალთა წინაშეც კი იმ აღტაცებისა, რომელსაც იწვევს ჩემში ბიუფონი*, თუმც დღეს როდი მივმართავ სულს ამ მეცნიერისას, რომელიც გვისურათხატებს ბუნებას მთელი თავისი დიდებულებით.

მე უფრო მეტი ხალისით სტერნს** მივმართავდი და ვეტყოდი ასე: „გარდმოხდი ციდან, ან აღსდეგ ელისეს მინდვრებიდან და შთამაგონე ქება ამ საბრალო, კეთილი ძაღლებისა, — ქება შენი ღირსი, სანტიმენტალურო ხუმარავ, უბადლო ხუმარავ! დაგვიბრუნდი იმ უკვდავ ვირზე შემჯდარი, რომელიც მუდამ თან გახლავს შთამომავლობის ხსოვნაში; თანაც მთავარია, რომ ვირი წარმოგვიდგეს იმ დაუვიწყარი ორცხობილათი, რომელიც პატრონმა სიყვარულით მიამაგრა მის აღვირს“.

ჯანდაბას აკადემიური მუზა! რა მესაქმება ამ ბებერ უკარებასთან! მე ვუხმობ უფრო მახლობელ

* ბიუფონი — ფრანგი ნატურალისტი და ფილოსოფოსი, XVIII ს.

** სტერნი — ინგლისელი მწერალი, XVIII ს.

მუზას, ქალაქის ქალს, სიცოცხლით სავსეს, — დე, შემეწიოს იგი ამ კარგი ძაღლების ქებაში, საბრალო, ჭუჭყიანი ძაღლების ქებაში, რომლებსაც ყველა აძევებს და მიერეკება, თითქოს ჭირიანები ან მუნიანები იყვნენ, — მათი ამხანაგის, ღატაკის გარდა, და პოეტის გარდა, რომელიც მათ თანამოძმის თვალით უყურებს.

მიმიფურთხებია კოკობზიკა ძაღლებისათვის, ამ ოთხფეხა პოზიორებისათვის, — ამ კინგჩარლზებისათვის, დანიური გოშიებისათვის, პუდელებისათვის, რომელნიც იმდენად არიან მოხიბლულნი საკუთარი თავით, რომ უცერემონიოდ ებლანდებიან ფეხებში მომსვლელს, ან მუხლებზე ახტებიან მას, საკუთარი თავით ზედმეტად მოხიბლულნი, ბავშვებივით ონავარნი, ლორეტებივით სულელნი, თანაც ღვარძლიანნი და თავხედნი, ხელშინაურთა მსგავსად.

მიმიფურთხებია მწევარ-ლევრეტებისთვის, ამ ოთხფეხა გველებისათვის, ნიადაგ რომ თრთიან ამპარტავანი იერით. მათ წაგრძელებულ ცხვირებს იმდენი ყნოსვაც არა აქვთ, რომ მოძებნონ მეგობრის ნაკვალევი, ხოლო ჩაჭყლეტილ თავებში იმდენი ჭკუაც არ აბადიათ, რომ დომინო მაინც ითამაშონ.

აბა, ადგილზე, აუტანელო უქნარებო!

ისხედით ჭკვიანად თქვენს რბილ, კომფორტაბელურ ხულებში. მე კი ვუმღერ ჭუჭყიან, საბრალო ძაღლს, უსახლკაროს, მაწანწალას, ან აკრო-

ბატს — ძაღლს, რომლის ინსტინქტიც, ღატაკის, ბოშის ან ჯამბაზის ინსტინქტის მსგავსად, გაფაქიზებულია გაჭირვებით, ამ კეთილი დედით, ყოველგვარი დახვეწილობისა და გონიერების ჭეშმარიტი მფარველით.

მე ვუმღერი მაწანწალა ძაღლებს, — მათ, რომელნიც მარტოდმარტო დაეხეტებიან ჩვენი უშველებელი ქალაქის დაღვლარჭნილ შუკებში და მოსახვევებში, აგრეთვე მათ, რომელნიც აეკიდებიან, უსახლკარო კაცს და ეუბნებიან თავიანთი ჭკვიანი პარპალა თვალებით: „წამიყვანე შინ — იქნებ შევაერთოთ ჩვენი ორი დუხჭირი ცხოვრება და მცირეოდენი შვება მაინც ვპოვოთ!“

„საით მიეჩქარებათ ძაღლებს?“ გვეკითხებოდა ერთ დროს ნესტორ როკეპლანი თავის უკვდავ ფელეტონში, რომელიც თავად მას, როგორც ჩანს, უკვე დაავიწყდა, და რომელიც მხოლოდ მე მახსოვს დღემდე და ალბათ კიდევ სენტ-ბევს.

საით მიეჩქარებათ ძაღლებს? თქვენც მეკითხებით, დაუკვირვებელო ადამიანებო? მათ მიეჩქარებათ საქმეებზე.

მათ აქვთ თავიანთი საქმიანი შეხვედრები, პაემანები. ნისლში, თოვლჭყაპში, წვიმასა თუ ხვატში, ისინი სადღაც მიიჩქარიან, მირბიან, მიფართხუნობენ, ქვეშ უძვრებიან ეკიპაჟებს, რწყილებისაგან გაღიზიანებულნი, მათი სტიმულია ვნება, მოთხოვნილება, ან მოვალეობის შეგნება. ისინიც

ჩვენსავით დილაადრიან უკვე ფეხზე არიან და მიიჩქარიან სარჩოს საძებრად, თავის ნებაზე დარბიან.

ზოგი მათგანი ღამეულ თავშესაფარს ჰპოულობს სადმე, ნანგრევებში, ხოლო შემდეგ ყოველდღეურად, გარკვეულ დროს მოდის და მოწყალებას ითხოვს პალე-როიალის ერთ-ერთი სამზარეულოს წინ; სხვები ჯგუფ-ჯგუფად გაირბენენ ხუთ ლიეს, რათა გაიზიარონ ურთიერთშორის ტრაპეზი, რომელიც მოუმზადა მათ რომელიმე სამოცი წლის შინაბერამ, რომლის მოცალე გული ცხოველებს ეკუთვნის, ვინაიდან სულელმა მამაკაცებმა უარყვეს იგი.

არიან ისეთნიც, რომელნიც, ლტოლვილი ზანგებივით ვნებისაგან შეშლილნი, გამორბიან თავიანთი სოფლებიდან და მოაწყდებიან ქალაქს, რათა რამდენიმე საათს იხტუნონ და ითამაშონ კეკლუცი ძუკნას გარშემო, რომელიც, მართალია, ოდნავ დაუდევარია თავისი ტუალეტით, მაგრამ მაინც ამპარტავანია და მადლიერი.

მაინც რა ზუსტნი არიან ისინი — ყოველგვარი ჩანაწერების, უბის წიგნაკების და დავთრების გარეშე!

იცნობთ თუ არა თქვენ ზანტ ბელგიურ ძაღლს, და დამტკბარხართ თუ არა ჩემგვარად ამ მძლავრი ნაგაზებით, ყასბის, მერძევის ან მეფუნთუშის ურიკაში რომ არიან შებმულნი; განა ისინი თავიანთი ძლევამოსილი ყეფით იმის დასტურს არ გამოხა-

ტავენ, რომ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ცხენებს?

ახლა ამ ორ არსებას დამიხედეთ, კიდევ უფრო ცივილიზებულ სამყაროს წარმომადგენლებს! ნება მიბოძეთ შეგახედოთ ჯამბაზის ოთახში მისი არყოფნის დროს. შეღებილი ხის საწოლი, უფარდებო იატაკზე გადმოვარდნილი საბანი, ბაღლინჯოებით გასვრილი, ჩალის გადაკრული ორი სკამი, თუჯის ღუმელი და ორი-სამი გატეხილი მუსიკალური ინსტრუმენტი. სევდის მომგვრელი გარემო! მაგრამ შეხედეთ ერთი ამ ორ ჭკვიან არსებას, გაცვეთილი, მაგრამ მაინც მდიდრული მოკაზმულობით, რომელნიც მოგვთათვის დამახასიათებელი კონცენტრაციით უცქერიან ამ უსახელო ბალზამს, ნელ-ნელა რომ დუღს ღუმელზე, ხოლო ქვაბიდან გამოჩრილა გრძელტარიანი კოვზი, თითქოს ბაირაღიაო, შენობის დამთავრების მაუწყებელი.

მაგრამ განა სამართლიანობა არ იქნება, რომ ამგვარმა გულმოდგინე კომედიანტებმა წასვლამდე აივსონ კუჭი ესოდენ ნოყიერი სუპით და ნუთუ არ აპატიებთ ამ მცირე მგრძნობელობის გამოვლინებას ამ საბრალო არსებებს, რომელნიც იძულებულნი არიან დილიდან საღამომდე გაუძლონ მაყურებელთა გულგრილობას და დასის ხელმძღვანელის უსამართლობას, რომელიც ითვისებს ლომის წილს და ოთხი კაცის სამყოფ ულუფას მიირთმევს?

რამდენჯერ ვუჭვრეტდი თანაგრძნობით ამ ოთხფეხა ფილოსოფოსებს, ადამიანის მონა-მორჩილთ,

რომელთაც რესპუბლიკური სიტყვარი თავისუფლად მიაკუთვნებდა სახელმწიფო თანამდებობის პირთა რომელიმე კატეგორიას, რესპუბლიკა მხოლოდ ადამიანთა კეთილდღეობაზე რომ არ ზრუნავდეს და ჰპოვებდეს დროს, რათა მიუზღოს დამსახურებისამებრ ძაღლებსაც.

ხშირად მიფიქრია, რომ ამგვარი მამაცობის, მოთმინების და შრომის მუქაფა იქნებ მიეზღოთ-მეთქი მათ ძაღლებისათვის განკუთვნილ სამოთხეში (რა ვიცი, იქნებ არსებობს ასეთიც!), სადაც მოხვდებიან ეს საბრალო, კეთილი, დასვრილი და გაწამებული ძაღლები. ხომ გვარწმუნებს სვედენბორგი, თითქოს არსებობს ცალკე სამოთხე თურქებისათვის და ცალკე — ჰოლანდიელებისათვის!

ვერგილიუსის და თეოკრიტეს მწყემსები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სიმღერის ხელოვნებაში და მოელოდნენ ჯილდოდ ერთ თავ ყველს, კარგად ნახელოვნებ სალამურს ან ჯიქანდაბერილ თხას. პოეტმა კი, რომელმაც უმღერა საბრალო ძაღლებს, საჩუქრად მიიღო მშვენიერი, მდიდრული, მაგრამ გახუნებული ჟილეტი, რომლის შემხედვარეს გახსენდება შემოდგომის დაღლილი მზე, მიმქკნარ ქალთა სილამაზე და მიმავალი ზაფხულის უკანასკნელი ნათელი დღეები სენ-მარტენში.

ვინც იმ დღეს დაესწრო ამ სცენას ვილა-ჰერმოზას ქუჩის ტავერნაში, არ დაივიწყებს, თუ რა ხალისით გაიძრო ეს ჟილეტი მხატვარმა და გადასცა პოეტს: იმდენად ცოცხლად შეიგრძნო მან, თუ

რა კეთილშობილება იყო ამ საბრალო ძაღლებისთვის ხოტბის შესხმა.

ძველი დროის იტალიელი ტირანიც ასევე მიართმევდა ხოლმე ღვთაებრივ არეტინოს*, ხან ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ხანჯალს, ხანაც საკარისკაცო მანტიას, დახვეწილი სონეტისთვის ან საოცარი სატირული პოემისათვის.

და ყოველთვის, როდესაც პოეტი იცვამს ამ ჟილეტს, იგი უნებლიეთ ფიქრობს ამ კეთილ ძაღლებზე, ამ ფილოსოფოს ძაღლებზე, მიწურული ზაფხულის უკანასკნელ ნათელ დღეებზე სენ-მარტენში და მიმჭკნარ ქალთა სილამაზეზე.

---

* არეტინო — იტალიელი პოეტი, XVIII ს.

ეპილოგი

მე მთის კალთები ავიარე ნაბიჯით ნელით,
დიდი ქალაქის ძირს მოჩანდა ამაოება,
ლაზარეთების, პრიტონების სალხინებელი,

სად ყვავილივით გაშლილიყო უსაზღვროება.
ჰოი, სატანავ, კაეშნისა ჩემის მპყრობელო,
შენ უწყი, ცრემლი ვით მადინა ავმა დროებამ,

ვეება მეძავს* ვეტრფი ვნებით ატაცებული,
მრუში ბერკაცი ვით მიელტვის საყვარელს
მიხრწნილს,
და ვინათლები ჯოჯოხეთურ ცეცხლში ვნებული.

გარინდებულხარ, განთიადის ხმები გიფრთხობს
ძილს,
ნისლში ოხრავ და იზმორები უცხო ზმანებით,
მიმწუხრის ჟამს კი ტოგას იცვამ კვლავ
ოქროქსოვილს;

ცოდვის ქალაქო, სანუკვარო! კურტიზანები
და ყაჩაღები გვანიჭებენ სიამეს რამდენს,
რომელს ვერასდროს ვერ შეიცნობთ თქვენ,
პროფანები.

---

* იგულისხმება პარიზი.

შინაარსი

ირენ ჰუსსესადმი 5
1. უცხო . . 8
2. დედაბრის ვარამი 10
3. მხატვრის აღსარება 11
4. ტაკიმასხარა 13
5. ორმაგი ოთახი 14
6. ყველას თავისი ქიმერა ჰყავს 18
7. ვენერა და მასხარა . 20
8. ძაღლი და ფლაკონი 22
9. ცუდი მეშუშე . 23
10. ღამის პირველი საათი 28
11. ველური ქალი და პრანჭია საყვარელი 31
12. ბრბო 35
13. ქვრივები . 38
14. ბებერი ჯამბაზი 43
15. ნამცხვარი 47
16. საათი . . . 51
17. ნახევარი სამყარო თმაში 53
18. მიპატიჟება სამოგზაუროდ 55
19. ღარიბის სათამაშო 59
20. ფერიების ძღვენი 62
21. ცდუნებანი, ანუ ეროსი, პლუტოსი და დიდება 66
22. მიმწუხრი 72
23. მარტოობა 75
24. გეგმები 78

1 70

25. კეკლუცი დოროთეა 81
26. ღარიბთა თვალები 84
27. გმირული სიკვდილი 87
28. ყალბი ფული 94
29. დიდსულოვანი მოთამაშე 97
30. თოკი 104
31. მოწოდებანი 110
32. თირზუსი 116
33. თრობა 119
34. უკვე! 120
35. ფანჯრები 122
36. გამოსახვის წყურვილი 124
37. მთვარის ქველმოქმედებანი 126
38. რომელია ორთაგან ნამდვილი? 128
39. ჯიშიანი ცხენი 130
40. სარკე 132
41. ნავსადგური 133
42. საყვარლების პორტრეტები 134
43. გალანტური მსროლელი 143
44. სუპი და ღრუბლები 144
45. ტირი და სასაფლაო 145
46. შარავანდის დაკარგვა 147
47. მადმუაზელ ბისტური 149
48. Anywhere out of the world! საითაც გსურს გავეშურთ, ოღონდ გავეცალოთ ამ სამყაროს! 155
49. მივასიკვდილოთ უპოვარნი! 158
50. საბრალო ძაღლები 162
ეპილოგი 169

კოლეგიის რედაქტორი ჯემალ აჯიაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ცისანა ჯაფარიძე
მხატვარი ანზორ თოდრია
მხატვრული რედაქტორი თამაზ შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზინა გვიმრაძე
კორექტორი ლეილა არჩვაძე
გამომშვები ნელი მანაგაძე

ა/ბ

გადაეცა წარმოებას 18.12.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.12.90. საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×90 1/32.
გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,44. პირ. საღ.-გატ. 6,76. სააღრ-საგამომც. თაბახი 5,51. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 735.
ფასი 2 მან

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარ-
ჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Госкомитета по печати Грузинской
республики, г. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.